

708

1996

2(93)

ქართული
ბიბლიოთეკა



მ

ე

ბ

ჟ

ე

ს

მეგობარი

თბილისი 1996

მთავარი რედაქტორი

ირაკლი ციციშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ანდრია აფაქიძე
მაია ასანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ნოდარ ბახტაძე
ეხბტანე ბერიძე
პარმენ ზაქარაია
მარიამ ლორთქიფანიძე
ოთარ ლორთქიფანიძე
ლევან მატარაძე
თამაზ ნათიძე
გივი პაპალაშვილი
წულიყტა რუხაძე

ქრნალი დაარსდა 1964 წელს.



საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
Gorgian society for protection of historical and cultural Monuments

კვლის მემობარი

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი
ჟურნალი გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების
ხელმძღვანელობა მადლიერებით აღნიშნავს ღირსა „ესაბის“ მესვეურთა დახმარებასა და
თანადგომას ჟურნალის გამოცემის განახლებასთან დაკავშირებით.



ქართული
ლიბრარიონი



წერისთვის მონასტერი (კლანჯკი), IX სუკუნე



შემუშავებულია არქეოლოგიური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის
საერთაშორისო კომიტეტის (ICAHM) მიერ

მიღებულია ICOMOS-ის მიერ 1990 წელს

შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანთა საზოგადოების ჩასახვისა და განვითარების
შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კაცობრიობის კულტურული და სოციალური
ფესვების შეცნობისათვის. არქეოლოგიური მემკვიდრეობა ადამიანთა წარული
მოღვაწეობის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს. ამიტომ მისი დაცვა და გონივრულად
მოვლა-პატრონობა არქეოლოგებს თუ სხვა დარგის მეცნიერებს საშუალებას აძლევს ეს
მემკვიდრეობა დღევანდელი თუ მომავალი თაობების საკეთილდღეოდ შეისწავლონ და
გაიაზრონ.

ამ მემკვიდრეობის დაცვა არ შეიძლება მხოლოდ არქეოლოგიური მეთოდების
გამოყენებაზე იყოს დაფუძნებული. ეს საქმე პროფესიული და სამეცნიერო ცოდნის მეტად
ფართო ბაზას და გაწაფულობას მოითხოვს. არქეოლოგიური მემკვიდრეობის ნაწილი
არქიტექტურული სტრუქტურების კომპონენტებს წარმოადგენს და ასეთ შემთხვევაში ისინი
დაცული უნდა იყოს თანახმად ვენეციის 1964 წლის ქარტიის კრიტერიუმების ისტორიული
ძეგლებისა და ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის შესახებ. არქეოლოგიური
მემკვიდრეობის კიდევ ერთი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობის ყოფითი ტრადიციების
შემადგენელი კომპონენტია. ასეთი ძეგლებისა და ადგილების დაცვა-შენარჩუნების საქმეში
მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ამ კულტურული ჯგუფების მონაწილეობა.

ჩამოთვლილი და სხვა მიზეზების გამო არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა მრავალი
დარგის პროფესიონალთა თანამშრომლობას უნდა ემყარებოდეს. ეს საქმე აგრეთვე მოითხოვს
ხელისუფლების ორგანოების, აკადემიური მკვლევარების, კერძო საქმიანი წრეების და
ფართო საზოგადოებრიობის კავშირს. ეს ქართია არქეოლოგიური მემკვიდრეობის მოვლა-
პატრონობის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებულ პრინციპებს ამკვიდრებს. ქართია
შეიცავს სახელმწიფო, საკანონმდებლო და ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობის
განმსაზღვრელ პუნქტებს, ძეგლთა ინვენტარიზაციის, კვლევის, გათბვების, დოკუმენტაციის,
შენარჩუნების, კონსერვაციის, რეკონსტრუქციის, ინფორმაციის, წარმოჩენის, გამოქვეყნების
საკითხებთან და პროფესიონალთა კვალიფიკაციის არქეოლოგიური მემკვიდრეობის
სამსახურში ჩაყენებასთან დაკავშირებულ პრინციპებს.

ქართია შთაგონებულია ვენეციის ქარტიის სულისკვეთებით, ხელშეძენილად მისი
დირექტივებით, ამკვიდრებს ხელისუფლებისათვის, მეცნიერებისა და პროფესიონალე-
ბისათვის სავალდებულო წესებს და პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ქართია აყალიბებს საბაზისო პრინციპებს და ზოგადად დასაბუთებულ მითითებებს
იძლევა. ამის გამო ის ვერ პასუხობს ცალკეული რეგირების თუ ქვეყნების სპეციფიკურ

20745

საქართველო
ს.ს.ს.ს.ს.
ს.ს.ს.ს.ს.ს.ს.



თავი 1

წინასწარი განსაზღვრება

არქეოლოგიური მემკვიდრეობა ის ნაწილია მატერიალური მემკვიდრეობისა, სადაც პირველადი ინფორმაცია არქეოლოგიური მეთოდებითაა მოპოვებული. ის შედგება ადამიანთა არსებობის საბუთებისაგან, მოიცავს ადამიანთა ყოველგვარ საქმიანობასთან დაკავშირებულ ადგილებს, მიტოვებულ ნაგებობებს და ვეღა სახის ნაშთებს (მიწისქვეშა და წყალქვეშა ადგილების ჩათვლით), მათთან დაკავშირებულ მატერიალური კულტურის მოძრავ მასალას.

თავი 2

დაცვის ზოგადი წესები

არქეოლოგიური მემკვიდრეობა ფაქიზი და ახალდგენადი კულტურული მარაგია. სწორედ ამიტომ, მიწის გამოყენება უნდა კონტროლდებოდეს და სრულყოფილად წარმოებდეს, რათა თავიდან ავიცილოთ არქეოლოგიური მემკვიდრეობის განადგურება.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის წესები უნდა შეიცავდეს მიწის გამოყენებასთან, დამუშავებასთან და დაგეგმარებასთან დაკავშირებული საეკოლოგიური წესების კომპონენტებს, აგრეთვე კულტურის, გარემოს დაცვის და განათლების საკითხებს. არქეოლოგიური რეზერვის შექმნა ამ წესების მიხედვით უნდა მოხდეს.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა გათვალისწინებული უნდა იყოს საკანონმდებლო ნორმებით როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ, რეგიონულ თუ ადგილობრივ დონეზე.

თავი 3

კანონმდებლობა და გეონომიკა

არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა თითოეული ადამიანის მორალურ მოვალეობად უნდა ითვლებოდეს. ამ მემკვიდრეობის დაცვა კოლექტიური სახალხო ზრუნვის საგნადაც უნდა იქცეს. ეს მოვალეობა ასახული უნდა იყოს შესაბამის კანონმდებლობაში, ხოლო ამ მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი პროგრამების დასაფინანსებლად საჭირო სახსრები გათვალისწინებული იყოს შესაბამის ფონდებში.

არქეოლოგიური მემკვიდრეობა მთელი კაცობრიობისათვის საერთოა. ამიტომ თითოეული ქვეყნის ვალია ამ მემკვიდრეობის დასაცავად შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანოს შესაბამის საერთაშორისო ფონდებში.

კანონმდებლობას უნდა გააჩნდეს უნარი გაითვალისწინოს თითოეული ქვეყნის თუ რეგიონის შესაძლებლობა, ისტორია და ტრადიციები, რათა შეინარჩუნოს არქეოლოგიური მემკვიდრეობა, უზრუნველყოს მისი in situ (ადგილზე) დაცვა და კვლევა.



კანონმდებლობაში არქეოლოგიური მემკვიდრეობა გააზრებული უნდა იყოს როგორც მთელი კაცობრიობის მემკვიდრეობა და ამდენად მისი დაცვის საქმე არ უნდა შემოიფარგლოს ცალკეულ ეროვნებათა და ინდივიდთა ინტერესებით.

კანონმდებლობა უნდა კრძალავდეს ნებისმიერი არქეოლოგიური ადგილის, ძეგლის ან მათი შემოგარენის დანგრევას ან განახლების მიზნით გადაკეთებას ამ საქმეში გარკვეული, ავტორიტეტისანი არქეოლოგების თანხმობის გარეშე.

კანონმდებლობა პრინციპულად უნდა მოითხოვდეს არქეოლოგიური გამოკვლევის ანგარიშს სრული დოკუმენტაციით იმ შემთხვევაში, თუ არქეოლოგიური ძეგლის ალება ნებადართულია.

კანონმდებლობამ უნდა მოიძიოს სახსრები და შექმნას ფონდი არქეოლოგიური მემკვიდრეობის სათანადოდ დაცვისა და კონსერვაციისათვის.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის კანონმდებლობის დამრღვევთა მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სათანადო იურიდიული სანქციები.

თუ კანონმდებლობას არქეოლოგიური მემკვიდრეობის მხოლოდ იმ ნაწილის დაცვა ძალუმს, რომლებიც რაიმე პრინციპით არის შერჩეული და რეგისტრირებული, ორგანიზაცია უნდა გაუცუოდეს ინვენტარიზაციის გარეშე დარჩენილი, დაუცველი და ახლად აღმოჩენილი ძეგლების დროებით დაცვას მანამდე, სანამ მათი არქეოლოგიური შეფასება მოხდებოდეს.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის ფიზიკური ხელუფლის ერთ-ერთ უმთავრეს საშიშროებას შეურწმობის განვითარების პროექტები წარმოადგენს. განვითარების მესვეურთა ვალია ამ მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლა მანამდე უზრუნველყოს, ვიდრე განვითარების პროექტის განხორციელება დაიწყება, ამასთან ეს ვალდებულება უნდა აისახოს შესაბამის კანონმდებლობაში იმ პირობით, რომ შესწავლის ხარჯები პროექტის განფასებაში შევიდეს. კანონმდებლობაში განუხრელად უნდა დამკვიდრდეს აგრეთვე შემდეგი პრინციპი: განვითარების სქემები ისეთნაირად უნდა დაპროექტდეს, რომ შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი მათი უარყოფითი ზემოქმედება არქეოლოგიურ მემკვიდრეობაზე.

თავი 4

ფიქსაცია

არქეოლოგიის სფეროში ცოდნა მხოლოდ არქეოლოგიური მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევის ემყარება. ამგვარი კვლევა მოიცავს მრავალნაირ მეთოდს, დაწყებული ძეგლის გაუხსნელად შესწავლელი ტექნიკის გამოყენებით და დამთავრებული ყოვლისშომკველი, ტოტალური გათხრებით.

საყოველთაო პრინციპად უნდა იქნეს აღიარებული დებულება, რომლის თანახმად არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვებისას კულტურული ფენა იმაზე დიდ ფართობზე არ უნდა იქნეს აღებული, ვიდრე ეს აუცილებელია დაცვითი თუ სამეცნიერო კუთხით კვლევისათვის. სწორედ ამიტომ უნდა მივსალმობთ არაღამანგრაველი ტექნიკის გამოყენებას, საპერო ფიქსაციას, მიწისზედა დაზეერეას და ნიშნუების შეგროვებას, ნაცელად ფართომასშტაბიანი, ტოტალური გათხრებისა.

ვინაიდან არქეოლოგიური გათხრა თავისთავად გულისხმობს იმ საბუთების შერჩევას, რომლებიც დოკუმენტად უნდა მივიღოთ და შემოვიწინაოთ დანარჩენი ინფორმაციის



დაკარგვისა და ძველის შესაძლო განადგურების ფასდაც კი, გადაწყვეტილება გათხროის/ შესახებ მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ საკითხის საფუძვლიანი განხილვის შემდეგ.

გათხრები იმ პუნქტებში და ძველებზე უნდა ჩატარდეს, რომლებსაც ახალშენებლებზე მიწათსარგებლობის სისტემის ცვლილება, წიაღისეულის მოპოვება ან ბუნებრივ-კლიმატური ზემოქმედება დაზიანებით ემუქრება.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია გადაიკრას მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემები ან უფრო ეფექტური ინტერპრეტაციით წარუდგინონ ძველები ფართო საზოგადოებრიობას, შეიძლება ის ადგილებიც გაითხაროს, რომლებსაც არაფერი ემუქრება. ასეთ შემთხვევაში გათხრას წინ უნდა უძღოდეს ამ ადგილის მნიშვნელობის საფუძვლიანი სამეცნიერო შეფასება. გათხრები ნაწილობრივ უნდა იყოს, ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი ხელუხლებლად უნდა იქნეს დატოვებული მომავალი კვლევისათვის.

მიღებული სტანდარტების ფორმით შედგენილი გათხრის ანგარიში ხელშისაწვდომი უნდა იყოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ამიტომ რეგისტრირებული უნდა იყოს შესაბამის კადასტრში გათხრის დასრულების შემდეგ უშუალოდ ვადაში.

გათხრებისას უნდა ვიზუალიზირდეს იუნესკოს მიერ 1956 წელს მიღებული, არქეოლოგიური გათხრებისათვის საელაბორატორია საერთაშორისო პრინციპებით და რეკომენდაციებით, აგრეთვე სხვა საერთაშორისო თუ ეროვნული პროფესიული სტანდარტებით.

თავი 6

მოვლა-პატრონობა და კონსერვაცია

არქეოლოგიური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეში უპირველესი ზრუნვის საგანი ადგილებისა და ძველების in situ დაცვა უნდა იყოს. მემკვიდრეობის ელემენტების ახალ ადგილზე ყოველნაირი გადასაცვლა მათ თავდაპირველ გარემოში დაცვის პრინციპების დარღვევას წარმოადგენს. ეს პრინციპები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე ძველების უცვლელად შემონახვას, კონსერვაციას და მათზე შეთვალერუობას. განუხრელად უნდა მივიდეთ აგრეთვე შემდეგ პრინციპს: არქეოლოგიური მემკვიდრეობა არ უნდა გაითხაროს და გახსნილი არ უნდა დარჩეს, თუ გათხრების შემდეგ მისი სათანადოდ დაცვის და მოვლა-პატრონობის პირობები გარანტირებული არ არის.

ყოველგვარი ადგილობრივი ინიციატივა, რაც არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვასთანაა დაკავშირებული, უნდა წაეხალისოთ და მიზანწარაფულად კმედითი გავხადოთ. ეს პრინციპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც არქეოლოგიური მემკვიდრეობა ადგილობრივი მოსახლეობის ან ლოკალური კულტურული ჯგუფების მემკვიდრეობის ნაწილია. რაც შემთხვევებში შეიძლება ისიც კი იყოს მიზანწინააღიერი, რომ პასუხისმგებლობა არქეოლოგიური ადგილებისა და ძველების დაცვაზე და მათ მოვლა-პატრონობაზე ადგილობრივ მოსახლეობას ვანდოთ.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის დ საცავად კაობრიობის ხელთ არსებული რესურსების გარდაუვალი შეზღუდულობის გამო აქტიური მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს ძველთა შერჩევის შექანიზმის შესაქმნელად. სელექცია ისეთნაირად უნდა ჩატარდეს, რომ უზარმაზარი, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მემკვიდრეობიდან პრიორიტეტი მიეცეს სამეცნიერო ღირებულების მიხედვით ყველაზე მნიშვნელოვან, რამდენადმე ტიპურ



ადგილებსა და ძეგლებს, არ უნდა შემოვიზღუდოთ მხოლოდ ღირსშესანიშნავი და გარეგნულად მიზიდველი ნიმუშებით.

1956 წელს იუნესკოს მიერ შემუშავებულ პრინციპებს და რეკომენდაციებს სცეს ყველამ. ვინც დაკავშირებულია არქეოლოგიური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასთან და კონსერვაციასთან.

თავი 7

წარმოჩენა, ინფორმაცია, რეკონსტრუქცია

არქეოლოგიური მემკვიდრეობის წარმოჩენა ფართო საზოგადოებრიობის წინაშე მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კაცობრიობის წარმოშობისა და განვითარების საკითხების გარკვევას, ამასთან იმ ღონისძიებათა დასახეაშიც გვეხმარება, რაც ამ მემკვიდრეობის დასაცავადაა აუცილებელი.

წარმოჩენა და ინფორმაცია დიდძალი, ხშირად მოუწესრიგებელი ფაქტების ფაქტიურად პოპულარული ინტერპრეტაციაა, ამიტომ საქმიანობის ეს სფერო რეგულარულად უნდა შემოწმდეს ზოგმე. წარსულის შესასწავლად მრავალგვარი მიდგომით და მეთოდით უნდა ვისარგებლოთ.

რეკონსტრუქცია ორ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ვსახბურება: ექსპერიმენტულ კვლევას და ინტერპრეტაციას. რეკონსტრუქცია დიდი სიფრთხილით უნდა ჩატარდეს, რათა თავი აუარიდოთ შემორჩენილი არქეოლოგიური ფაქტების აღრევას. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ თითოეული ნივთიერი საბუთი ჰქვამარიტი ისტორიის დადგენის სამსახურში ჩაეაყნოთ. სადაც ეს შესაძლებელია და მიზანშეწონილია. არქეოლოგიური ნაშთების რეკონსტრუქცია გათხრების დამთავრებისთანავე არ უნდა დაეიწყოს, რათა დადინებულად შევააწოწოთ ჩვენი ნააზრევი.

თავი 8

პროფესიული კვალიფიკაცია

არქეოლოგიური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნის მაღალ აკადემიურ სტანდარტებს სხვადასხვა დისციპლინაში. ყოველი ქვეყნის საგანმანათლებლო უწყებათა უმნიშვნელოვანესი მიზანი უნდა იყოს ამ სფეროს სხვადასხვა დარგის ექსპერტისათვის საკმარაოდენობით პროფესიონალთა მომზადება. თითოეულ სპეციალობაში უმაღლესი კლასის ექსპერტების საჭიროება ამ სფეროებში საერთაშორისო თანამშრომლობას მოითხოვს. აუცილებელია შემუშავდეს ამ დარგებში პროფესიული ცოდნის და საკმის გაძლიერების სტანდარტები.

არქეოლოგიაში სპეციალისტების აკადემიური მომზადების საჭიროება თავს იჩენს ძეგლების საკონსერვაციო ღონისძიებების ყოველ ეტაპზე; დაწვებული გათხრებიდან, in situ დაკვირვებით და მთავრებული. მხედველობაში მისაღება აგრეთვე ის გარემოება, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიის სრულყოფილი ცოდნა არანაკლებ მნიშვნელოვანია არქეოლოგიური მემკვიდრეობის გააზრებისა და დაცვისათვის, ვიდრე ცალკე აღებული ძეგლის და ადგილის შესწავლა.



არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა ხანგრძლივი, დინამიურად განვითარებადი პროცესია. ამიტომ ამ სფეროში მომუშავე პროფესიონალებს დროდადრო უნდა შეუძლიათ მოდერნიზების საშუალება უნდა მიეცეთ. კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სპეციალური აქცენტი უნდა გაკეთდეს არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვაზე და მოვლა-პატრონობაზე.

თავი 9

საერთაშორისო თანამშრომლობა

არქეოლოგიური მემკვიდრეობა მთელი კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობაა. ამიტომ საერთაშორისო თანამშრომლობას განსაკუთრებული როლი ენიჭება მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების საქმეში.

არქეოლოგიური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის საქმესთან დაკავშირებულ პროფესიონალებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის საერთაშორისო მექანიზმის ჩამოყალიბება გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამისათვის აუცილებელია როგორც მსოფლიო, ისე რეგიონული დონის კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების ორგანიზება, კვალიფიკაციის ამაღლების რეგიონული ცენტრების შექმნა. იკომოსი და მისი სპეციალიზებული სამსახურები ხელს უნდა უწყობდნენ ამ მიმართულებით დასახულ სხვადასხვა ხანგრძლივობის პროგრამებს.

უფრო ინტენსიური უნდა გახდეს პროფესიული პერსონალის საერთაშორისო გაცვლა, რათა ამაღლდეს არქეოლოგიური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის დონე.

ტექნიკური დახმარების პროგრამები არქეოლოგიური მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის სფეროში უნდა განხორციელდეს იკომოსის ვეგლით.

მომზადდა ნ. ბაბტაძემ

სახარების თემები ქართულ ძეგლებზე

საქართველოს ადრექრისტიანული ხელოვნების ძეგლთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რელიეფური დეკორით შემკულ ქვასვეტებს. ქრისტიანობის ადრეული ეტაპის (V-VII სს.) რელიეფურ ძეგლთა ეს განსაკუთრებული ჯგუფი მრავალმხრივ არის საინტერესო. ადრეული შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნების ძეგლთა სიმცირის პირობებში, ქვასვეტების რელიეფები შეიცავს უაღრესად მნიშვნელოვან ინფორმაციას ეპოქის სულის, მისი ხელოვნების სტილის შესახებ. ქრისტიანული რელიგიის შემოთავაზებული სქემები და სახეები მხატვართაგან მოითხოვდა ახალ მიდგომას მხატვრულ ამოცანათა გადაწყვეტისადმი. ყოველი ხალხი წვეტდა ამ ამოცანებს საკუთარი უძველესი ეროვნული ტრადიციების საფუძველზე. ახალი მხატვრული სახეები უნდა გასაგები და მისაწვდომი ყოფილიყო ხალხისათვის. ეს იყო სეკულტურული შემოქმედების ხარისხობრივად ახალი ეტაპი.

ქვაჯვართა და ქვასვეტების დანიშნულება - ისინი ვოტივერი (შესაწირავი) და სალოცავი ძეგლები იყვნენ - გულისხმობდა მათი რელიეფური დეკორის კომპოზიციური სტრუქტურის ღრმა თეოლოგიურ გააზრებას. ქართული რელიეფებიანი ქვასვეტები ორიგინალური იკონოგრაფიული სქემების იშვიათ ნიმუშებს შეიცავენ, რაც უფლებას გვაძლევს მივაკუთვნოთ საქართველო იმ ქვეყანათა წრეს, რომლებიც ქმნიდნენ ახალ ქრისტიანულ იკონოგრაფიას.

ქართულ ქვასვეტთა რელიეფური დეკორის შესწავლამ გამოავლინა ისტატთა მიდრეკილება გარკვეული თემებისადმი, გარკვეული მხატვრული სახეებისადმი, ფერულ გამოსახულებათა მკაფიო შერჩევისადმი. ჩვენამდე მოღწეული მასალა საკმაოდ ფრაგმენტულია, მაგრამ იგი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სტელეების თემატიკის შერჩევის მთავარი ტენდენციები და დავასკვნათ, რომ უკვე VI საუკუნისათვის საქართველოში არსებობდა ძირითადი ქრისტიანული სიუჟეტებისა და წმინდა ისტორიის პერსონაჟთა იკონოგრაფიული ტიპები. ქართულ ქვაჯვართა და რელიეფურ სტელათა დეკორატიული პროგრამები ისტატთა განსწავლულობის და თეოლოგიური აზროვნების მაღალი დონის იშვიათი ნიმუშებია. რელიეფური დეკორის იკონოგრაფიული სტრუქტურები მოიცავს შემდეგ თემებს: ჯვრის სიმბოლური თემა, ქრისტეს ამაღლებისა და დიდების სიუჟეტები, ღმრთისმშობლის განდიდების თემა. ქვასვეტების რელიეფებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბარების სიუჟეტებს. ამათგან, ძირითადად, შერჩეულია სადღესასწაულო ციკლის სცენები. მათ შორის ყველაზე ხშირად გვხვდება: ნათლისღება (ბრდამორი, ბერძენური, უსანეთი) ჯვარცმა (საცხენისი, ბერიკვარი) და ამაღლება (დავითი, ხანდისი, ბრდამორი). ახალი აღთქმის თემებიდან სტელეებზე გვხვდება აგრეთვე: ხარება, შობა, თავანისისცემა, იერუსალემს შესვლა, ქრისტეს სასწაულოთა სცენები. ამასთან ერთად, სტელეების რელიეფებზე გამოსახულია წმინდა პერსონაჟები: მოციქულები, მთავარანგელოზები, წმინდანები. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თემების შერჩევა განპირობებული იყო სტელის რელიეფური პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

საბარების თემებს განვიხილავთ მათი ისტორიული თანმიდევრობის მიხედვით:

ხარება - წარმოდგენილია მხოლოდ ერთ სტელაზე (საცხენისი). საინტერესოა მისი კომპოზიციური გადაწყვეტა. მარჯვნივ - სავარძელში მჯდომარე ღმრთისმშობელი, მარცხნივ - (მუხლმოდრეკილი?) ანგელოზი (ღუჯა, I, 26-38). სცენას ზემოდან აპარჩოებს არქიტექტურული კონსტრუქცია - რაქურსში გადმოცემული ფრონტონიანი ფასადი დაკონსერვაციულ სიღრმეში მიმართული ნალისებური თალებით; ღმრთისმშობლის ზემოთ მტრედის საკმაოდ დიდი გამოსახულებაა - სული წმიდის სიმბოლო. ინკარნაციის



სურ.1. ხარება, საცხენისის ქვაჯვარა, VI ს.

რედაქცია: გამოსახულია მხოლოდ ჩვილი ბავშვი და მის ზემოთ ხარისა და სახედრის თავები (იხ. ფსევდომათეს აპოკრიფული სახარება, 14). შრავალრიცხოვანი დეტალებით აღსავსე ნარატიული სცენა ქართულ სტელაზე უკიდურესად არის შეკვეცილი, იგი ქცეულია სიმბოლოდ. ეს არის შობის იდეის შეკუმშული



სურ.2. შობა, საცხენისის ქვაჯვარა, VI ს.

შესაძლოა, სტელის ავტორი ამგვარი სპილოს ძელისა თუ ბრინჯაოს ნიმუშებით სარგებლობდა. საქართველოში დღვისთვისაც შემონახულია აღმოსავლურქრისტიანული ლიტურგიული ნივთების გარკვეული რაოდენობა (ბრინჯაოს საცეცხლურები, სირიული ბარძიმი), რაც იმის საბუთია, რომ ადრეფეოდალურ ხანაში ამგვარი ნაკეთობები ფართოდ იქნებოდა გავრცელებული.

(განსხვავების) ეს ნიშანი საკმაოდ იშვიათია ამ სცენაში. გასათვალისწინებელია აგრეთვე ბეთლემის ექვსქიმიანი ვარსკვლავის სიმბოლო ამ კომპოზიციაში. ვარსკვლავი სიმბოლო ლილვით შედგენილ შედალონშია ჩაწერილი. ბეთლემის ვარსკვლავი ამ კომპოზიციაში აზრობრივად დაკავშირებულია ხარების ზემოთ განთავსებულ შობის სიუჟეტთან.

ამ სცენის არქიტექტურული ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. რელიეფურ ნაწარმოებთან ამგვარ კონსტრუქციას პარალელი მხოლოდ სპილოს ძელის რელიეფებში მოვებნებათ (ტრიველიკის კოლექციიდან - მილანი, VI ს; ხარების სცენა და იერუსალემში შესვლის სცენა მაქსიმიანეს ტახტზე - რავენა, VI ს.). საინტერესოა, რომ აღნიშნულ რელიეფებში არქიტრავული კონსტრუქციებია, ქართულ სტელაზე კი თაღოვანი. ეს ალბათ ოსტატისთვის ჩვეული რეალური არქიტექტურული ფორმით არის ნაქარნახევი.

შობაც მხოლოდ ერთხელ გვხვდება ქართულ სტელაზე, ამავე საცხენისის სვეტზე, ხარების სცენასთან შეწვილებული. იგი განლაგებულია ხარების თავზე, როგორც ამას კარნახობს მოვლენათა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. ეს არის შობის უმოკლესი სავითოდ დამახასიათებელია ქართულ სტელათა ოსტატებისთვის, რომელნიც გარდაქმნიდნენ კანონიერ სქემებს ამ საკულტო ძეგლების სპეციფიკის მიხედვით. მაგრამ შობის ამგვარი კომპოზიცია გამოირჩევა თავისი განსაკუთრებულობით.

ანალოგიურ შემოკლებულ რედაქციას ვხედავთ სპილოს ძელის ფრაგიტაზე ნევერიდან (V ს.) და ადრექრისტიანულ ლიტურგიულ ნივთებზე (პიქსიდები, საცეცხლურები), სადაც ფრიზულად განლაგებული სახარების სცენები, ქურულის ფორმის გამო, ცალკეულ ნაწილებად აღიქმება (პიქსიდა ბერლინის მუზეუმში - VI ს.).



თაყვანისცემა ზვილუდი ღმრთისმშობლისა მამულას ქვასვეტის (VII ს. ბაილი) დეკორატიული პროგრამის მთავარი თემაა. იგი აგვირგვინებს სტელის მთავარ კვადრატულ მხარის მთელ კომპოზიციას. ამ შემთხვევაშიც, თაყვანისცემის მარჯვენა კონტრასტული ნარატიული თემა წარმოდგენილია მკაცრად ფორნტალურ, იერატულ კომპოზიციად, რომელიც მოქმედებს ხაზგასმულად პირობითი, „იეროგლიფური“ გამომსახველობით. ტრადიციულად ფრიზისებრი ძველქრისტიანული კომპოზიციის აქ წარმოდგენილია თავისი ვერტიკალური ექსპოზიციით, რაც ქვასვეტის ფორმით არის ნაკარნახევი.

ამ სიუჟეტის მხატვრულმა გადაწყვეტამ ქრისტიანობის უძველესი ხანიდან რთული ევოლუცია განიცადა, საუკუნეთა მანძილზე ვალიზდებოდა მისი იკონოგრაფია. ქართული სტელის რელიეფი თაყვანისცემის სიუჟეტის განვითარების ეტაპს აღნიშნავს. ქართველმა მოქანდაკემ გამოსახა სამი მოგვი და სამი მწვემსი ერთმანეთის ზემოთ. ღმრთისმშობლის ქვემოთ მწვემსებია (ვერთხებით), მათ ქვემოთ მოგვები. შესაძლოა ამით ნაჩვენებია, რომ მწვემსთა თაყვანისცემა წინ უსწრებდა მოგვებისას. ასეთი თანმიმდევრობა აპოკრიფების ერთ-ერთი ვერსიის ილუსტრაციის წარმოადგენს.

ღმრთისმშობლის ფიგურა მკაფიოდ არის გამოყოფილი დანარჩენი გამოსახულებებისგან თავისი ზომებითა და ზედა რეგისტრში განლაგებით. მის გამოყოფას ხელს უწყობს ღმრთისმშობლის თავს ზემოთ სქემატურად მიჩნეული ნიშა თუ ბალდახინი (იხ. ადრექრისტიანული მარმარილოს რელიეფები და სპილოს ძელის რელიეფები).

ღმრთისმშობელს ზვილი მარჯვენა მუხლზე უზის, მარცხენა ხელი გულთან აქვს მიტანილი მოკრძალებული თაყვანისცემის ნიშნად. ამგვარი სქემა დაშახასიათებელია კოპტური ძველებისთვის, რომლებთანაც ადრექრისტიანულ ქართულ ძეგლებს არა მხოლოდ იკონოგრაფიული, არამედ სტილისტური სიახლოვეც აქვთ.

ორმაგი თაყვანისცემის ეს რელიეფური სცენა - ორიგინალურად წარმოდგენილი ეპიფანია (ღმრთის გამოცხადება), რომლის უახლოესი ანალოგიები მოიპოვება ადრექრისტიანულ სპილოს ძელის ნაკეთობებზე და პალესტინურ ამბულეებზე.

ნათლისღება მიეკუთვნება სახარების იმ სიუჟეტებს, რომლებიც შედარებით ხშირად გვხვდება ქართულ ქვასვეტებზე (ბრდამორი, VI ს., ბერიჭვარი, VI-VII სს., უსანეთი VIII-IX სს.) და რელიეფებზე (ეკლეთის სანათლაეი, წიხელდის ფილა). სამივე შემთხვევაში ნათლისღება შედის სტელის რელიეფების რთულ იკონოგრაფიულ პროგრამაში. სტელები სხვადასხვა პერიოდს მიეკუთვნება, მაგრამ მათთვის დამახასიათებელია ნათლისღების ყველაზე ლაკონიური რედაქციის გამოყენება, რომლის მიხედვითაც ამ მოვლენაში მონაწილეობენ მხოლოდ ქრისტე და იოანე ნათლისცემელი. უსანეთის სტელაში დამატებულია ანგელოზის გამოსახულება, რაც მიუთითებს მოვლენის განსაკუთრებულობაზე. ორ შემთხვევაში (ბერიჭვარი, უსანეთი) ნათლისღება ხდება სანათლაეში, ერთ შემთხვევაში (ბრდამორი) - მდინარე იორდანეში. სამივე ქრისტეს თავს ზემოთ გამოსახულია მტრედის - სული წმინდის - არაპროპორციულად დიდი გამოსახულება.



სურ.3. ნათლისღება. ბრდამორის ქვასვეტი, VI ს.

რითაც ხაზგასმულია ამ მოვლენის უდიდესი მნიშვნელობა. ვერული შარავანდის მაკვიროდ ქრისტეს თავთან მოხანს მხოლოდ წერის მკლავები. სამივე შემთხვევაში ქრისტე წარმოდგენილია ბავშვის სახით, რაც არ შეესაბამება სახარების ისტორიულ მონაცემებს. გარეგნულად სიმბოლურად მიუთითებს, რომ ნათლისღება, ძველ ქრისტიანთა რწმუნობის სიციხის დასაწყისის მოასწავებდა.

ქართულ სტელეზე გამოსახული ნათლისღების საბი ვერსიის განხილვა გვიჩვენებს, რომ გარკვეულ სიახლოვესთან ერთად, მათ მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშნები აქვთ. აქ ვხვდებით გამსხვავებულ მიდგომას სახარების სიუჟეტის გადმოცემისას. თუ კი მათ განვიხილავთ უფრო ფართოდ, ამ ეპოქის სხვა ქართულ რელიეფთა გათვალისწინებით, აღმოჩნდება, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქართულ ოსტატებს ამ თემის გამოსახვის ფართო დიაპაზონი, მისი იკონოგრაფიული სქემების ნაირგვარი ვარიაციები ჰქონდათ. ამის საილუსტრაციოდ მივმართოდ ვალეთის სანათლავსა და წებულის კანკელის ფილს. ორივეზე გამოსახულია წვერისანი ქრისტეს მონაწილე იორდანეში ორი ანგელოზის თანხლებით. მსგავსება მთავრდება ამ სქემაზე, რადგან სრულიად განსხვავებულია სცენის მხატვრული გადმოცემის ბერებში. წებულის რელიეფზე იორან ნათლისმცემელი ქრისტესგან მარცხნივ არის მოთავსებული, ვალთში და ველა სტელაზე კი - მარჯვნივ მხარეს. განსხვავებულია ანგელოზთა განლაგებაც.



სურ. 4. ნათლისღება. უსანეთის ქვასვეტი, VIII-IX სს.

შესაძლებელი იყო კიდევ ბევრი იკონოგრაფიული და მხატვრული ნიშნების მოყვანა, მაგრამ აღნიშნულიც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ადრექრისტიანულ საქართველოში გავრცელებული იყო ნათლისღების სხვადასხვა რედაქციები (იკონოგრაფიული ტიპები), რომელთაც ოსტატები შემოქმედებითად იყენებდნენ მხატვრული ამოცანის შესაბამისად. ამ თემასთან დაკავშირებითაც უნდა გაეიხსენოთ ადრექრისტიანული სპილოს ძელის ფირფიტები ბოდბეანის ბიზილითყიდან ოქსფორდში, ბერლინისა და ლიონის მუზეუმებიდან.

აუცილებელია ამ თემის ადგილის გათვალისწინება სტელეების საერთო კომპოზიციაში. სამივე შემთხვევაში ნათლისღება მოთავსებულია ქვასვეტის ქვედა ნაწილში. ამ ტომოგრაფიაში გამოიმეტავენ ქვასვეტებისათვის დამახასიათებელი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის კანონი.

იერუსალიმში შესვლა მხოლოდ ერთხელ გვხვდება ქართულ ქვასვეტებზე - უსანეთის სტელაზე. ნათლისღების სცენის თავზე. ამ განთავსებით თითქოს ხაზგასმულია თეოფანიისა (გამოცხადების) და ქრისტეს ტრიუმფის იდეის ერთიანობა. გენეტიკური სცენის იკონოგრაფია საიმპერატორო ტრიუმფებიდან მომდინარეობს. მრავალფიგურიანი, დინამიური, თავისი ხასიათით

განრული სცენა გადმოცემულია ძალზე პირობითად, ფორმალური, სტატუიური, რიარუსიანი კომპოზიციის სახით. მისი ცენტრია ქრისტეს ფიგურა. იგი აღმოსავლური წესისამებრ გვერდულად ზის სახედარზე, პირით მკურნებისაკენ. ქვემოდან სცენას საზღვრავს პალმის ტოტემიანი ფიგურების რიტმული მწკრივი. ზემოთ - ანგელოზთა სიმეტრიული ფიგურები. ანგელოზები ამ კომპოზიციაში იშვიათი ტიპია, რომელიც ადგიერებს სცენის სიმბოლურ მნიშვნელობას, როგორც ქრისტიანობის ტრიუმფისა.

ჭვარცმა ორ სტელაზეა გამოსახული (საცხენის, ბერიკვარი). ორივეან მოცემულია სახარების ამ დრამატული სცენის არასტორიული, შვევიანი რედაქცია. ორივე სტელაზე ჭვარცმა - სიმეტრიული სამფიგურიანი სცენა: ცენტრში - ქრისტეს დიდი ფიგურა, მის



ვერდებზე კი - სიმეტრიულად განლაგებული ავაზაკთა პატარა გამოსახულებები (ქრისტე 2-ე რ დიდი მასშტაბით). ქრისტესა და ავაზაკების ფიგურებს უკან არ განირჩევა ჯერის გამოსახულება, მხოლოდ ფეხქვეშ მოჩანს ჯერის საყრდენი). ჯვარცმულის პოზა ჯერის გამოსახვის გარეშე, აგრძობის თქმით, „მიკვება ფორმულას, რომელიც აბლოა წმ.საბინას კარის მოქანდაკის ფორმულასთან“. მაგრამ სხვაფერე ჯვარცმის ქართული რელიეფები სრულიად განსხვავებულია წმ.საბინას კარის ჯვარცმისაგან: ფიგურები გამოსახულია სადა ფონზე, მოქმედების ადგილზე ყოველგვარი მინიშნების გარეშე, ქრისტეს მოსავსე კოლოზიუმი - გრძელი უსახელო ტუნიკა, ორივეგან ქრისტე გამოსახულია წვეროსანი.



სურ.5. ჯვარცმა. საცხენისის ქვაჯვარა, VI ს.

ქართული ჯვარცმის კომპოზიციები მნიშვნელოვანია ამ სცენის ევოლუციის გაგებისათვის, რადგან ადრეული ეპოქიდან, როდესაც დაიწვეს ამ სცენის გამოსახვა (V ს.), VIII ს-ის დასაწყისამდე, როდესაც შეიქმნა სანტა მარია ანტიკეს (როში) ჯვარცმის სრულყოფილი კომპოზიცია, ცნობილია ჯვარცმის სულ რამდენიმე ნიმუში (სახილს ძვლის კოლოფი ბრატანეთის მუზეუმში - V ს., პილოგრიშების მოხატული კოლოფი ვატკანში, წმ.საბინას ხის კარი რომში - VI ს., რაბელას სახარება - 588 წ. ფლორენციაში, ბიბლიოთეკა ლაურენციათა).

სურ.6. ჯვარცმა. საცხენისის ქვაჯვარა, VI ს.

ქართულ ჯვარცმათა ავტორები ირჩევენ სახარების ამ ელმინაციური სცენის ყველაზე ლაკონიურ ვარიანტს. ამ რელიეფებში ჩანს ზუსტი კომპოზიციური აღლო, გარკვეული ესთეტიკური კონცეფცია. ქრისტეს ფრონტალური ჯერისებრი ფიგურა აწესრიგებს კომპოზიციას, ანაწილებს კომპოზიციას მიწიერ და ციერ ზონებად (ქვემოთ - ავაზაკთა მცირე ფიგურები, ზემოთ - მნათობთა ორი რელიეფური დისკო და ქრისტეს თავი). ეს თითქმის სამყაროს წესრიგის ბილელი ხატია. მნათობთა გამოსახვა აღრმავებს და ამლიდრებს გამოსახულების დოგმატურ არსს.

ქართულ ადრექრისტიანულ ჯვარცმათა ხასიათი აბლოებს მათ სცენის აღმოსავლურქრისტიანულ ვერსიებთან, ისეთ ნაწარმოებებთან, როგორცაა სირიულ-პალესტინური ბრიწყაოს საცეხლურები, წმ.მიწის აშპულები და სირიული ვერცხლის თასი უმგულიდან.

სურ.7. ჯვარცმა. საცხენისის ქვაჯვარა, VI ს.

ქრისტეს სასწაულები. წმიდა ისტორიის მოვლენათაგან ქართულ ქვასვეტებზე, ყერძოდ, ნათლისცემლის სტელაზე, გამოსახულია წმ.ვესტათეს სასწაული და ქრისტეს ორი სასწაული ბრდაძორის ქვასვეტზე. ნათლისცემლის სტელაზე წმ.ვესტათეს სასწაულის სცენა ერთადერთი ზოგადი გამოსახულებაა. მას უჭირავს სტელის საფასადო მხარის მთელი ზედაპირი. იგი აღიქმებოდა, როგორც ქრისტეს სახეში გამოცხადება, როგორც ღვთაებრივი ჩარევის ნიშანი. ვესტათეს ბილვა არ იყო უცხო ქართული ადრეული შუა საუკუნეებისათვის (იხ. მარტვილის ფრიზი, წებელდის ფილა). ყოველი კომპოზიციის თავისებურება მოწმობს ქართველ ისტატთა შემოქმედებით მიღგომას პოპულარული ქრისტიანული თემებისადმი. ქვასვეტის დანიშნულებას ზუსტად შევსაბამებოდა ვესტათეს სასწაულის დოგმატური მნიშვნელობა - ღვთაებრივი წყალობის გამოვლინება.

სურ.8. ჯვარცმა. საცხენისის ქვაჯვარა, VI ს.



სურ.ნ. ამალღება, ხანდისის
ქვასვეტი, VI ს.

სასწაულთა ჭგუფს ვეუთენის ორი ძალზე დაზიანებული სკენა ბრდაძორის სტელაზე; განრღვეულის ფრაგმენტები და ბრძის განკურნება. თუ სწორია ამ რელიეფებზე ჩვენნი იდენტიფიკაცია, ადრეული ფეოდალური ხელისუფლების ძველზე ქრისტეს სასწაულთა სცენებს უნდა დაემატოს ამ ქვასვეტის კომპოზიციები. რაც შეეხება ამ სკენათა აზრს სტელის რელიეფური პროგრამის კონტექსტში, მათი მნიშვნელობა საესეებით შეესაბამება სახარებათა დოგმატურ სიღრმისეულ არსს.

ამალღება ქრისტესი, როგორც იკონოგრაფიული პროგრამის თავისებური დაგვირგვინება, ვებღებმა სამ ქართულ ქვასვეტზე (ხანდისი, ბრდაძორი, ნაღვარევი), მეოთხეზე - დაეთის ქვასვეტზე - ამ კომპოზიციის მხოლოდ ქვედა ნაწილია დარჩენილი - ორი ანგელოზი. კიდევ ერთი ამალღების სკენა შესულია მარტვილის ყელსიის რელიეფურ ფრიზში (VII ს.). ამალღების სცენები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ოსტატურად არის ჩართული ქვასვეტის საერთო კომპოზიციაში. ასე მაგალითად, ხანდისის სტელის პირით მხარეზე ტახტზე მდომარე ქრისტეა გამოსახული, ამალღების ანგელოზი კი - გვერდით წახანგზე. ოსტატი სტელის წახანგებს დიპტიხის ფორმების მსგავსად იყენებს ერთი თემის განთავსებისათვის. ნაღვარევის ქვასვეტის ამალღების სკენა სამ წახანგზეა განაწილებული. აქაც თითქოს თავისებური „ტრიპტიქია“ შექმნილი.

ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ამალღების თემა ბრდაძორის ქვასვეტზე. ეს სკენა მოთავსებულია ქვასვეტის დამაგვირგვინებელ ნაწილზე, თავისებური „აპოტიკოსი“ ერთ-ერთ წახანგზე. ტახტზე მდომარე ქრისტე მანდორლაშია, რომელიც ოთხ ანგელოზს უყავია. ბრდაძორის რელიეფური ამალღება VI ს-ის ქართული სტელების ერთი ჭგუფისათვის დამახასიათებელი ზაზოვან-დეკორატიული მანერით არის შესრულებული. კომპოზიცია აგებულია პლასტიკური მიდგომისა და

გრაფიულ-ორნამენტული პრინციპის თავისებურ შერწყმავზე. სკენა გამოირჩევა მკაფიო და ზუსტი არქიტექტონიკით.

ადრეული შუა საუკუნეებიდან ამალღების სიუჟეტის არც ისე ბევრი მაგალითია დღემდე მოღწეული. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია - პალესტინის ამჟღებმა, სპილოს ძვლის ნაეწომანნი, ბრდაძორის „ამალღების“ ანალოგიები შეიძლება მოვიძიოთ VI ს-ის დათარიღებულ სპილოს ძვლის რელიეფებზე (ბალტიშორის მუზეუმიდან, პირპონტ მორგანის კოლექციიდან, კლუნის მუზეუმიდან). ბრდაძორის ამალღებასთან ყველაზე ახლოა სპილოს ძვლის რელიეფი მიუხეზიდან. ეს თემა განსაკუთრებით პოპულარული იყო წმ.მინის პილიგრიმულ ხელისუფლებაში. ვარაუდობენ, რომ ამალღება ამკობდა ელენის ზაზილიკას ზეთისხილების მოთზე და ეს მონუმენტური კომპოზიცია აისახა ზელნაწერთა მინიატურებში (რაბულას სახარება) და პალესტინის ამჟღებში. ცნობილია საქართველოს მკვიდრო კავშირი აღმოსავლურქრისტიანულ სამყაროსთან ადრეულ შუა საუკუნეებში, ამიტომაც საესეებით ბუნებრივია ამ პოპულარული თემის ასეთი თავისებური ათვისება საქართველოში.

სრულიად სხვაგვარად წყვეტს ამალღების თემას დაეთის ქვასვეტის ოსტატი. სამწუხაროდ, ქვასვეტის ზედა ნაწილი მომტრეველია (სტელა ჩადგმული იყო ყელსიის ბურჯის წყობაში), დარჩენილია მხოლოდ მისი ქვედა ნაწილი - სიმეტრიულად განლაგებული ორი ანგელოზი, რომელნიც ესტატი მიუთითებენ მათ ზემოთ მოთავსებულ ქრისტესს



ფიგურისაყენ (ამჟამად დაკარგულია). კომპოზიციის განთავსება სტელეს სხვადასხვა წახანაგებზე და სხვადასხვა რეგისტრებში ჩვეულებრივი მხატვრული ხერხები, ქართული კვასივებების რელიეფებით შექობისას, რაც დაკავშირებულია ძველდღეობის სტრუქტურასთან. დავათის სტელაზე ამალუების სიუჟეტის განლაგება პერტიკულური მიმართულებით შეესაბამება ამ ნაწარმოებთან სტრუქტურულ პრინციპებს.

ამალუების სცენის განლაგება ქართულ კვასივებებზე, მათ ზედა რეგისტრში, ქვის ბლოკიდან გამოყოფილ თავისებურ „კაპიტელებზე“, ამტკიცებს ჩვენ მოსაზრებებს „სულიერი იერარქიის“ ზუსტი დაცვის შესახებ სტელეების დეკორის სისტემაში. ამ პრინციპის მიხედვით, კვემოდან ზემოთ იზრდება სიუჟეტების მნიშვნელობა, მათი სულიერი ღირსება.

უმაღლეს „ციურ ზონაში“ მოთავსებული უაღრესად მნიშვნელოვანი, თავისებურად უნიკალური სცენა ბრძაძორის სტელაზე - ღმრთისმშობლის სულის ამაღლება. ასეთ დასკვნამდე მივიყვანა ამ კომპოზიციის ყველა დეტალის განხილვამ. იმის გათვალისწინებამ, რომ სტელეების ოსტატები მიმართავდნენ უკიდურესად შეკუმშულ, ლაკონურ, სიმბოლოვებამდე დაყვანილ მხატვრულ სახეებს. თავიდან ფეხებამდე მოსახამში გახვეული პატარა ფიგურა - ღმრთისმშობლის სულის განსახიერებაა. ეს თემა - Assumptio animae - ორიგინალურად არის გადაწყვეტილი ქართული ოსტატის მიერ. ამ კომპოზიციის ცალკეული დეტალები, მაგალითად, საყვირი მარცხენა ანგელოზის ხელში - განკითხვის ღღის რთული თემის ელემენტი. ცენტრში გამოსახული დიდი საცეცხლური - Koimesis-ის სცენის აუცილებელი ელემენტი და ამავე დროს განკითხვის ღღის შემადგენელი დეტალი (იოანეს წინასწარმეტყველება, თავი მ, 5). ამგვარად, ბრძაძორის ამ უნიკალურ კომპოზიციაში უცნაურად არის შერწყმული მეორედ მოსვლის იდეა ღმრთისმშობლის სულის ამაღლებასთან. ეს თემაც, სხვა ზემოთმოყვანილ რელიეფებთან ერთად, ამტკიცებს, რომ ქართულ ადრეკრისტიანულ სტელებზე შემონახული რელიეფური კომპოზიციები საერთო ქრისტიანული იკონოგრაფიის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. ისინი გვაცნობენ ადრეფეოდალური ხანის პლასტიკურ ნაწარმოებებს, რომელთა არც თუ ისე ბევრი ნიმუში შემორჩა ჩვენს დრომდე.

**წმ. მარინას ხატი სპარტოველოს ხელოვნების
სახელმწიფო მუზეუმშია**

აკად. შამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება წმინდა მარინას ხატი გურიის კოლექტიიდან, რომელიც, ძველი საინვენტარო დავთრის ჩანაწერების თანახმად, 1925 წელს ჩამოუტანიათ სოფელ ხიდისთავიდან თბილისში. ხიდისთავში ხატი ოზურგეთის გლეხთა სამაზრო კომიტეტიდანაა მოხვედრილი. ამჟამად იგი დაკუთვნილია მუზეუმის ძველი ქართული ხელოვნების განყოფილების ფონდებში (საინვ. N სსსმ„ხ“ 640). აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეების ხატწერის ეს ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში დღემდე არ არის გამოკვლევებული¹.

ხატი შესრულებულია მკირე ზომის (36X25 სმ) ხის დაფაზე, ტემპერის საღებავებით. დაფა ერთი ფიკრისაგანაა გამოთლილი, აქვს ორმაგი პროფილის მქონე ჩარჩო და უმნიშვნელო ქანობი. დაფაც, ლეკასიცი და ფერწერის ფენაც მნიშვნელოვნადაა დაზიანებული - ხე კიანაკამია, მორღვეულია ქვედა კუთხეები, გადახებილია ფონი და ფიგურაზეც ბევრგან შეინიშნება საღებავის ფენის დანაკარგები. ნაღურსმალი ადგილები მოწმობს, რომ ხატს ჰქონია ლითონის პერანგი. აღნიშნული მდგომარეობის მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ წმინდანის გამოსახულება მაინც კარგადაა შემონახული².

წმინდანი წარმოდგენილია დაფის ცენტრალურ ნაწილზე, ნახევრად შვეანე (კვედა მხარეს) და ნახევრად მოვითალო-თეთრ ფონზე მდგარი. იგი გამოსახულია ფრონტალურად, მთელი ტანით, ღურჯი სტოლით და სამ-სამად შეჭვრული მარგალიტებით უბეად შემკული წითელი მათორიუმით, რომლიდანაც მოუტანს მუბლზე მწობრ ნაკეცებად დაფენილი ღურჯი თავსაფარი. წმინდანს ორივე ხელი მკერდთან აქვს მიტანილი: მარჯვენაში უყურია მოწამის ატრიბუტი - შემწამელი ტაპის, რეაბოლოიანი თეთრი ქვარი;

მარცხენა ხელის მტევანი კი მავურებლისაა აქვს მოტრიალებული. სხეული მარცხენა ფეხზეა დაყრდნობილი, მარჯვენა - მუბლში ოდნაეადაა მოხრილი და გვერდზე გადმული. მოვერცხლისფრო მარაგანდი ვიწროა და წაგრძელებული.

ფიგურის ორივე მხარეს, მოსასხამის შემოყოლებზე ფონი თეთრადაა დაფერილი. მარცხნივ, უფრო ფართო მონაკვეთზე, წითელი საღებავით შესრულებულია წმინდანის ენაობის აღნიშნული წარწერა³, რომელიც სამ სტრიქონადაა განწილებული

H H L
M H I
H H



20745

წმინდა მოწამე დედა მარინა III საუკუნის მოღვაწეა. იგი დაიბადა ანტიოქიაში, კილიკიაში. ადრე დაბრუნებული გოგონა ბიძამ ქრისტეს რჩულს ბავშვობაშივე აწიარა; დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დევნისას, თხოვთეტი წლის მარინაც შეიპყრეს და დროებით ჩააგდეს. გოგონას სილამაზით მოზიზღულმა მმართველმა ოლიმპიუმს მისი ცურად შეიპყრა განიზრახა და სარწმუნოების შეცვლა მოსთხოვა. მარინამ რჩელის უარყოფას ტანჯვა-წამება და სიკვდილი აწუბინა. იგი ჭერ ფიცარზე დააყრეს და ზორცები ათათლეს, შემდეგ ხეზე შიბებს და ცეცხლი შეუნთეს, ბოლოს კი წყლიან კასრში ჩააგდეს დასახრხოზად. განწირული გოგონა ქრისტე წმინტის შესთხოვდა შეეღას. უყურად განათდა და ციდან მოფრენილმა მტკრებმა მოწამეს ნისკარტით ოქროს გვირგვინი მოართვა. ამ სასწაულის შემსწარ ხალხმა იესო ქრისტე იწამა. განრისხებულმა მმართველმა ბრძანა თხოვთეტი ათასი მორწმუნის სიკვდილით დასჯა. მარინას თავისკვეთა 270 წელს მოხდა.⁴

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესია მოწამე დედათა და მამათა ღვაწლს თავიდანვე დიდ პატივს მიაგებდა. მარინა სხვა ცნობილ მოწამეებთან ერთად წმინდანად შიარაქება და შთავარწმუნაქვდაც გამოცხადდა. საეკლესიო გადმოცემით მარინას ნეშთი კონსტანტინოპოლის წმ. პანტელეიმონის მონასტერში განიხვენება. სხვა ვერსიით, მისი ნაწილები, 908 წელს იტალიაში გადატანამდე, ანტიოქიაშივე ინახებოდა. ამ დროს და აქედანვე მომხდარა მისი ხელის ათონის მთაზე, ეატოპედის მონასტერში გადასვენება.⁵

საერთოდ, წმ. მოწამეთა ეკლტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ქრისტიანულ სამყაროში. ადრექრისტიანულ ხანაში, როდესაც მიწინარეობდა ახალი სარწმუნოების გავრცელების და ამსოფლიური ეკლესიის დაფუძნების რთული და საკმაოდ მძიმე პროცესი, რჩელის ერთგულების, მისთვის ენების და თავგანწირვის მაგალითები, საუკეთესო დასაბუთებას წარმოადგენდა სულის სახსენლად მაცხოვრის გზით სიარულის აუცილებლობაში დარწმუნებისათვის და ეკლესიის მიერ მისაბაძად იყო დასაბუთი ვველა ჰემმარტი ქრისტიანისათვის. მოწამეთა ცხოვრებას და ენებებს აღწერდნენ მათი თანამედროვეები (წმ. მარინას ისტორია ვინმე თეოტიმუს ჰქონია აღწერილი⁶). ეკლესიამ დააწესა მათი მოსახსენებელი დღეები (წმ. მარინას ხსენება ხდება მისი თავისკვეთის დღეს, 19 ივლისს); მათ ეკლტს უაჯმირდება შუა საუკუნეების სასულიერო ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის აღმოცენება, როგორცაა ჰაგიოგრაფია; მათთან არის დაკავშირებული ქრისტიანული არქიტექტურის ერთ-ერთი ძირითადი ტიპის, ცენტრული ნაგებობების გავრცელება, რომლებიც თავდაპირველად წამებულითა დაკრძალვის ადგილას აღმართულ სამლოცველოებს, მარტიკიუმებს წარმოადგენდა.

წმინდა მარტილთა სახელზე შთელს ქრისტიანულ სამყაროში ადრიდანვე აიგო მრავალი ეკლესია-მონასტერი (IV-VI საუკუნეებითა დათარიღებული წმ. გიორგის და წმ. დემეტრეს ტაძრები სალონიკში; წმ. ირინას, წმ. პანტელეიმონის, წმ. პოლიექტის ტაძრები კონსტანტინოპოლში; სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერი; წმ. პეტრეს, წმ. კონსტანტას, წმ. სანბას, წმინდანების კოზმან და დამიანეს ტაძრები რომში; წმ. ვიტალეს და წმ. აპოლინარეს ეკლესიები რავენაში და სხვ.). საბუთი ხელოვნებით ადრევე იქნა შემუშავებული მოწამეთა იკონოგრაფიული ტიპები. სხვადასხვა სახეობის ძეგლებზე გაჩნდა მათი გამოსახულებები (მაგ. რავენის სანტ-აპოლინარე ნეოვოს VI საუკუნის მოზაიკურ მხატვრობაში წარმოდგენილია წმ. მამათა და წმ. დედათა მრავალფიგურიანი რიგები). ამასთან დაკავშირებით, სანტერუსთა, IV საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, ბასილ დიდის მიმართება მხატვრებისადმი, მეტი დამაჭრებლობისთვის ფერწერის საშუალებით გადმოცემა წმ. მოწამე ვარლამის გმირული თავგადასავალი. საგულისხმოა, რომ ეს სიტყვები წმ. შაშის მიერ მოწამის ხსენების დღეს არის წარმოთქმული⁸.

წმინდა მოწამეთა ეკლტი ადრევე იქნა მიღებული და გავრცელებული საქართველოშიც. სადაც ქრისტიანული ეკლესიის აღიარებულ წმინდანთა გვერდით გაჩნდნენ ჰართული ეკლესიის მიერ შარავანდომოსილი, ადგილობრივი მნიშვნელობის წმ. მოწამეებიც (წმ. რაქდნი, წმ. ვესტათი მცხეთელი, წმ. აბო თბილელი, წმ. დავითი და წმ. კონსტანტინე არგვეთელი). რაც შეეხება წმინდა მარინას, პაოსელნიანის ცნობით, მისი პატივისცემა, წმ. გიორგის ეკლტთან ერთად, კილიკიასთან სიაბლოვის გამო ძალზე სწრაფად

საქართველოში
საქართველო
გეგ მ ი ი მ ი მ ა ბ

გაერცლებულა ჴეენში. მისივე გადმოცემით, ადრევე მიუღია ქართულ ველესას მოწამე/ დედის წმინდა ნაწილებიც.

საქართველოში მოწამეთა სახელს ატარებს მრავალი მცირე თუ დიდი ტაძარი, რომელთა შორის ერთ-ერთი უძველესია სწორედ წმ. მარინას საეღარო კახეთში, ზეგანის სამონასტრო კომპლექსში. ეს მცირე ზომის, ჳერული გეგმის და ცრუ გუმბათის მქონე ნაგებობა დათარიღებულია V საუკუნით³². მოწამე დედის სახელობისაა მოგვიანო ხანის, XIII საუკუნის ერთ-ერთი მცირე ველესია საფარის მონასტერში³³. მის სახელს ატარებს გვიანი შუა საუკუნეების ტაძარი დაბა კულაშში. წმ. მარინას სახელი ეწოდებოდა ქაშეთის ჳვედა სამლოცველო და აელაბრის ამეამად „მირჳმის“ ველესიას თბილისში³⁴.



სურ.2. უბისი. კედლის მხატვრობა, წმ. თელა და წმ. მარინა.

შუა საუკუნეების ქართული ბელოვნების სხედასხვა დარგის კმნილებებმა შემოგვინახა წმ. მარინას საკმაოდ მრავალრიცხოვანი გამოსახულებები. კედლის მხატვრობის, ხატწერის თუ ჳედურობის ძეგლებზე იგი ხშირად არის წარმოდგენილი სხვა წმინდა დედებთან ერთად ნახევარფიგურულად ან მთელი ტანით, როგორც მათი კოპორტის ერთ-ერთი რიგითი წევრი (მაგ. XIII ს-ის ბერთბნის, XIV ს-ის უბისის, ზარზმის, საფარის წმ. მარინას, წალენჯიხის,



სურ.3. უბისი. კედლის მხატვრობა, წმ. ირინა და წმ. კეატერინა.



ლაღაშის, სვიფის, XVI ს-ის გელათის წმ. ელას, ფარაბეთის და სხვა ეკლესიების მობატულობები; XIII ს-ის მესტიის სეტის და XIV ს-ის უბისის კარგი ბატონი დე. ვ. მ. მათიან განსხვავებულადაა გამოსახული წმ. მარინა მღვიმეის მონასტრის ეკლესიის ბატონი (XVI ს.), ზეგანის, კულაშის და ქორეთის მობატულობები (XVI-XVII სს.). მღვიმეის ბატონი იგი ნაჩვენებია საკურთხებელი მაცხოვრის და ხატის შემწირველის, დედოფლის სამოსში გამოწყობილი, მისდამი ვედრებით მიმართული ვინმე ელენეს წინაშე იმპოზანტურად მდგარი¹⁴. ზეგანის მობატულობაში წმ. მარინა წმ. კირილე ალექსანდრიელთან ერთადაა მოთავსებული საკურთხეველის აფსიდში¹⁵; ქორეთში მოწამე დედის ფიგურა ჩართულია „ამაღლების“ კომპოზიციის იკონოგრაფიულ სქემაში¹⁶; ხოლო კულაშის ეკლესიის მობატულობაში წარმოდგენილია მისი ცხოვრების სცენები¹⁷. — *საინტერესოა*

წმ. მარინას გამოსახულებათა სიმრავლე, შრავალფეროვანი ხასიათი და ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონი თვალსაჩინოს ხდის მის დიდ პატივისცემას და პოპულარობას ქართულ სინამდვილეში¹⁸. ამასვე მოწმობს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხატიც.

როგორც ხატის მიკროსკოპით გამოკვლევა გვიჩვენებს, მასზე მოკმეული წმინდა დედის გამოსახულება არ გვეთვინს ფერწერის თავდაპირველ ფენას. ფიგურა ფონთან შედარებით უფრო რელიეფურია - ხელახლა დატანილ ლეკვასის უფრო სქელ ფენაზეა შესრულებული. წმინდანის მხრების დაზიანებულ მონაკვეთებში შეინიშნება ქვედა ფენის მობატურობის კვალი - თეთრი საღებავის ზოგჯერ მონასმებით „განათებული“ ვარდისფერი მოსასხამის ფრაგმენტები და მხრების ხაზი. ვარდისფერი გმოსკვივის წმ. დედის ფეხების არეებში გადატლილი ლურჯი კაბის რამდენიმე მონაკვეთშიც. ირკვევა, რომ მარინას გამოსახულების ქვეშ, ფერწერის პირველ ფენაზე წარმოდგენილი ვოფილა ერთი, შედარებით მცირე ზომის ფიგურა, რომელსაც ემოს ვარდისფერი მოსასხამი. პირველი ფენის მობატურობიდან უნდა იყოს დარჩენილი აგრეთვე ამჟამინდელი, სანახევროდ მწვანე და მოყვითალო-თეთრი ფონიც.

საინტერესოა, რომ ზედა ფენის გამოსახულებაც შეცვლილი კონფიგურაციითაა მოღწეული. წმინდანის მხრები შემოკრიბულია და დადაბლებული, რის გამოც მისი ფიგურა წარმოვიდგება დარღვეული პროპორციებით. ბატონე შესამჩნევად წერილი ლურსმუნის ნაცვალევი ცხადყოფს, რომ ზედა ფენის მობატურობა საგანგებოდ არის მოჭრილი და მორტყეული ქვედური პერანგისთვის¹⁹. ამასვე მიზეზითაა შეცვლილი შარავანდის სილუეტიც. აღსანიშნავია, რომ ხატის ქვედა ნაწილში, ფიგურის შემოყოლებამდე ალაგ-ალაგ დარჩენილია წითელი საღებავის კვალი.

წმინდანის მხრებზე შემორჩენილი მოსასხამის ფრაგმენტები საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ ფიგურის თავდაპირველი სილუეტი, რომელიც ხასიათდება პროპორციების სიმწკრიბით და ოდნავი წაგრძელებით.

ფიგურის სილუეტი, სახის ე.წ. „კვერცხისებრი“ ოვალი, ნაცვების ფორმა, ბატონის ტყეწია და სტილი პალეოლოგოსური ხანის ხელოვნებისთვის არის დამახასიათებელი. ამ ხანაზე მივყვანივს თხელ, სწორ და გრძელ ცხვირთან ახლოს ჩასმული არც თუ დიდი ზომის თვალები თითქოსდა გადაბმული წარბებით და საკმაოდ ფართო ყვრილობები. დამახასიათებელია ცხვირთან მიახლოებული, მჭიდროდ მოკუმული, პატარა ზაფთის ფორმის ტუჩები და წინ წამოწყული მომრგვალებული ნიჟამი. წმინდანის ველი მალაღია და „ჩაღარულია“ მუქი ხაზით. სახის ნაცვების ფორმითა და წყობით წმ. მარინას პორტრეტი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს XIV საუკუნის ქართული ფერწერის ძეგლებზე, კერძოდ კი უბისის ბატონზე და კედლის მობატულობაში წარმოდგენილ წმინდანთა გამოსახულებებთან (იხ. ფოტოები). დიდ საბალოცს ავლენს ჩვენი ხატი აღნიშნულ გამოსახულებებთან აგრეთვე წერის მინერის თვალსაჩინოება²⁰. კვლავ შემთხვევაში სახეები ნაწერია მუქ, უპირატესად ზეთისბლისფერ ფუფუნებზე, ისე, რომ ფუძის ფერი „დარჩდილულ“ ადგილებზე დატოვებულია თითქმის ხელახლოვლად, დამატებითი ჩამუქების გარეშე. დარჩდილულია სახის ოვალის შემოყოლება, თვალთა უბები, ცხვირის კონტურის და ტუჩების მიმდებარე მონაკვეთები. განათების აღნიშნული გალიავენის ხორცისფერი ფენა ნიღაბივით ფარავს სახის თითქმის მთელ ფართს, დარჩდილული ადგილების გამოკლებით. გალიავენა შესრულებულია ორ ფენად, თანდათანობით გამაცეებით. განსაკუთრებით გაძლიერებულია



სურ.4. უბისი. კედლის მხატვრობა, წმ. დავითი

და შორეული გრაფიკული მონასმებით, რითაც მიიღება პალეოლოგოსური ფერწერისთვის დამახასიათებელი ქსოვილის სადაფისებურად აპრიალების ეფექტი.



სურ.5. უბისი. გაბრიელ მთავრანგელოზის ხატი.

„სინათლე“ შებლის, დაწვევის ზედა ნაწილების, ცხვირის თემის და ნიკანის მონაკვეთებზე, სადაც „შუქის“ მხატვრობის ინტენსიუობისთვის გამოყენებულია დამატებითი, თითქმის სუფთა თეთრი ფერის, ფორმის შესაბამისი მონასმები. ათინათის აღმნიშვნელი თეთრი შტრიხები დატანილია თვალის კუთხვებთან, ცხვირის წვერზე, მარჯვენა ნესტოზე, ტუჩებს ზემოთ, ყურებზე, ნიკაპზე და წარბების შემოვლებამზე. წმ. მარინას სახეზე, ისევე, როგორც უბისის წმინდანთა სახეებზე შუქ-ჩრდილის ლაქები კონტრასტული ფერისაა, მაგრამ მათ შორის ზღვარი არ არის შეკვეთილი. იგი შერბილებულია წერის ფაქიზი მანერის წყალობით და ურთიერთშებების ადგილებში ფერთა „ჩადნობის“ ტექნიკის გამოყენებით. ასევე ნახად, „ჩადნობითა“ აღნიშნული დაწვებზე ჯირშიზის (წითურობის) ლაქებიც.

პალეოლოგოსური სტილისთვის და კერძოდ XIV საუკუნისთვისაა დამახასიათებელი წმ. მარინას სამოსის ფერწერული მოფორმებაც. სტოლის მარჯვენა სახელოზე და აგრეთვე ჰვედა კალთის მარჯვენა მხარეს შუქი ღერო ფერი შევეთრადაა განათებული თერთი, კუთხოვანი სახასიათო მომენტითაც წმ. მარინას ხატი წარმოვედგება როგორც პალეოლოგოსური სტილის ძველი. ისე რომ, მისი დიდი სიახლოვე უბისის მონუმენტური და დაზგური ფერწერის ძეგლებთან საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგიც შექმნილი უნდა იყოს XIV საუკუნეში.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ უბისის ხატებთან შედარებით, წმ. მარინას ხატის მხატვრობა ხასიათდება ნაკლები ოსტატობით. ამაზე შეტყველებს შედარებით სქელი და მოფხვნილი კონტური, წარბების შემობახვა ორ-ორი პარალელური ხისტი ხაზით. საკმაოდ დუნე, შშრალი და გამოშახველობას შოკლებულია მათორიუმის ნაკევების ნახატიც და სტოლის განათების აღმნიშვნელი თეთრი შტრიხებიც. აღნიშნული მომენტები



მოწმობს, რომ წმ. მარინას გამოსახულება შესრულებულია პროფესიონალი, მაგრამ უბისის მხატვრებზე უფრო დაბალი კლასის ოსტატის ხელით.

აღსანიშნავია, რომ წმ. მარინას სახე მოდელირებულია გაცილებით უფრო რეალისტურად ვიდრე მისი სამოსი, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა წმინდანის ფიგურა და კუთვნილ სამოსი „გაახლებულ-გაცხოველებულ“ იქნა უფრო მოგვიანებით, ხატის მოჭედვის წინ. როგორც მიკროსკოპში ჩანს, წითელი მათერაიუმის კალთა წელთან უფრო ჭვეშოთ იყო ჩამოწეული, შემდგომ კი მასზე გადაუტარებიათ ლურჯი საღებავი. შესაძლოა ეს შესწორებაც ხატის მოჭედვის წინ მოხდა, თუმცა ცნობილია, რომ ამგვარ გადაკეთებებს ზოგჯერ უშუალოდ ხატვის პროცესშიც ჰქონდა ადგილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული წმ. მარინას ხატი (მისი ძირითადი, დღესდღეობით არსებული გამოსახულება) ჰყენს მიერ XIV საუკუნის ხატწერის ძველად არის მიჩნეული. საგულისხმოა, რომ სწორედ XIV საუკუნის მხატვრობის ბევრ ძეგლზე (უბისის, ზარზმის, წალენჯიხის, ლაღამის, სეიფის ფრესკები, უბისის მცირე კარები და ა.შ.) წმ. დედათა გამოსახულებებს გამოირჩეულად, ცალკე რეგისტრები აქვს დათმობილი, ხოლო წალენჯიხაში ისინი პერსონიფიკირებული კერძო დღეების სახითაც კი არიან წარმოდგენილი¹.

ამრიგად, ხელოვნების მუზეუმის ხატი გვევლინება როგორც პალეოლოგოსური ფერწერის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშთაგანი. საქართველოში შემორჩენილი ამ ხანის ფერწერული ხატების ძალზე მცირე რაოდენობის გამო, მას მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ერთი მხრივ ხელოვნების მუზეუმის კოლექციაში და მეორე მხრივ შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული ხელოვნების საგანძურში.

შენიშვნები

1. ხატის შესახებ ინფორმაციას ვერ ვხვდებით ვერც დ.ბაქრაძის ნაშრომში „მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ (თბ., 1987 წ.), რომელიც გამოცაა რუსულ ენაზე სანქტ-პეტერბურგში (1878 წ.).
2. ხატი გამაგრებული და გაწმენდილია რესტავატორ ნ.კიტოვანის მიერ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სარესტავატორო განყოფილებაში, 1985-1986 წლებში.
3. ეს ადგილი უჩვენებდა წარწერისათვის. როგორც წესი, განმარტებითი წარწერები თავსდება წმინდანთა მხრების ან შარავანდების ღონეზე, ხატების ზედა ნაწილებში.
4. თვენი, წიგნი 2, თბ., 1984 წ., გვ. 431-432.
5. იქვე
6. იქვე
7. В.Н.Лазарев. История византийской живописи, т.1, М. 1986 г., с.43
8. Л.А.Успенский. Богословские школы православной церкви. М. 1989 г., с. 53.
9. П.Иоселиани. Описание древностей города Тифлиса. Тифл., 1866, с. 56.
10. Г.Н.Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тб. 1959, т.1, с. 261, 264, მისივე - История грузинского искусства, т.1, Тб., 1936, с. 31.
11. ვ.ბერიძე. მამუცის ხუროთმოძღვრება XIII-XVI სს-ში, თბ., 1955, გვ. 56-57.
12. კ.ინცაძე. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია თბილისში. თბ., 1994, გვ. 39-40.
13. З.Схиртлаძე. Роспись пещерного храма в Бертубани. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата искусствоведения. Тб., 1987, с. 11. შ.ამირანაშვილი. უბისი. მასალები ქართული ეკლესიის მხატვრობის ისტორიისთვის. ტტფ., 1930, გვ. 61, ტაბ. XCIII-XCVIII; Е.Такаишвили. Археологические экскурсий, розыскания и заметки. Вып. 1, Тиф., 1905, с. 63; Д.П.Гордеев. Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году. Известия



Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе, т.1, Тиф., 1923, с. 56; И.Лорджипанидзе. Роспись Цаленджиха. Тб., 1992, с. 90. იხუსკიყაძე. გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ტაძართა „ხალხური“ მოხატულობები „სადისერტაციო შაენე“ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1995, გვ. 16, 29; Н.Чичинадзе. Сетийский триптих. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата искусствоведения. Тб., 1987, с. 11; ნ.ბურჭულაძე. ბაბლაც ლაშქისშვილის ხატები და მათი კავშირი უბისის ტაძრის მოხატულობასთან. „სადისერტაციო შაენე“, ხელოვნებამცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1994, გვ. 9.

14. თ.საფვარელიძე, გ.ალიბეგაშვილი. ქართული ხატები. თბ., 1994, ტაბ.56
15. იხუსკიყაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 34.
16. იქვე, გვ. 22. ავტორის აზრით, წმ. მარინას გამოსახულების წართვა „ამაღლების“ სცენაში იმით აიხსნება, რომ წმ. დედამ თავისკვეთის წინ იხილა უფლის გარდამოსვლა და ხელახალი ამაღლება.
17. ეს ინფორმაცია ხელოვნების მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანაშრომელმა ნ.ჩხლაძემ მოგვაწოდა.
18. აქ უნდა აღინიშნოს, რომ პ.იოსელიანის ცნობით, მას საკუთარი თვალთ უნახავს X საუკუნის, პერგამენტზე ნაწერი, წმ. მარინას ცხოვრების გალექსილი ტექსტი. მისივე სიტყვებით „ეს ერთადერთი ძველი პერგამენტზე ნაწერი მანუსკრიპტი ქართველებს ვინმე ტიურინისთვის მიუერთვევიათ, რომელსაც იგი სანკტ-პეტერბურგში წაუღია“. პ.იოსელიანს მოაქვს აგრეთვე კათალიკოს ანტონ პირველის მიერ წმ. მარინასადმი მიძღვნილი იამბიკო, რომელიც მის მიერ შედგენილი მარტიროლოგიის პროლოგისთვის დაურთავს:

„სანკტ-მარგარიტებს, შუანება ქალწულისა,
 ადამს მტკიცობს, გონება შეუხები,
 მრჩობლს ვტუალს ავღინებს, ყრმამ ბრძენი მარინა,
 სხტა და სხტათა მენები, ქედს იფარდულებს შაბვილს“.
- (იხ. П.Иоселиани. დასახ. ნაშრ., გვ. 56)
19. ასევე მოჭრილი ჭედური პერანგის მოსარგებად გურიის კოლექციის კიდევ ერთი ხატი, იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებით (სხსმ „ბ“ 641). ამ ხატების ლითონის პერანგების ბედი ღვენითვის წერ-წერობით გაურკვეველია.
20. თავის მხრივ უბისის ხატების სტილური მსგავსების შესახებ XIV ს-ის ბიზანტიური ხატწერის ძეგლებთან იხ. ნ.ბურჭულაძე. „ბაბლაც ლაშქისშვილის ხატები და მათი კავშირი...“ დისერტაცია მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1994, გვ. 101-158.
21. И.Лорджипанидзе. დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

**გურჯაანის ყველაწმინდას არქიტექტურული
რაიონის საკითხები**

გურჯაანის ყველაწმინდა ქართული ხუროთმოძღვრების გარდამავალი ხანის ძეგლია, რომლის გვერდებზე და სიერკობრივ-მოცულობით გადაწვევებში ნათლად გამოვლინდა ეპოქისათვის დამახასიათებელი ძიებები. მისი თავისებური არქიტექტურული სტრუქტურა ქართული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაში ოთხსაუკუნოვანი განვითარების მანძილზე არსებული სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის ცალკეული ელემენტებისა თუ კომპოზიციური სტრუქტურის ურთიერთშთანხმების შედეგად შეიქმნა. ამდენად, გურჯაანის ყველაწმინდას ამ კუთხით განხილვა თავად არქიტექტურული სტრუქტურის რაობის, ხუროთმოძღვრული თავისებურებების, შესაბამისად ქართულ არქიტექტურაში ამ ძეგლის ადგილის განსაზღვრის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

გარდამავალი ხანა ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ფრიად საინტერესო პერიოდია, რაც უპირველესად წინა საუკუნეების მიღწევებით არის განპირობებული. ამ დროისათვის ჩამოყალიბებულია ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ორი ძირითადი თემის, უფუშბათო და გუშბათიანი არქიტექტურის მთელი რიგი ტიპები; უფუშბათო არქიტექტურაში - დარბაზული, ორნაოვანი ეკლესიები, სამნაოვანი და სამეკლესიანი ბაზილიკები, ხოლო გუშბათიანი არქიტექტურაში - თავისუფალი ჭერის ტიპი, ტეტრაკონქი, ჩაბაზული ჭერის ტიპი. ამდენად, ქართული ხუროთმოძღვრება განვითარების ამ ეტაპზე არქიტექტურულ ტიპთა სიმრავლით და მრავალფეროვნებით ახალი კომპოზიციური სტრუქტურის დამუშავების და გადაწყვეტის შესაძლებლობას იძენს. სწორედ ტიპოლოგიური მრავალგვარობა, არქიტექტურულ ფორმათა სიმრავლე ქმნის გარდამავალ ხანაში ამ მიმართულებით ძიების საფუძველს. სხვადასხვა არქიტექტურული სტრუქტურის, ცალკეული ფორმებისა თუ ელემენტების ვარიანტების შედეგად ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იქმნება ახალი არქიტექტურული სტრუქტურა, რომელიც ორიგინალური გააზრებითა და თავისთავადობით გამოირჩევა. გარდამავალი ხანის ამგვარ ძეგლებში ხუროთმოძღვრული სახის ფორმირება განსხვავებული ფორმებისა და ხერხების გამოყენებით ხორციელდება. შესაბამისად განიჩნევა მათი მატერულ-არქიტექტურული ღირებულება, მაცრამ თითოეული ძეგლი უდაოდ ახლის ძიების შედეგს წარმოადგენს. ამ რიგის ძეგლებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მრავალი ასპექტით საინტერესო ნიმუში გურჯაანის ყველაწმინდას ტაძარია.

გურჯაანის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია, ე.წ. ყველაწმინდა, მდებარეობს გურჯაანიდან 2 კმ-ის დაშორებით, კახთუნის ხეობაში. აგებულია VIII საუკუნეში. ძეგლი საკმაოდ კარგად არის დაცული, თუმცა გარკვეული ცვლილებები ნათლად განიჩნევა (დაეწირობებოდა რიგი ღიადები, შეცვლილია აღმოსავლეთი ფსალისის დეკორატიული მორთულობის სქემა, კედლის წიხაში შეკეთების კვალი შეინიშნება). ეკლესია ნაგებია რიყის ქვით და აგურით. შენიშნის კუთხეებსა და ფსალისის ზოგერთი ელემენტისათვის გამოყენებულია შირიმის ქვა.

ტაძარი გვერდში წარმოადგენს წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის ნეგებობას (24,5 მ x 19 მ), რომელიც სამი წყვილი ბურჯით სამ ნაგად არის გაყოფილი. შუა ნავის ცენტრალური ნაწილი გადხურულია კამარით, ხოლო მის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეს გუშბათებია აღმართული. ორგუშბათიანობა გურჯაანის ყველაწმინდას ყველაზე



სახასიათო ნიშანია. ტაძრის შიდა სივრცე ორ სართულად არის გააზრებული. პირველი სართულის ღონეზე გვეგმაში სამწაწილიანი საყურთხვევლი, სამი ნაეი და მდებარე ნარტექსია. ტაძარში შესასვლელი სამხრეთიდანაა. ამავე მხარეს გაკერილი ნარტექსში, რომელიც თავის მხრივ კართ ტაძრის ძირითად სივრცეს უკავშირდება.

მეორე სართულის ღონეზე ინტერიერი განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. თუ პირველ სართულზე სამივე ნაეი ერთიან სივრცეს ქმნის, აქ შუა და გვერდითი ნაეები კედლებითაა გამოყოფილი. ამდენად, გვერდითი ნაეების მეორე სართულზე იზოლირებული გრძელი სადგომებია, რომელთა ცენტრალური ნაეისაგან გამოიყვანე კედლებში მხოლოდ მცირე ზომის, ადამიანის სიმაღლეზე მაღლა განლაგებული, ღიადებია მოთავსებული. ისინი, საფიქრებელია, ღვთისმსახურების მოსამსვენად იყო გამიზნული. აღსანიშნავია, რომ სამხრეთი სადგომის სამხრეთ კედელში ძალზე დიდი ზომის განიერი ღიადი იყო მოთავსებული, რომლებიც იატაკის დონიდან იხსნებოდა. დღეს ისინი დაიფარა და დაზოგებულია. ამ სადგომების აღმოსავლეთით კვადრატული ფორმის აფსიდისანი სათავსებია, ხოლო დასავლეთით - პატრონიკე. ის ცენტრალურ სივრცეში სამ რიგად განლაგებული ხუთი ღიადით არის გახსნილი. პატრონიკეს დასავლეთით ნარტექსის თავზე არსებული ტერასიდან დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს.

როგორც ძველის მოკლე აღწერიდან ჩანს გურჯაანის ყველაწმინდა საყმაოდ რთულ არქიტექტურულ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელშიც სხვადასხვა არქიტექტურული ტიპის ცალკეული ელემენტები თუ კომპოზიციური სქემებია კომბინირებული. ერთ-ერთი არქიტექტურული ტიპი, რომლის გავლენა ამ ძველის არქიტექტურული სტრუქტურის ფორმირებაში ნათლად განიჩნევა, არის ბაზილიკა.

გურჯაანის ყველაწმინდას გვემა ბაზილიკის მსგავსად დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. შიდა სივრცე ბურჯების საშუალებით სამ ნაეადაა დაყოფილი, რაც ექსტერიერშიც ნათლად აისახება. ორკალთა სახურავიანი შუა და ცალფერდა გვერდითი ნაეების გადახურვა ტრადიციულ ბაზილიკურ ტრიბუნას ქმნის. საყურადღებოა, რომ ყველა ეს მომენტი არსებითაა ბაზილიკისთვის და მის სახასიათო ნიშან-თვისებას წარმოადგენს. გურჯაანის ყველაწმინდას ხუროთმოძღვარი ამ ტრადიციულ სქემას შუა ნაეის თავზე ორი გუმბათის აღმართით ახლებულ მნიშვნელობას ანიჭებს. საგულისხმოა, რომ გუმბათიანი არქიტექტურიდან ის ასევე ყველაზე სახასიათო არქიტექტურულ ელემენტს, გუმბათს, იჩიყვს და თამამად ათავსებს მას ბაზილიკის კომპოზიციურ სქემაში. ის ფაქტი, რომ გურჯაანის ტაძარში არა ერთი, არამედ ორი გუმბათია გამოყენებული, ბაზილიკისათვის დამახასიათებელი თანაფარდობის დაცვას ემსახურება. მხოლოდ ერთი გუმბათის აგება სრულიად განსხვავებულ სივრცობრივ გადაწყვეტას გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში მისი როლი არქიტექტურული ნაგებობის მთლიან სტრუქტურაში უფრო გამოიყვითლდა უნდა აღნიშნულიყო, რაც გუმბათის ზომის გაზრდას, ინტერიერში ცალკეული ნაწილების ურთიერთდაკავშირებადობის არსებული სქემის შეცვლას და ექსტერიერშიც მკვეთრ აქცენტრებას გამოიწვევდა. ყოველივე ზემოთქმულის საპირისპიროდ, გურჯაანის ყველაწმინდაში ძირითადად ბაზილიკური ნაგებობისათვის დამახასიათებელი კომპოზიციური და პროპორციული გადაწყვეტა დარჩა, მაგრამ გაჩნდა ახალი ელემენტი - გუმბათი. თუმცა გურჯაანის ყველაწმინდაში მას არ აქვს შიდა სივრცის მორგანიზებელი ის ფუნქცია, რომელიც საქართველოს გუმბათიანი ტაძრებისათვის არის დამახასიათებელი. აქ გუმბათი, როგორც გარკვეული არქიტექტურული ფორმა, გამოიყენება და ნაგებობის სივრცობრივ-მოცულობით ორგანიზაციაში საყურთხვე გუმბათიანი არქიტექტურის გავლენა ნაკლებად შეინიშნება.

გურჯაანის ყველაწმინდა ერთადერთი ორგუმბათიანი ტაძარია საქართველოში. რაც, ცხადია, ზრდის მისდამი ინტერესსა და ძველის მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ



ქრისტიანულ ხეროთმოდღერებაში ამგვარი ტაძრების რიცხვი მცირეა. ამასთან უმეტესად მეორე გუმბათი გადაკეთებისას არის დამატებული (წმ.ირინე კონსტანტინოპოლელი, წმ.სვიმონის ტაძარი ასუანში², ნესტორიანული ეკლესია აშიდში³, პანაგია კვიპროსზე⁴).

გაბუნიანშვილის აზრით გურჯაანის ყველაწმინდა ქრისტიანულ ხეროთმოდღერებაში ორგუმბათიანი ტაძრის შექმნის პირველ ცდას წარმოადგენს⁵. ორგუმბათიანი ტაძრის აგება თავისებური ამოცანის წინაშე აყენებს ხეროთმოდღერას, რადგან აქ დგას ორი ერთნაირი არქიტექტურული ფორმის ურთიერთშეთანხმებისა და ნაგებობის საერთო სივრცობრივ-მოცულობით გადაწყვეტაში მათი მნიშვნელობისა და ადგილის განსაზღვრის საკითხი. შესაძლებელია ორი გუმბათიდან ერთი მთავარი იყოს, რასაც მისი მდებარეობა, ზომა, ფორმა განაპირობებს, ხოლო მეორე დაქვემდებარებული (მაგ. წმ.ირინა კონსტანტინოპოლში), ან მათ არქიტექტურულ სტრუქტურაში მეტ-ნაკლებად თანაბარი მნიშვნელობა მიენიჭოთ, რის მაგალითსაც გურჯაანის ყველაწმინდა წარმოადგენს.

ბაზილიკის სქემასთან ორი გუმბათის დაკავშირებით მიღებული არქიტექტურული კომპოზიცია გურჯაანის ყველაწმინდაში მეორე სართლის თავისებური გადაწყვეტით კიდევ უფრო მეტად არის გართულებული. ნაგებობის მეორე სართული სამეკლესიანი ბაზილიკისათვის დამახასიათებელი სივრცის იზოლირებულ ნაწილებად დაყოფის პრინციპზეა აგებული, და შუა ნავი გვერდითი ნაგებობასგან კედლებით იზიწნება. საგულისხმოა ისიც, რომ სამხრეთ კედელში დიდი ზომის ლიადის განთავსება, ასევე სამეკლესიანი ბაზილიკებში გავრცელებული თაღებიანი შესასვლელის მოტივის მსგავს გადაწყვეტას იძლევა.

ამრიგად, გურჯაანის ყველაწმინდაში კომბინირებულია საშწავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკების, გუმბათიანი არქიტექტურის ცალკეული ელემენტები და კომპოზიციური სქემები. შესაბამისად, შექმნილია საკმაოდ რთული და თავისებური არქიტექტურული სტრუქტურა, რომელიც შემაღდგენელი ნაწილების სიმრავლით გამოირჩევა - სამ ნაეად დაყოფილი ძირითადი სივრცე, ნარტექსი, პასტოფორიუმები, მათ ზემოთ არსებული სათავსები, მეორე სართლის ჩრდილოეთი და სამხრეთი სადგომები, პატრონიკე. ასეთი დანაწევრების მიუხედავად ტაძრის ძირითადი სივრცე ხალვათი და მონოლითურია, რაც ინტერიერის საერთო ხასიათს განსაზღვრავს.


გურჯაანის ყველაწმინდა არქიტექტურული სტრუქტურის ფორმირებისა და ჩამოყალიბებული სახის თავისებურებით ქართული ქრისტიანული ხეროთმოდღერების ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლია, რომელიც მისი განვითარების გარკვეული ეტაპის ფრიად საინტერესო მხატვრულ-არქიტექტურული ძიებების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. ტიპოლოგიურად ძველის არქიტექტურული სახის ფორმირებაში განირჩევა სამწავიანი და სამეკლესიანი ბაზილიკების, გუმბათიანი არქიტექტურის ელემენტები. ამასთან, არქიტექტურული სტრუქტურის ჩამოყალიბების უმთავრეს საფუძველს სამწავიანი ბაზილიკა წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. W.S George. The church of Saint Eirine at Constantinople, Oxford, 1913.
2. Г.Н.Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тб., 1959, с. 286.
3. G.L.Bell. Churches and Monasteries of the Tur-Abdin, 1913, p 33 pl XX.
4. Я.И.Смирнов. Христианские мозаики Кипра, Византийский Временник, т. IV. СПб 1897, с. 67-71. G.Millet, L'ecole quecque, Paris, 1916, p. 100.
5. Г.Н.Чубинашвили. Архитектура Кахетии, Тб., 1959, с. 286.

რომის აშენდა ტონიო?

სოფელი, რომელშიც ჩვენი საკვლევი ნაგებობა, დარბაზული ტიპის ეკლესია აღმართული და დღეს ყაურმა პქვია, ჭავჭავთის პლატოზე, კინოწმინდიდან 4-5 კმ-ის დაშორებით, მდინარე ფარანის ორსავე ნაპირზეა გაშლილი, სოფელში შემორჩენილი სიძველეები - წარწერებითა და მორთულობით მდიდარი ეკლესია, ძველი ხუთმალიანი ხიდი, რომელსაც გადმოცემით ასომთავრული წარწერა პქონია - უმაღლე ცხადყოფს იმ მნიშვნელოვანებას, რომლითაც უწარმოებიათ აღმშენებლობა აქაურ ოსტატებს. დღეს ცენტრალურ გზებს



სურ.1. ტონიოს ანუ ყაურის ეკლესია.
ფოტო ნ. ვაჩიშვილის.

მოცილებული დასახლება, სადაც XIX ს-ის 30-იან წლებში ჩამოსახლებული სომხები ცხოვრობენ, თავის დროზე მნიშვნელოვან მაგისტრალზე მდებარეობდა. განვითარებული შუა საუკუნეების დროს აქ გადიოდა ბიზანტიიდან და სომხეთიდან თრიალეთსა და თბილისისაკენ, კახეთსა და ირანისაკენ მიმავალი ერთ-ერთი მოსახერხებელი გზა[1]. თვით XIX ს-ის ცნობითაც კი სოფლის ძველ ხიდზე გადადიოდნენ ჭავჭავთიდან აღმოსავლეთ საქართველოში მიმავალი სიღნაღის, თიანეთისა თუ სხვა მაზრების ცხვრის ფარები[2]. ისტორიულ წყაროებში უშუალოდ სოფლისა და მასში აღმართული ეკლესიის შესახებ ცნობები ძველი მისაკვლევია, რადგან სოფლის სახელწოდება - ყაურმა ნაგვიანვეა, თავად ეკლესიის სახელობაც დაეიწვებულია და ამ სახით მათ შესახებ ცნობათა მოძიება, როგორც აღენიშნეთ, თითქმის შეუძლებელი.

მათი რაობისა და ისტორიის შესახებ „გასაღებს“ ისევ და ისევ ტაძარი და მისი წარწერები იძლევა. ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული მნიშვნელობისა და შენახულობის წყალობით მათ ადრევე მიიტყვის ვურადღება, რამდენიმეგზისაც არიან გამოკვეთებული, მაგრამ, ამის

მიუხედავად ეკლესიის ისტორიისა და თარიღის შესახებ ბევრი რამ დღემდე გაურკვეველი რჩება.

ეკლესიის ოთხი წარწერიდან ორი ძირითადი, სამშენებლო მთავრული წარწერა სამხრეთის ფასადზე, შესასვლელის თავზე, ბალაერის ქვაზე ამოკვეთილი. პირველი მათგანი ჭეის შემამკობელ ჭეჭურთშოვან სათაურსა და ჩარჩოს შორის ოთხ სტრიქონად თავსდება: - „ქ[რისტე] აღიღე გიორგი მღვდელ და შეიღნი მ[ათნი]“. მეორე წარწერა იდეურად და კომპოზიციურად მთავარ, ჭეის ცენტრალურ არეზე ჭერის მკლავებს შორის იწეება, მარჯვენა მხარეს ხუთ სტრიქონად გადადის და ეკლესიის თავწარწერად გვევლინება: - „ქ[რისტე] აღიღდე მღვდელის მღვდელის ქართლისა ქათალიისის და შეიღნიღე დღესა მ[ათნი] ა[მენ]“.



სურ.2. ტონთიო, სამხრეთის კარის ბალაერი.
ფოტო ნ. ვაჭიშვილის

ამრიგად, ეკლესიის უმთავრეს, სამშენებლო წარწერაში მოხსენიებულია ორი, საქართველოს ისტორიაში ცნობილი პიროვნება - მეფე გიორგი I (1014-1027 წწ) და სვეტიცხოვლის მშენებელი მელქისედეკ კათალიკოსი (1010-1033 წწ). ამ უყანასენელს კი ცენტრალური, შეიძლება ითქვას მთავარი ადგილიც ეთმობა. უმაღლესი ხელისუფლის - მეფის სადიდებელი წარწერის გვერდით ქართლის პატრიარქის მნიშვნელობა ცხადყოფს, რომ ეკლესიას მელქისედეკი აშენებს მეფე გიორგის ზეობაში. სამშენებლო წარწერაში ქართლის პატრიარქის მოხსენიებით ტონთიო გამონაკლისს არ წარმოადგენს. ასეთი წარწერები გვხვდება იმ ეკლესიებში, რომლებსაც ქართლის პატრიარქი მთავარი საკათედრო ტაძრის - სვეტიცხოვლის კუთვნილ სოფლებში აშენებს. ასეთია მაგ., ჭავჭავაძეთა იმავ მელქისედეკის წარწერა ზორენიაში, ზურტაყეთში - სოფ. საჭაში, მისი მომდევნო პატრიარქის - იოანეს სახელს უყავშირდება სოფ. ფოკას ეკლესია, ორომაშენი და სხვა[5]. ამ წარწერებშიც პატრიარქი მარტო, ან, ტონთიოს მსგავსად, მეფესთან ერთად მოხსენიება (მაგ. ფოკაში).

ტონთიოს ეკლესიის ქართლის კათალიკოსთა კუთვნილებას ადასტურებს დასავლეთის ფასადის კვებზე, მელქისედეკის მეორე გაზრდილი, მისი შემდგომი პატრიარქის იოანე-ოტროპიის წარწერა - „ქ[რისტე] აღდდე ოქ[როპ]ი[რ] კათალიკოსი“. იგი კათალიკოსად ჩანს 1033-1048 წწ-ში.



ამგვარად, როგორც ვხედავთ, წარწერებში მოხსენიებულ პირთა მოღვაწეობა დიდ დროით შეაღწეოს და ამიტომ აუცილებელი ხდება ისტორიული ანალიზისა და არქიტექტურაზე დაკვირვებით, დადგინდეს გელესიის აგების პერიოდი. ერთი რამ უნდა გვახსენებდეს, ტონთიოს ტაძარი ერთბაშად, დროითი წყვეტილების გარეშე აგებული შენობაა და მისი დათარიღებაც, შესაბამისად, შვიტე დროითი ჩარჩოებით უნდა შემოიფარგლოს. დღემდე, როგორც ვთქვით, წარწერები მრავალჯერა გამოცემული, ზველევარნი გელესიის თარიღსაც შეეხებოდნენ, მაგრამ ეს საკითხი გადაჭრილად ვერ ჩაითვლება.

წარწერების პირველი გამოცემული იგანე როსტომაშვილი მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაციის იხდენს და გელესიის თარიღს ზოგადად ასახელებს [4]. ექ.თავაიშვილი მშენებლობის დაწყებას მელქისედეკის, დამთავრებას კი ოქროპირ კათალიკოსის დროს ვარაუდობს, რასაც ზენის მხრივ თარიღის უფრო დამაძველებელ მფეე გიორგის წლებს თუ დაუმატებთ, გელესიის ასაშენებლად შეუსაბამოდ დიდი დრო, სულ მცირე 7-9 წელი მაინც გამოვა, ისიც გარკვეული პირობითობის დაშვებითა და „ნებისმიერი“ შემოფარგვლით. ამიტომ, როცა თარიღის აღნიშვნაზე დგება საქმე, თავაიშვილი მას ზოგადად, XI ს-ის I ნახ-ით ფარგლავს [5]. ნბერძენიშვილიც მშენებლობას მკაფიო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ვერ სვამს, რადგან მისი აზრით გადასაწყვეტია ტონთიო ერთდროული ნაგებობაა თუ „სხვადასხვა შენამოქმედთა ქაში“. ამიტომ იგი მხოლოდ წარწერებს ათარიღებს, თავად ტაძარზე, მის ხუროთმოძღვრებაზე კი საბოლოოდ არათერს ასყენის [4]. ჭავჭავაძის ეპიგრაფიკის მკვლევარი ცისკარიშვილიც საკმაოდ ბუნდოვნად ფარგლავს ტაძრის მშენებლობის დროს და ჭერ მელქისედეკის დაწყებული და ოქროპირის დამთავრებული ჰქონა, შემდეგ კი გრძნობს რა ამ შეაღწევის ხანგრძლივობასა და უტერბულობას, ზოგადად ასყენის - მშენებლობა მელქისედეკის დროს დამთავრდა, ოქროპირის წარწერა კი შემდგომა შესრულებულია [7].

ეფიქრობ, წარწერებში მოხსენიებულ პირთა ზეობის ურთიერთშეფარდება, ისტორიული ვითარების გათვალისწინება, საშუალებას იძლევა მტრად დაზუსტდეს მშენებლობის ქრონოლოგიური საზღვრები. მთავარ წარწერაში მფეე გიორგი და მელქისედეკ კათალიკოსი ცოცხლები მოიხსენიებიან. მელქისედეკ კათალიკოსის საქართველოს გელესიის საკეთმბურობლობის ხანგრძლივი პერიოდიდან (1010-1033) გიორგი მფეის ზეობა 1014-1027 წწ-ზე მოდის. ეს უკანასკნელი წარწერაში შეილებთან ერთად მოიხსენიება. უფროსი - ბაგრატი, მას 1018 თუ 1020 წელს გაუწნდა, სხვა სამი შვილიდან მომდევნო - დემეტრე, თუმც დაბადების თარიღი ზუსტად ცნობილი არაა, 1021 წელზე ადრე ვერ ეყოლებოდა. ამიტომ ტონთიოს წარწერის მრავლობითი ფორმა - „შვილი“ ამ დროზე ადრე ვერ დაიწერებოდა. მაგრამ გელესიის მშენებლობის დაწყებას ვერც ამ დროით ვივარაუდებთ. 1021 წელს ბიზანტიის კეისარი, გიორგი მფეის ბიზანტიის საზღვრებთან ლაშქრობის საპასუხოდ, სამხრეთ საქართველოს შეესია და ქართველთა ჩარი უუთქცია, არტანი გადასწეა, გატყვეულ მფეეს „ჩაეხეთით კერძო“ დადევნა და „ასწყვდა ქვეყანა ჩაეხეთისა“. უკანა გზაზე „უქუმოიარა“ ჩაეხეთით, არტანი და „უბოროტესადრე შურის-გებით მოაოკრა ქუვეყანანი იგი“. გარკვეული ხანი სამხრეთ საქართველოში ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა, როპლის დროსაც „სპანი საქართველოსანი... მოისრნეს“ [8], ამ გამანადგურებელ შემოსევითა შემდეგ, სხვა გზა რომ აღარ დაჩა, გიორგი მფეე მძიმე პირობებით დაუბრდა კეისარს. ეს 1023 წელს მოხდა.

ეფიქრობ, სწორედ ეს წელი - ჩაეხეთისა და სამხრეთ საქართველოში სიშვიდისა და აღმშენებლობის პირობების გაყენის დასაწყისი, უნდა მივიჩნიოთ ტონთიოს გელესიის აგების ქვედა ზღვრად. მშენებლობის ზედა ზღვარი, როგორც აღენიშნეთ, სამეცნიერო



ლიტერატურაში ძლიერ მერყეობს და თვით ოქროპირ კათალიკოსის მწვემსმითაერობის დროშიც კი გადადის.

ტონთოს წარწერაში მოხსენიებული გიორგი I-ის სიკვდილის შემდგომ მწვემსმითაერობის კათალიკოსის სიციცხლის უქანასწელ ხანებში მოვლენები ასე ვითარდება - ბაგრატ IV-ის გამეფების პირველსავე წელს დიდებულები კეისარს მიეზბრნენ, ციხეები გადასცეს, 1028 წელს კი ბიზანტიელებმა კვლავ ააოხრეს საქართველო. 1030 წელს დედოფალი მარიაში ბიზანტიაში მოგზაურობს, მისი მეუღლინობით ბაგრატი კურაპალატი ხდება და ბიზანტიის დედოფალ ელენეზე ქორწინდება ბანას დიდებულ ტამარში. 1032 წელს ბაგრატის ნახევარძმა დემეტრე, სწორედ ის, რომელთანაც ერთად ბაგრატი ჰყვანს წარწერაში გიორგი მეფის ძედ „უშვოთველად“ მოიხსენიება, ბაგრატს უპირისპირდება, ბერძენებს ემხრობა და მით აფხაზეთის უმნიშვნელოვანეს პუნქტს - ანაკოთის ციხეს ამაკებს. ამავე 1032 წელს ბაგრატი შეიპყრობს თბილისის ამირა ჭაფარს და დედაქალაქის ასაღებადაც ემზადება. ვეღაფერ ამას და მათთან დაკავშირებულ სხვა ამბებსაც „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორი დიდი გულმოდგინებითა და მნიშვნელოვანებით ყვება. ამრიგად, ბაგრატ IV-ის გამეფების პირველსავე ხანებში მნიშვნელოვანი, „სახელმწიფოებრივი“ მოვლენები იმდენად ველის სისწრაფით ცელის ერთმანეთს, რომ ასეთ ვითარებაში გიორგი I, რომელმაც „თითქმის მთელი თავისი მეფობა და ძალღონე ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია“ [9] „გუმინდელ დღედ“ მოსჩანს. ამ პერიოდში მშენებლობას გაგრძელებულად თუ ვიგულისხმებთ, წარმოუდგენელი ხდება ველესიაზე „ადიდე გიორგი მეფე და შეილინ შათნის“ დაწერის შესაძლებლობა, მით უფრო გარდაცვლილი გიორგი მეფის სულის მოსახსენებელი და ბაგრატის საიდუმბელი წარწერების არქონის პირობებში. ასეთი წარწერა მხოლოდ გიორგი I-ის მეფობისას შეიძლება შეესრულებინათ, როცა მისი შვილები მერ კიდევ უფლისწულები არიან და მათ შორის განხეთქილება მომხდარი არაა. აქედან გამომდინარე ველესიის იოანე-ოქროპირის წარწერაც შემდგომ პერიოდში გადაინაცვლებს და ოდნავ გვიან შესრულებულად წარმოგვიდგება [10].

დიდი აღშენებლობა, რომელსაც XI ს-ის I ნახ-ში მელქისედეკ კათალიკოსი ეწევა და რომლის ერთ-ერთი მაგალითიც ჩვენი ველესიაა, ცხოვლად იხატება 1031-33 წწ-ში შედგენილ მის „დაწერილში“. როცა მელქისედეკი სვეტიცხოველს ამკობს „ყოვლითა სამკაულითა, გარეთი ბქითა და გარშემო სტოითა მოწითა და ზედადაბურვითა“ იმავდროულად სყიდულობს სოფლებს, რომლებსაც „დაუღებს მცხეთას... სვეტსა ცხოველსა“, შეუვალად ჰყოფს მათ, აშენებს ბევრ მათგანს და აგებს ველესიებს „რიცხვთა ყოველივეს“ [11]. მაგრამ საკითხავია, „დაწერილში“, რომელშიც მთელი მისი მოღვაწეობაა შეგაშვებული, რომელია სოფელი ყაურმა? სახელი ყაურმა ხომ ამჟამად ნაგვიანავია. გურგინტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, სქიქიას აზრით, სოფ. ყაურმას გორ-მაყე ჰქვია, ასეა XIX ს-ის დასაწყისის საბუთებშიც. XVI ს-ზე ანუ დავთრის შედგენაზე ადრე ეს დასახელება არ ჩანს. უნდა ვიფიქროთ, რომ „გორ-მაყე“, თავის მხრივ კიდევ უფრო ადრინდელი დასახელების შემცვლელია.

მაგრამ რა ჰქვია სოფელს მელქისედეკ კათალიკოსის დროს? როცა მელქისედეკმა „მოიგო“ და იყოდა სოფლები ტარს, კლარჯეთს, შავშეთს, ქართლს, კახეთს, პერეთს - „ჩავახეთს მოიგო სოფელი ტონთი“. ეს დასახელება ადრეც გვხვდება. VII ს-ის I ნახ-ში, როცა მომძლავრებულ არაბების შიშით „ყოველნი...მფლიდეს ქუეყანათა შინა განძთა“, ქართლის ერისმთავრის სტეფანოზ I-ის უმრწემსმა ძემ „ - საგანძური ქართლისა და ჩავახეთისანი დასხნა ქორს, სახელი გორისა მის არს ტონთი, რომელ არს თარგმანებით „მთა ოქროსა“ [12]. XI ს-ის შემდეგ სახელი ტონთი ქრება, მაგრამ მართებულად ფიქრობს ისტორიკოსი



დღეი ბერძენიშვილი [13], - ძველი ტონთიო ახლა „გორ-მაკედ“ მოიხსენიება, მახლობლად მდებარე იმ „მაკედ-გორის“ მიხედვით, რომელშიც, საფიქრებელია, თავის დროზე, დღევანდელი საგანძური ქართლისა და ქავახეთისანი“.

დღევანდელი დასახელებაც ფონეტიკური საბეჭდით ჩანს მიღებული - გორ-მაკედ, ლაურშეტი, ყაურმა. ამგვარად, შესაძლებელი ხდება დღევანდელი ყაურმა ძველ ტონთიოს გავუფიციოთ, სადაც მელქისედეკმა 1023-27 წწ-ში მდიდრული ზეპურთმითა და წარწერებით შორთული, დღემდე მშვენიერად შემონახული გელესია ააშენა.

შენიშვნები

1. დ.ბერძენიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი, თორი, ქავახეთი), თბ., 1965, გვ. 98.
2. И.Ростомов. Ахалкалакский уезд в археологическом отношении. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 25, 1898.
3. დ.ბერძენიშვილი. თრიალეთის უცნობი წარწერები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, თბ., 1982, გვ. 8.
4. И.Ростомов. დასახელებული ნაშრომი.
5. Е.Такаишвили. Материалы по археологии Кавказа, XII, 1909.
6. ნ.ბერძენიშვილი. ქავახეთის 1933 წლის მოგზაურობის დღიური, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, I, თბ., 1964, გვ.54.
7. ვ.ციციანიშვილი. ქავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.
8. „ქართლის ცხოვრება“, I, ს.ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 284-291.
9. ი.ქავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ.133
10. ამ აზრს უნდა უჭერდეს მხარს წარწერის ცენტრში მოთავსებული ჭერის გელესიის ორნამენტაციისაგან განსხვავებული მანერით შესრულებაც, თავად ქვის მჭი ფერიც, რომელიც გელესიის ნაირფერადოვან კვებთან შედარებითაც კი „ჩადგმულს“ ემსგავსება.
11. ნ.ბერძენიშვილი. მცხეთის საბუთი XI ს-ისა, საქ. მუზ. მოამბე, IV, თბ., გვ.251-254.
12. „ქართლის ცხოვრება“, გვ. 233.
13. დ.ბერძენიშვილი, ნარკვევები... გვ. 94.

**მხატვარი აღმდგანდრე მრავლიშვილი და
რესტავრაციის საკითხები**

ვინც წინამდებარე წერილს თანდათული შენიშენის წაუციოთხავად გადაავლო თვალი, იქნებ ვერც მიხვდა, თუ ვინაა მისი ავტორი. მართლაცდა, სად ვველა ჩვენთგანისთვის ცნობილი სოციალურ-მაშვილებელი სურათების - „დაბალი ღობე“, „სოფლის კანცელარია“ და ა.შ. - შემქმნელი აღფქანდრე მრველიშვილი (1866-1933), სად კიდევ ძველი, მით უფრო, საეკლესიო მხატვრობა. შორე მხრივ, ამგვარი წარმოდგენა ცალმხრივი რომ არის, თვით ჩვენი ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციაც დაგვარწმუნებს. აქ, მართალია, არაა გამოფენილი ა.მრველიშვილის საისტორიო სურათები (მაგ. თავის დროზე საქმოდ გამზაურებული „ქრქანისის ბრძოლა“), მაგრამ არის ხომ „ქვარცმა“ და „იუდა“, რომელნიც თითქმის არც გაითვალისწინება მასზე მსჯელობისას. თუკი ძველ პრესასაც გადავფურცლავთ, აღმოვაჩნთ, ვერ ერთი, რომ თავისი პირველი სურათი, ასევე „ქვარცმა“, მხატვარს თურმე სულაც მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრისთვის შეუწირავს („იერია“, 1893, N 203), ამასთანავე კალამიც უდთია და სწორედ ძველ ქართულ ხელოვნებაზე უწერია. ერთი მისი ნარკვევი სვეტიცხოვლის კუთვნილ უფლის ენებათა „ხატებს“ ეძღვნება („იერია“, 1900, N 240) და, თუმცე ფაქტობრივად მცდარია, მაინც დიდად საგულისხმო შუა საუკუნეების ჩვენი ფერწერის შესწავლა-გაზრების თვალსაზრისით. შორე, აქ გადმოზეკდილი (პირველად ის გამოქვეყნდა ვახუთში „ცნობის ფურცელი“, 1901, N 1357) ჩანს, ისევე და ისევე სვეტიცხოვლის მოხატულობისგან მიღებული შთაბეჭდილებით ამოძრავებული, „ძველთა დაცვის“ საკითხებს ეძღვნება და, ვგონებ, მათი ცოდნისა და გაცნობიერების საქმოდ მაღალ დონესაც გვიჩვენებს.

ამ წერილში ა.მრველიშვილი უზიარებს მკითხველს თავის მოსაზრებებს მაშინაც და ახლაც მეტად საკიბობროტო საკითხზე - ძველი მხატვრობის დაცვასა და აღდგენაზე. ჩვენი კულტურის ისტორიისთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ საუკუნის დასაწყისში ჩვენი თვალსაზრისი ფერმწერი ასე უღრმავდება იმ დროს სულაც არ არსებული „ძველთა დაცვის“ პრობლემებს და არსებითად იმ თვალსაზრისს იცავს, რომელსაც ახლანდელი სპეციალისტები აღგანან.

ეფიქრობ, ა.მრველიშვილის ნაწერი კიდევ ბევრი თვალსაზრისითაა საეურადღებო - სვეტიცხოვლის საეურთხველის მხატვრობაზე მონაცემებითაც, XX საუკუნის დამდეგს ქართული საზოგადოების ინტერესთა წრის გასიგრძეგანებისთვისაცა და, იქნებ, დღევანდელ სირთულეებზე კიდევ ერთხელ დასაფიქრებლადაც. რაც მთავარია, იგი შეგვახსენებს, თუ რამდენი რამ უნდა გავიხსენოთ, რამდენი კიდევ მოვიძიოთ, გამოვამზეუროთ, წარმოვანოთ, რათა შევევძლოს წინანდელ საქართველოზე დაბეჭივებით საუბარი.

აღფქანდრე მრველიშვილი

ორიოდე ხატვეა ჩვენი საეკლესიო მხატვრობის რესტავრაციის შესახებ

ამ ბოლოს დროს ქართველობამ, მრავალ სხვა საზრუნავთა შორის, ჩვენი ძველი ხუროთ-მოძღვრობისხსნა და საეკლესიო მხატვრობის აღდგენა-ვანახლებასაც მოაქცია ვრადღება.



ჩვენს უზრუნველ-გაზრდებში არა ერთხელ იყო მასივი და რწვევა, თუ რა გვარად უნდა შევქოვდნენ ძველი მხატვრობა, და, მგონი, მუტი არ იქნება, რაიოდე სიტყვა კიდევ ითქვას შესახებ.

განახლება ან შეკეთება ისეთის დიდი ტადრებისა, როგორიც არის სვეტიცხოველი და ალავერდი, მოითხოვს მეტს უზრადლებას და მოფიჭვებას, რადგანაც ეს ტადარნი არანა უფრო თვალმანინი ნაშინი ჩვენი ისტორიული ხუროთ-მოძღვრებისა და მხატვრობისა.

განახლება რომლისავე ტადრისა ხუროთ-მოძღვრების მხრივ იმდენად საშიშარი საჭე არ არის, რადგანაც განახლებული ნაწილი ადვილად ირწვევა ძველ ნაწილისაგან, მით უფრო, რომ მასალად და აარადად ნახმარია ნათალი ლითონი, მამინ, როცა განახლებულ მხატვრობას, შესაძლებელია, დაეკარგოს ყოველივე საინტერესო და საკეთესო პირვანდელი ღირსება.

რესტავრაცია რომლისავე მხატვრობისა ნიშნავს მის შეკეთებას, ე.ი. დაკრებას და არა გადაკლებას, როგორც, სამწუხაროდ, ბევრსა კგონია. როცა ვამბობთ, რომ ამა და ამ მხატვრობას რესტავრაცია უკუთხო, აქ იგულისხმება უკვე არსებული მშარირი მხატვრობა, რომელსაც უკველად აქვს ღირსება და მნიშვნელობა. თუ უკვე არსებულ ძველ სურათს აქვს რამ ღირსება, მამინ იმის განახლება კ არა, არამედ დაკრება უნდა.

რესტავრატორმა ძველის მხატვრობის შეკეთების ღროს უნდა დაივიწყოს თავისი პირადი შეხედულობა, გინდა გამოჩინილი მხატვარიც იყოს. იმ ნახატს, რომლის შეკეთებასაც აძრებს, ისე უნდა უკვეტროდეს, როგორც იდეალურ ნაწარმობებს; გინდა საკლდე შენიშნის, მის ღირსებად უნდა მიანდეს და არ შეასწოროს თავის შეხედულობით: ვერ ერთი, იმეტომ, რომ რესტავრატორმა შეიძლება არ იცოდეს, რა აზრით ან რის გამოსახატავად დაუბატნია წინანდელ მხატვარს ესა თუ ის საგანი, და, მეორეც, შეიძლება რესტავრატორი სცდებოდეს, რადგანაც ხმარად ერთისა და იმევე ძველ მხატვრობის შესახებ სხვადასხვა აზრი გამოუთქვამთ, და თავის ღროზე ცუდებს თავის აზრი უმართლესი ვგონა.

შეიძლება მხატვარი გამოჩინილი იყვას და ძველი მხატვრობის რესტავრაცია კ ვერ მოახერხოს; ამ შემთხვევაში იმდენად დიდი ხელუვანი არ უნდა, რამდენადაც კლასი-სეონდისტივი მუშა, კ და უფრო მეოდენ და მოთაყვანე ძველ მხატვრობისა.

ალდგენა, ანუ დაკრება უნდა იქნას მშარირივე უზრადებით, რა უზრადებიც ნახმარია მისის შექმნელის მიერ. უკეთესი იქნება, თუ ძველსავე შესაფერის ნაჭრებით ან ნაგლევეებით დაწებოვდება, რადგანაც ხმარად ახალი ნახმარი უზრადი რამოდენისავე ხნის შემდეგ უფრო იცვლის ხოლმე.

თუ ნახატის მშარარსი რომელისავე ნაწილისა აღარ ეტყობა, მამინ იგი კ არ უნდა შეითხზოს მხატვრისაგან, არამედ სხვა უკლებებისში უნდა მოინახოს მშარირივე ნახატი და თუ ერთგვარი მშარარსი აქვთ - იყიანდ შევისოს. ძველ ნახატსა და ახალ მიკრებულს შუა ძლივ ხანინარი ცარიელი ალაგი უნდა დასტოვოს, რომ მომავალს თაოდამ და წარსულის მკლდეველი იცოდენ, რა ახალია და რა ძველი.

მეორე გვარი რესტავრაცია სრულებით სხვანარია და დიდად განარჩევა პირველისაგან. იგი უფრო გადახალისება არის, ვიდრე შეკეთება. თუ პირველ შემთხვევაში მარტო ალაგ-ალაგას ესაჭიროება შეკეთება, მეორე სრულიად ახლად უნდა დაიხატოს. ამისთანა გადახალისება უნდა იმ მხატვრობას, რომელსაც ღროთა ვითარებისაგან ნიშან-წყალი აღარ ეტყობა. ამ შემთხვევაში რესტავრატორმა ძველის მხატვრობისა მარტო მშარარსი უნდა აიღოს (თუ ტრანსპარანტი ვადილებს, უკეთესია) და თუ ისიც არ ეტყობა, მამინ სხვა უკლებისის მაგვარ სურათით უნდა ისარგებლოს და გადმოიღოს. კედელი, რომელზედაც ხატვას აძრებენ, უნდა ხელახლად გაიღვას და ზედ დაიხატოს ახალი მხატვრობა ძველებურის მშარარსით და მიამაჟიო. ეს უკანასკნელი რესტავრაცია (როგორც ზოგან ესახან) იქნება უფრო შრომანიც



გამოვიდეს, მხოლოდ ამას არ ეწება არც ის ფასი და არც ის მნიშვნელობა, რაც ძველ მხატვრობას სჭირია, რადგანაც ეს იწება მკრთალი პირი და არა ღეღანი.

პირველ გვარი რესტავრაცია სჭიროდა სვეტი-ცხოვლის საეროთბველის მუზეუმის მაცხოვრის სახე მეტად ცხოვლად იყო დხატული. ამას არაფერი გადახლება არ ეჭირვოდა, მხოლოდ უნდა ამომსილიყო რამდენიმე ნატვეარი ცვალი მაქსილიანი მკრებელობის და შეზაკვეულიყო შესაფერის ფერადით. მხოლოდ ვიდაც მუდამსვლმა, რომელმაც მიანდეს ამ სამი წლის წინად მისი განახლება, თავისი ოსტატობა სცადა და რუსები რომ „კროდივილ“-ს უწოდებენ, მად გადააქცია და რა თვითონვე გაითვალისწინა, რომ ვეღარაკენ იცნობსო, სლავიანურად წააწერა - იესო ქრისტო. ნუ თუ ამისთანა მხატვარზე არა ხიჯვა ქვეთორე ლექსი გამოწნილმა რუსის პოეტმა:

*Художник-варвар кистью сонной
Картину гения чернит
И свой рисунок беззаконный
Над ней бессмысленно чертит?*

ასე და ამგვარად, ნუნ შკეოთესა-გადაცოთესაში ნუნვე უმლით ცვალი ნუნვის დიდებისას. ამით აღიხოცა და წაიხლალა ერთი საუკეთესო სურათი ნუნვი ისტორიულის მხატვრობისა. ვერ ეხლაც ბევრმა არაფერ იყის ამისი ამბავი და მუნღვე თაობისათვის ხომ გამოცანა იქნეს. თუ ხსენებულს სურათს აღარა ეშველეს რა, სხვანი მარცე გადავარსინით და ესრე წინ დაუხდეველად ნურავის ვანდობთ შკეოთესას და გადახალისებთ ძველის მხატვრობისას.

საზოგადოდ სარესტავრაციო კომისიას, რომლის ხელშიაც არის ბელი ნუნვის ძველის ხუროთ-მოდურებისა და მხატვრობისა, შეადგენს ხოლმე ერთი ვინმე უცხო ხუროთ-მოდურა, პლადონინი და ერთ-ერთი წვერი ხინოდალური კონტორისა. თუცა ამით უცოდნარობას ვერ დაქნამეთ და გულშიაც მგონი, სიკეთის მეტი სხვა ვანზრახვა არა აქეთ-რა, მაგრამ ეს არა ცხარა. აი სწორედ ამის რიებუმი და ამისი საშველად უნდა იმინსეოდნენ საზოგადოებიდან სპეციალისტები და გულშემატკეპარნი, რომელთაც ზედმისწევითი ესმოლიყო რესტავრაციის საჭე და ძველის ხელოვნების მნიშვნელობა. რაც მეტი იქმნება ამ გვარი წვერები, მით უკეთესად დაიცვის დასაცავა.

აღრვეუ ვწერა ვაზთებში, რომ მისმა ყოვლად უსამღდელოებსომ, ვისკაოსისა კარიონმა განიზრახა აღავერდის ცლენობის კვლევის სამორეცხა - რომლის ქვეშიც ძველი მხატვრობა გამოწნდაო ხბჰ. თუ ეკლესიის ან საზოგადოებას შესულეს არა აქეს, ან არ ვგულება სადმე შვეწნებული ოსტატი სჯობს ისევე კარ ქვეშ დარწნეს მხატვრობა, ვიდრე სამორეცხოს, რადგანაც სამორეცხაშიც უნდა თავს ადგეს, რომ თეთრი რამ ფერადი კარად არ მიიღონ და ფხეკა არ დაუწეონ.

მით უფრო უაღაგვრა ის საჭე რომ როგორც შვეიტვეო, ვისკაოსისა კარიონი იქიდან სხვაგან გადააქწენეს და მისი მიაღვილე - ვინ იყის, რას ვანიზრახავს.

გარდა ამისა, ძალიან შეშოიღებს რესტავრაციის იჯართი გაცემა. ვისაც ვისის, ვერ უხრადლო კვლელს არაფერ აამწებინებეს იჯართი, რადგანაც ველსა ოსტატი ცდილობს მალე შეასრულოს ნაისინი საჭე თავის ხელსაწერლად და საზოგადოდ ტაძრების და ძველის მხატვრობის რესტავრაციის იჯართი გაცემა ხომ მკრებელობად და შეუნღობელ ცოდვად უნდა ნაითვალის.

ჩემის აზრით, თუ საზოგადოებას ან ეკლესიას საჭეო თანზა არა აქეს, სჯობს შკეოთესა და აღღვერა დროებით გადასდოს და მხოლოდ თავდაპირველად იმისთვის იზრუნოს, რომ წვიპა-

ქ.პარიზი 1901 წ.⁵

შენიშვნები

1. მოძველებულ ორთოგრაფიას ვინარჩუნებთ, როდესაც იგი გარკვეული ენობრივი გემოვნებისა თუ ტრადიციის გამოვლენა ჩანს. სხვაგან, სადაც არც თვით ავტორია თანმიმდევრული და ბეჭდვის შეცდომაც კი შეიძლება ევიარაუდოთ, ნაწერს თანამედროვე ნორმების მიხედვით ვასწორებთ.
2. „საკურთხეველის გუშაბით“ - აფსიდის კონქს ნიშნავს; საუბარია აღსაყდრებული მაცხოვრის იმ გამოსახულებაზე, რომელიც, თუმცა გადაწერილი, ძველს, როგორც ფიქრობენ, სულაც XI ს-ისას მისდევს.
3. პირველი სტროფა ა.პუშკინის ლექსისა „აღორძინება“ („Возрождение“).
4. კირიონ ეპისკოპოსი (ერისკაცობაში - გიორგი სამაგლიშვილი, 1855-1918) გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, 1917-1918 წწ-ში აღორძინებული ქართული ეკლესიის პირველი კათალიკოს-პატრიარქი, 1889-1901 წწ-ში ალავერდის ეპისკოპოსი იყო, 1901 წ. კი გორის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. მას ეკუთვნის რამდენიმე ნაკვეთი ძველი ქართული ეკლესიების (მაგ. წმ. შიოს, რუსიპირის მახლობლად, ანანური) შესახებ; ამას გარდა, თაოსანი თუ მონაწილე იყო ზოგიერთი ტაძრის - მაგ., ნიქოზის ღვთაების, ახალი შუაშთის ღმრთისმშობლის შობის ეკლესიის შეკეთება-განახლებისა. ალავერდის მხატვრობა იშხანად არ გაწმენდილა, იგი უკვე 1960-იან წლებში გამოაჩინეს მხატვარ-რესტავრატორებმა შ.აბრამიშვილის ხელმძღვანელობით.
5. 1898-1903 წწ.-ში ა.პრველიშვილი საფრანგეთში იმყოფებოდა სასწავლებლად, სწორედ იქაა შესრულებული მისი „დაბალი ლობე“. ზვენი წერილი იმის დასტურია, რომ იგი უცხოეთში არა მარტო ფიქრობდა სამშობლოზე, არამედ თვალყურს ადევნებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და ეხმაურებოდა კიდევ შათ.

II. თხოთის მთის ქვაბოვანი

„მოქცევაი ქართლისაი“ მოგვითხრობს, რომ წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად ქართლის ოფიციალური მიერ ქრისტიანობის აღიარების შემდეგ მცხეთაში ორი ვარსკვლავი ამობრწყინდა, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გადაადგილდნენ. მიღვენებული მეთვალყურეები შირიან მეთვის წინაშე წარსდგნენ: „...და ხელისა დღესა მოვიდეს დასავლისანი, რომელნი დგეს თავთა ზედა ქუბთა-თავისათა. და მიუთხრეს მეფესა, ვითარცა გამოვიდა ვარსკვლავი იგი, აღიმალა და მიიწია მათთა ზედა თხოთისათა, გარდასავალსა კასპისასა (ხაზგასმა ჭეენია. ნ.ბ.) და დადგა ადგილსა ურთსა და ნელად უჩინო იქმნა“ [1]. ეს ეპიზოდი ფაქტიურად სიტყვესიტყვით მეორდება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ყველა უძველეს რედაქციაში და ასევე თითქმის უცვლელადვეა შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ ძველ



სურ. I. თხოთის ქვაბოვანი.

ნუსხებშიც.

ქართველ ისტორიკოსთა და ენათმეცნიერთა ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით სულ უფრო მტკიცდება აზრი, რომ „ნინოს ცხოვრება“ IV საუკუნის ავთენტური ძეგლია და სიმბოლოებად დაშიფრული მომენტების სწორად გააზრების შემთხვევაში მასში მოთხრობილ მოვლენათა უტყუარობაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. ვნახთ ჩვენს მიერ მოვანილ ეპიზოდში რამდენად შეესაბამება რეალობას ასე კონკრეტულად მინიმუმებული



გეოგრაფიული გარემო, კერძოდ, შემორჩენილია თუ არა დღემდე თხოთის მთის ფარგლებში „კასპის გარდასავალზე“ ის ქვაბები, რომლის „ათავა ზედა“ იმყოფებოდნენ მეფე დედოფლებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ქართლის მოქცევის ხანაში კასპის გამოქვაბული უკლებლივ იქნებოდა ჩვენი მიერ აღწერილი კომპლექსი დანაშაფილებით არსებობდა, ნაკლებად სავარაუდოა „ქუბათა-თავისა“-ში კლდის ეს დაბალი კონცეები იგულისხმებოდეს: ამ არცთუ საბარბიელო სტრატეგიულ ადგილზე მყოფნი ვერც კასპის სავარაუდო ლოკალიზაციის ტერიტორიას მოიხილავდნენ რამდენადმე სრულად და ვერც თხოთის მთას. „ნიწოს ცხოვრებაში“ აღწერილ გეოგრაფიულ გარემოს გაცილებით უკეთ, შეიძლება ითქვას ზუსტადაც, ისტორიული კასპის მიდამოების სხვა ქვაბოვანი კომპლექსი მიესადაგება.


ეს მოზრდილი, უღარესად საინტერესო კლდის ძეგლი თხოთის მთის ფერდებშია გამოკვეთილი, თანამედროვე ქალაქ კასპიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2-ოდე კილომეტრის დაშორებით, მდ.ღებურას ხეობის მარცხენა კალთაში. აქედან ზელისგულოვით მოჩანს როგორც ნაქალაქარის ყველა შესაძლო უბანი, ისე ამურიანის ველი კარგა დიდ მანძილზე - თითქმის უფლისციხემდე. ქუბათა ამ კომპლექსმა, როგორც თავისი მასშტაბურობით, ისე აღნიშნულ ისტორიულ მოვლენასთან შესაძლო კავშირის გამო დიდი ხანია ჩვენი ყურადღება მიიპყრო. პირველად ის დაგზვერეთ 1983 წელს (ნ.ბახტაძე, გ.ბაგრატიონი, მ.გოცაძე), თუმცა მაშინ მხოლოდ ამ კომპლექსის ჩრდილოეთით განცალკევებულ ქვაბებში მოგზავდით. კომპლექსის შესწავლა განვაახლეთ 1991 წელს, როდესაც კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თხოვნით საქართველოს კულტურის სამინისტრომ და ს.ჩანაშის სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა ამ ძეგლის მახლობლად მდებარე კლდეშალას ციხის ქვაბებში ადგილობრივი ძალებით მიმდინარე მცირე მასშტაბის გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრების შეთვალუწერება დაამკავლეს. სწორედ მაშინ შევძელით თხოთის კომპლექსის შემადგენელ ზოგიერთ ქვაბში შეღწევა და საცდელი არქეოლოგიური ჭრილების გაკლება. ამის შემდეგ მდ.ღებურას ხეობის კლდის სხვა ძეგლებთან ერთად თხოთის ქვაბების შესწავლას პერიოდულად დღემდე ვაგრძელებთ.

თხოთის მთის ქვაბოვანი (ტერმინი „ქვაბოვანი“, იგივე „ქუბათანი“, დავესვსებთ „ისტორიანი და ახშანი შარავანდედთანის“-ს ავტორს. ქ.ე.ი, თბ., 1959, გვ.100) კირქვის კონგლომერატული აგებულების შიშველ ფლატეშია გამოკვეთილი, ქარაფის ქვედა ნაწილში, საიდანაც ხეობის ძირამდე შედარებით დამრეცი კალთა ეშვება. სულ შემორჩენილია 4 იარუსად, საკმაოდ კონცენტრირებულად გამოკვეთილი 50-მდე ქვაბი და ქვაბის ნაშთი (სურ. 1,2). მათი უმეტესობა ამჟამად აღმინისტური ტექნიკის გამოუყენებლად მიივლია. მიუხედავად იმისა, რომ კლდის ქანის ადვილად შლადობის გამო ამჟამად საჭრეთლის ცვალი დრაგმენტებადლაა შემორჩენილი. ჩანს, რომ სათავსები ლითონის წაწვეტებული იარაღით ყოფილა გამოკვეთილი. აქ გვხვდება როგორც განცალკევებული ქვაბები, ისე ერთმანეთთან გასასვლულებით დაკავშირებული ქვაბ-სათავსები. მათი გეგმები სწორკუთხედთან მეტ-ნაკლებად მიახლოებულია, თუმცა გვხვდება ოვალური ფორმებიც. იატაკები, კედლები და ტერი მხოლოდ პირობითად შეიძლება ბრტყლად ჩაითვალოს, ისიც არა ყოველთვის. რამდენიმე ოთახიანი ჩულებების სიერკობრივ-გეგმური გადაწყვეტაც საკმაოდ მარტივია - უმეტესწილად აქ გამოკვეთილი ყოფილა კლდის ზედაპირის მიმართ განივად წაგრძელებული მოზრდილი ქვაბები (5-6 მ-მდე სიგრძის), რომლებსაც კლდის სიღრმეში ერთი ან 2-3 დამატებითი, მომცრო სათავსი აქვთ. სათავსები ძირითადად სიერკეში ოდნავ შევიწროებული ღიობებით გამოდიან, როგორც ღიობებით იხსნებოდნენ ძირითადი ქვაბები კლდის ზედაპირზე, საფასადო ნაწილების ჩამოშლის გამო ამჟამად ძნელი სათქმელია, მაგრამ სავარაუდოა კარებები და სარკმლები ჰქონოდათ. რამდენადმე ჩამოყალიბებული ფორმის



ნიშები და თახჩები აქ არ გვხვდება. სამეურნეო მოწყობილობებიდან ჭერჭერობით მხოლოდ ერთ ქვაბში დავადასტურეთ წყლის თუ სერსათის შესანახად იატაკში მოწყობილი წაყვეთილი კონქსისებრი ფორმის ორმო.

როგორც ვხედავთ, თხოთის შთის ქვაბოვანის არქიტექტურა მეტად შწირ ინფორმაციას გვაწვდის ამ კომპლექსის დანიშნულების და, მით უმეტეს, წარმოშობის თარიღის გასარკვევად. უფლისციხის და კასპის აკლდამების დახვეწილ გვეგმარებასთან შედარებით უციფრესად ღარიბული ხეროთომოდერული ხერხები ამ ძეგლის არქაულობაზე მიმანიშნებლად შეიძლება მიგვეჩნია და მის უტილიტარულ ფუნქციაზეც. მიუხედავად ამისა, კომპლექსის საერთო კონფიგურაციამ მისი რაობის შესახებ გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალება მაინც მოგვცა.



სურ.2. თხოთის ქვაბოვანი. ვიზუალური განშლა.

როგორც აღვნიშნეთ, ქვაბთა კომპლექსი ციკაბო ქარათის ქვედა რეგისტრშია გამოკვეთილი, მისი I-II იარუსები საკმაოდ მისასვლელია და, როგორც ჩანს, ფასადების ჩამოშლამდე ზედა იარუსის ქვაბებისკენაც მიემართებოდა ტერასული გასასვლელი-ბილიკები. ეს გარემოება ქვაბთა ჭგუფების რამდენადმე მოწყობილობაზე გვეგმარებასთან ერთად იმაზე მეტყველებს, რომ ისინი თავდაცვითი დანიშნულების საბიზრებს არ უნდა წარმოადგენდნენ. აქ არც ქრისტიანული კულტმსახურებისათვის აგრერიგად დამახასიათებელი ატრიბუტები, ეკლესიები და საშლოცვლო ნიშები გვხვდება, რაც შუა საუკუნეების საქართველოს თუ ქრისტიანული სამყაროს სხვა ქვეყნების კლდეში ნაკვეთი უდაბნო-მონასტრების შესწავლის გამოცდილებას თუ გათვითაღისწინებთ, კომპლექსის ამ მიზნით შექმნას გამოიჩინავს.

თხოთის ქვაბოვანის სტრუქტურა საცხოვრებელ ფუნქციას უფრო შეესატყვისება, ამასთან მისი გვეგმარებითი პრინციპი საქართველოში ცნობილ კლდის ძეგლითაგან ვეღაზე აბლოს ქვემო ქართლის ბრინჯაოს ხანის დასახლებებთან დგას. რა თქმა უნდა, მხოლოდ ზოგადი მსგავსება ამ ძეგლის წარმოშობის ხანის განსაზღვრისათვის საკმარისი არ იყო: ასეთი გვეგმარების ქვაბები თეორიულად ყველა ისტორიულ ეპოქაში შეიძლება შექმნილიყო, რამდენადმე ზუსტად დამათარიღებელი არქიტექტურული დეტალები ჩვენში ხომ მხოლოდ გამორჩეულ, მონუმენტურ კლდის ძეგლებს ახასიათებს. როგორც ჩანდა, ისევე როგორც

ქვემო ქართლის კლდის დასახლებებზე მუშაობისას, გადამწყვეტი სიტყვა აქაც არქეოლოგიის უნდა ვთქვა.

თხოვის ქვაბოვანის არქეოლოგიური შესწავლისათვის ჩვენს მიერ წარჩინებით მიღებული ნაბიჯებია გადადგმული, მაგრამ შედეგები ამთავითვე მრავლისმეტყველია. კომპლექსის ქვედა იარუსების ზოგიერთ სათავსში გავლებულმა არქეოლოგიურმა ქრილებმა შემდეგი სურათი მოგვცა: იატაკებზე შემორჩენილი მიწის ფენიდან საკმაოდ აჩუღლად ამოვიდა შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაკეთობების ფრაგმენტები, რომელთა დახასიათებასაც აქ აღარ შევუძლებთ. მიუხედავად წინასწარული აზრისა ამ კომპლექსის ადრეული წარმოშობის შესაძლებლობის შესახებ, ჩვენთვისაც კი მოულოდნელი სიურპრიზი შემოგვთავაზა I იარუსის NN 2,3 და 6 ქვაბებმა, სადაც შუა საუკუნეების ფენის დაბლა, კლდოვანი იატაკების ცალკეულ ღრმულებში ჩატკანილი აღმოჩნდა როგორც ანტიკური ხანის ქართლისთვის დამახასიათებელი წითლად გამოშვარი, ნაპრალები თიხის კურკლის რამდენიმე ნატეხი, ისე გვიანბრინჯაოს ხანის შავ და რუხ-მქრქალ ზედაპირიანი, მათ შორის ნაქდვეი ორნამენტით შემკული კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები. ეს მასალა, მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, დაფიქსირებული სტრატეგრაფიული ვითარების გათვალისწინებით არასეზით არ შეიძლება ქვაბების იატაკებზე შემთხვევით მოხვედრილყო (ანალოგიურ ვითარებაში დადასტურებული, უძველესი მასალის ფრაგმენტების ქვაბთა იატაკებზე შემთხვევით მოხვედრის შესახებ გამოთქმული ეჭვი „მწარე გამოცდილებად“ გამოგვევა ქვემო ქართლის ბრინჯაოს ხანის კლდის დასახლებების კვლევის დროიდან - რომ არა ორიოდ ბედად ხელუღბელი კულტურული ფენა, ამ ძეგლების წარმოშობის ხანა, ალბათ, დღემდე ორკოფობის საგანი იქნებოდა). ვუგარეშეა, რომ უძველეს კულტურულ ფენათა გადარჩენილ „ენძლებს“ მივაკვლით. ამრიგად, თხოვის შთის ქვაბოვანის მცირე მასშტაბის არქეოლოგიურმა დაზვერვებმაც კი სრულიად ცალსახად მიგვანიშნა, რომ ეს კომპლექსი, ყოველ შემთხვევაში მისი ძირითადი ბირთვი მაინც, გვიანბრინჯაოს ხანაში უკვე არსებობდა. ეს ეპოქა ძველის კვთის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია თუ არა, ამაზე წერწერობით ვერაფერს ვიტყვით. ასევე წერწერობით გარკვეულია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი გადაკეთება განიცადა ძეგლმა მომდევნო ეპოქებში, ანტიკურ თუ ფეოდალურ ხანაში, თუმცა ქვაბთა გვერდების ერთგვაროვნება და ის გარემოება, რომ აქ სრულიად არ ჩანს შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ქვითყირის დამზარე ნაგებობანი, ქვაბოვანის თავდაპირველი სტრუქტურის მინიმალურ ცვლილებაზე უნდა მიგვანიშნებდეს.

ცხადია, ქვაბთა ამ კომპლექსის შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა მისი წარმოშობისა და ფუნქციონირების ვითარებასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს დააზუსტებს, მაგრამ ჩვენმა კვლევამ ზოგიერთ ასპექტში უკვე გამოიღო შედეგი. უპირველეს ყოვლისა დამტკიცდა, რომ ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევის ხანაში, „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ საკმაოდ კონკრეტულად მინიშნებულ ადგილზე, თხოვის მთიდან ეპისკოპენ გადასავალზე, ნამდვილად არსებობდა ქვაბთა მოზრდილი კომპლექსი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს როგორც „მოქცევაი ქართლისაი“-ში მოთხრობილ მოვლენათა დიდი ნაწილის უტყუარობას, ისე ამ თხზულების ძირითადი ეპიზოდების ქართლის გაქრისტიანების თითქმის თანადროულად შექმნას - წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული გეოგრაფიული გარემო ამდენად დეტალურად არ იქნებოდა აღწერილი.

თხოვის შთის ქვაბოვანაში ჩატარებული მუშაობის მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი შედეგი ისაა, რომ თანდათან ნათელი ეფინება შიდა ქართლში წინაფეოდალური ხანის კლდის ზურათმომღერების ძეგლთა გავრცელების მასშტაბის პრობლემას. როგორც ვხედავთ, შიდა



ქართლის მართო ამ ლოკალურ რაიონში უძველესი ეპოქების უკვე მესამე კლდის ძველი დადასტურდა. როგორც ამ რაიონის ძველთა შემდგომი განვრცობის პროგნოზი უფლისციხის" აღმოჩენას, ალბათ, არ უნდა მოველოდეთ - უფლისციხის კოორდინატებზე გრანდიოზულობით და მხატვრული დახვეწილობით ერთადერთია და განუყოფელი. მაგრამ იმავე თუ უფრო ადრეული ხანის რიგითი, თუნდაც თხოთის ქვაბოვანის ტიპის ძველთა ძიებისათვის საესებით რეალური საფუძველი გაგვამჩნია. შეგვიძლია წინასწარაც ჩამოვთვალოთ რამდენიმე კლდის ძველი, რომელთა ამ კუთხით კვლევა გარკვეულ პერსპექტივას გვისახავს.

III. გრაკალის და მტკერის ხეობის სხვა ქვაბები

შიო-მღვიმის მიდამოების ქვაბთა წარმოშობას ჩვენი ისტორიული ტრადიცია უძველეს ხანას უკავშირებს. ვახუშტი ბატონიშვილი, როგორც ჩანს „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ



სურ.3. გრაკალის ქვაბები.

მოცვანილ ცნობაზე დაყრდნობით, წერს: „ხოლო სარკინეთი არის მცხეთის დასავლეთ, სადაც აღაშენეს ჭალაქი ძლიერი თურქთა და მოსელასა ილექსანდრე შაყედონელისასა, განხ რიტეს მთა ესე სხალტბისაყენ და ივლტოდნენ კავკასეთად. მერმე შემუსრა ილექსანდრემ. და არიან ჭუბანი გამოკვეთილნი კლდისაგან, მრავალნი, და კლდე ესე არს, ვითარცა ნაშენი ჭუთიკირისა“ [2]. როგორც ვხედავთ, მიუხედავად მრავალსაუუნოვანი ფუნქციონირებისა, როგორც მონასტრის ქვაბოვანი ნაწილი, ვახუშტისთვის ეს კლდის ძველი უპირველესად მიიჩნე „ბუნ-თურქთა“ ნამოსახლარია. შიო-მღვიმის ქვაბების შესწავლა ჭერჭერობით საწყის ეტაპს არ გასცდენია, მაგრამ დანამდილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ძველის ხუროთმოძღვრება არ გამოირიხებას არამცთუ მისი უძველესი პლასტების, არამედ ქვაბთა მნიშვნელოვანი ნაწილის წინაქრისტიანულ ხანაში წარმოშობას - ამ კომპლექსში ჭერჭერობით კლდეში ნაკვეთი ერთი ეკლესია ან სამლოცველო ნიშიც კი არ დადასტურებულა, მაშინ როდესაც საქართველოს სხვა ქვაბოვან მონასტრებში ლამის ყოველი მეორე-მესამე სივრცე ამ დანიშნულებითაა გამოკვეთილი. შიო-მღვიმის ჩვენი ცნობილ ქვაბთა დიდი ნაწილის ხუროთმოძღვრებას უფრო მეტი რამ ჭვემო ქართლის კლდის უძველეს დასახლებებთან და თხოთის ქვაბოვანთან აქვს საერთო, ვიდრე შუა საუკუნეების ქვაბოვან მონასტრებთან. აქვე უნდა გაიხსენოთ შიო-მღვიმის ქვაბების ენოთეისტური



შველვეარის, ტრაგიკულად დაღუპულ დათო ბერაას მიერ მიკვლეული მასალა, მის აქ კომპლექსის ზოგიერთი მოველი ქვაბიდან ალპინისტური ტექნიკის დახმარებით ჩატარებულ თიხის კურკლის ფრაგმენტები, რომლებიც, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრთა აზრით, ანტიკურ ხანას განეკუთვნებოდა.



სურ.4. გრაკალის ქვაბები. ეიზულური განშლა

ამ ტიპის ქვაბთა დაგვრებიანი შიო-მღვიმის დასავლეთით მტკვრის ხეობის მარცხენა კალთის სერებს კიდევ დიდ მანძილზე გაყვება, მეტნაკლებად ინტენსიურად (მაგ., ქსნის ციხის მიდამოების ქვაბები და სხვ.). ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ზოლო მუბრანს თხოთის მთიდან მოსდევს მთა, დასავლეთად, მტკვრის კიდესა, გორის ქალაქამდე, და ეწოდება მთა წლვეისა, მერმე კერნაქი...კლდენი მაღალნი და ქუბანი გამოკვეთილი მრავალნი“ [3]. კლდის ეს ძეგლები, ჩვენ მიერ შესწავლილი კასპის აკლდამების გამოკლებით, სრულიად შესწავლულია (რომ ალარაფერი ვთქვათ ზეობათა ანალოგიურ კომპლექსებზე). ამითგან, როგორც ეიზულურად ყველაზე თვალსაჩინოს, აშეამად გამოვყოფთ გრაკალის ქვაბთა კომპლექსს. ეს ძეგლი 4 იარუსადაა გამოკვეთილი მტკვრის ხეობის მარცხენა კალთაში, კერნაქის სერის კლდოვან ქარაფში, რკინიგზის სადგურ გრაკალთან. კომპლექსი ძლიერაა დაზიანებული, შემორჩენილია 30-მდე ქვაბი და ქვაბის ნაშთი. გრაკალის ქვაბების უმრავლესობა აშეამად მიუვალა და ალპინისტური ტექნიკის გარეშე ჯერჯერობით მხოლოდ ქვედა იარუსების ოთახები გამოვიკვლიეთ. ისინი ადვილად დასაშუშავებელ კირქვაშია ნაკვეთი და ალბათ ამიტომ სწორი გეომეტრიული ფორმები აქვთ. გეგმარებით ეს ქვაბები თხოთის ქვაბოვანის მსგავსია, ხოლო კვეთის ტექნიკა უფლისციხის ზოგიერთ სათაესს და კასპის აკლდამებს გვაგონებს. იატაკები აქ იმდენად სწორია და გამოქარული, რომ ეულტურული ფენები პრაქტიკულად შემორჩენილი არ არის, ამიტომ უშუალოდ ქვაბთა არქეოლოგიურმა დაზვერვამ ძეგლის დამთარღებელი მასალა ვერ მოგვცა. სამაგიეროდ იჭვე, ქვაბების წინა ფერდობზე საკმაო რაოდენობით მოიკრება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკულ ნაკეთობათა ნატეხები, რაც რთული რელიეფის გათვალისწინებით, მხოლოდ კომპლექსის ბინადართა ინვენტარის ნაშთი შეიძლება იყოს, როგორც ვხედავთ, სრული უფლება გვაქვს გრაკალის ქვაბების წარმოშობაც წინაანტიკურ ხანას დავუყავიროთ.

შიდა ქართლის ამ რიგის კლდის ძეგლების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ამჯერად ჩვენი ავლევის წინასწარული შედეგების უფლისციხის წარმოშობის ურთიერთმიმართებაში განხილვით დაკმაყოფილდეთ.

უფლისციხე რომ მრავალპლასტიანი, სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული დანიშნულებისათვის არაერთგზის გადაკეთებული და ადაპტირებული ძეგლია, ამის შესახებ მკვლევართა უმრავლესობა აღარ დავიბნობს. ურთიერთსაპირისპირო აზრები გამოითქმის მხოლოდ მისი ფუნქციის შესახებ რომელიღაც კონკრეტულ ხანაში - ზოგიერთი მეცნიერი მას ქალაქად მიიჩნევს, ზოგი ციხედ, სატაძრო კომპლექსად, ნეკროპოლად [4]. ამასთან ერთად კამათს იწვევს კომპლექსის შემადგენელი ცალკეული ჯგუფების შექმნის თანმიმდევრობა, რაც მათი ხუროთმოძღვრული სტილის და მოპოვებული არქეოლოგიური მასალის განსხვავებულად გააზრებითაა გამოწვეული. ამ მოსაზრებათა მართებულობის შესახებ მსჯელობა ამჟამად ჩვენი გამოკვლევის ფარგლებს სცილდება (და მიინც გვეჩვენება, რომ ზოგიერთ მკვლევარს უფლისციხის ფუნქციონალური მრავალსახეობა დროსა თუ სივრცეში ძალზე გამარტივებულად წარმოდგენილია), ამიტომ მხოლოდ უდავო ფაქტს აღვნიშნავთ: როგორც ჩანს, მრავალსაფეხურად ნაგებ-რესტავრაციამ უფლისციხეში მინიმუმამდე შეამცირა თავდაპირველი სახით შემორჩენილ სათესთა რაოდენობა. მათი ნაშთების ხუროთმოძღვრულმა ანალიზმა, რაოდენ დასაწინიც არ უნდა იყოს, საეჭვოა ძეგლის პირველსახის რამდენადმე ზუსტ რეკონსტრუქციამდე მიგვიყვანოს. მით უმეტეს, წარმოდგენილი ამ მონაცემებით უფლისციხის წარმოშობის ხანაზე და უძველეს ფუნქციაზე მსჯელობა. ყველაზე სანდო არქეოლოგიური კვლევის შედეგებია, რომლის მიხედვითაც უფლისციხეში კლდში ნაკვეთ კომპლექსი თუ უფრო ადრე არა, ძვ. წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულების მიჯნაზე უკვე არსებობდა. თუ დაახლოებით ერთ ეპოქაში წარმოშობას და შეზობლობას გავითვალისწინებთ, უფლისციხის თავდაპირველი დანიშნულება და ხუროთმოძღვრული სახე, ალბათ, ჩვენ მიერ შიდა ქართლში მიკვლეულ ქვაბთა უძველესი კომპლექსების ანალოგიური იყო.

და ბოლოს, აგრერივად საკამათოდ გამზდარი საკითხის შესახებ, თუ რამდენად ასახავს ანტიკური ხანის იბერიის რეალობას „მოქცევაი ქართლისაი“-ში დაცული ცნობა, სადაც „უფლისციხე კასპისა“ მოიხსენიება. ერთმანეთისაგან თითქმის 20 კმ-ით დაშორებული, თუნდაც ერთ პოლიტიკურ ერთეულში შემავალი ნაქალაქარი კასპისა და უფლისციხის ამგვარი ურთიერთმიმართება, მიუხედავად ზოგიერთი მეცნიერის არგუმენტაციისა, ნაკლებად დამაჯერებლად გვეჩვენება. ჩვენი ბოლოდროინდელი გამოკვლევები საფუძველს გვაძლევს „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევაი ქართლისაი“-ში პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანების წარმოქმნის ვითარებასთან დაკავშირებით ჩამოთვლილ ქართლის ზოგიერთ ქალაქსა და კლდში ნაკვეთ უძველეს კომპლექსთა შორის მჭიდრო მეზობლობა თითქმის კანონზომიერ მოვლენად მივიჩნით. გარდა ფაქტიურად ერთიანად კლდში ნაკვეთი უფლისციხისა, ამგვარი კავშირის მთავალითებად გვესახება: სარკინე-შოი-მღვიმის ქვაბები ძველი პლასტებით („ციხე დიდი“?), სამშვილდე - ჩვენ მიერ შესწავლილი ბრინჯაოს ხანის კლდის დასახლებებით, ოძრხე-ქვაბლიანის ხევის კლდის ძეგლები, წუნდა-ბერთაყანის ქვაბებით, თითქმის მცხეთაც - არმაზიხის მიდამოების ქვაბთა ჯგუფებით, და ბოლოს, კასპი აქ წარმოდგენილი თხოთის ქვაბოვანით. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილ კლდის ძეგლთაგან ზოგიერთის წინაპრისტიანულ ხანაში წარმოშობა ჯერ კიდევ დამტკიცებას მოითხოვს, მაგრამ დანამდვილებით თანადროულ ძეგლთა შორის ამგვარი ორგანული კავშირიც კი უკვე დამაფიქრებელია. ყოველივე ეს იმაზე ზომ არ შეიძლება მიგვანიშნებდეს, რომ აღნიშნულ დასახლებულ პუნქტთა წარმოშობაზე მათ მახლობლად არსებულმა სწორედ


ამ კლდის დასახლებებმა იქონია გავლენა, შუაბრინჯაოს და გვიანბრინჯაოს ხანათა მიწნაზე მოსახლეობის მიერ კლდის საცხოვრებლების მოწყობის წესის ტრანსფორმაციას ზრდასთან დაკავშირებით. ერთი რამ კი ცხადია - ანტიკურ ხანაში ქართლის ქალაქთა არქიტექტურა ნაწილში კლდეში ნაკვეთი კომპლექსები ზვეულ ატრიბუტად გვევლინება და ამ უბანთა ადაპტაცია-განვითარებაც მიმდინარეობდა. კლდის უბნებს შესაძლოა რამდენადმე სპეციფიური ფუნქციონალური დატვირთვა გააჩნდათ, წინაპართა ბინადრობის ტრადიციიდან გამომდინარე, ალბათ, უფრო საკულტო-მემორიალური ელფერისა და ეს შათ საზოგადო სახელშიც აისახებოდა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ასეთი სახელწოდება იყოს „უფლისციხე“, და რომ ანტიკურ კასპს საკუთარი „უფლისციხე“ ჰქონოდა თხოთის ქვაბოვანის საბით. ასეთი დამუშავება ნათელს მოუხვედნა როგორც „მოქცევაი ქართლისაის“ ზემოთ აღნიშნულ ცნობას, ისე „ქართლის ცხოვრების“ იმ ეპიზოდს, თუ როგორ „მოიხილა“ თხოთის მთაზე მდგომმა შირიან მეფემ მისი მოქცევის დღეს ერთდროულად კასპიც და უფლისციხეც [7].

ლიტერატურა

1. მოქცევაი ქართლისაი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები - ბი, თბ., 1964, გვ. 150.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, კ.ე.ტ. IV, თბ., 1973, გვ. 350.
3. აქვე, გვ. 364.
4. ღ. ბატონიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27. Т.Санкидзе, Новые материалы по пещерному городу Уплис-цихе, IV международный симпозиум по груз. искусству, Тб., 1983, с.2-9.
5. მოქცევაი ქართლისაი, გვ. 81.
6. ლ. კვიციანი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ., 1968.
7. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 109.
8. ნ. ბატონიშვილი, კასპის აკლდამები, საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, წიგნი 5, თბ., 1990, გვ. 130.
9. ნ. ბატონიშვილი, ქვემო ქართლის კლდის ძეგლები, თბ., 1991, გვ. 109-131.

ქველი ვანის ზღაროთმომკვრება

ამ ძველი ქართული ქალაქის გარშემო საუფუნეზე მეტია მიმდინარეობს შეხედულებათა და მოსაზრებათა ურთიერთგაცეცლა. რა ფუნქცია ჰქონდა ქალაქს, ვინ იყვნენ მისი მცხოვრებნი, რა ხასიათისაა ქალაქის მატერიალური კულტურა, რა კანონებს ექვემდებარება მისი არქიტექტურა და მრავალი სხვა ის კითხვებია, რომლებზეც პასუხები ვტაპობრივად და გაცემული და მიიწ, უოველი საკითხი კვლავ საჭიროებს დამატებით განხილვას, დაზუსტებას და, სულაც, ახლებურ ხედვასა და გაშუქებას. ეს იმითაა გამოწვეული, რომ არქეოლოგიურ გათხრებს სულ უფრო და უფრო ახალი მონაცემები შეაქვს მკვლევართა აზროვნების სისტემაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ჩნდება ახალი ანალოგები და პარალელები, ზუსტდება მსგავსი თუ განმასხვავებელი ნიშნები და ა.შ.



სურ.1. ვანის ნაქალაქარი. გენგეგმა.

1. ჩრდილოეთის კარიბჭე და მისი მიმდებარე სასიმაგრო ნაგებობანი: საზღოცველო, ნახევარწრიული ყაზარმა, კერტინა, ოქტოგონალური კოშკი. 2. ტაძარ-პროპილევები (აღმოსავლეთის კარიბჭე). 3. ცენტრალური ტერასის ტაძარი და ცერემონიალური საკურობველი. 4. საფეხურებიანი საკურობველი და ცერემონიალური ბაქანი. 5. კლდეანი საკურობველები და სამსხვერპლოები. 6. კოშკურა ცეცხლის საზღოცველო. 7. საკულტო ტერასა. 8. მრგვალი ნაგებობა. 9. სამსხვერპლო. 10. საფეხურებიანი საკურობველი. 11. სასიმაგრო ზოლის ჩრდილო და სამხრეთი სექტორები. 12. აღრეანტიკური ხანის ხის ტაძარი. 13. კონტრფორსებიანი ნაგებობა. 14. საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობა. 15. ელინისტური ხანის ნაგებობათა ნაშთები. 16. სამურუნუო ნაგებობა. 17.



ადრეკრისტანული ველისის ნაშთები. 18. ადრეელინისტური ხანის გაქვებულ ნაგებობათა კვლე-
 მრავალი ნაგებობა, ტაძარი, საკურთხეველი. 19. ცენტრალური ტერასის სასიმაგრო ზღობის
 ფრაგმენტები. კურტინა. სწორკუთხა კოშკი. 20. ბრინჯაოს ქანდაკებების ჩამოსახსნებები. 21.
 ცენტრალური ტერასის რვაკუთხა კოშკი.

საქართველოს
 ეროვნული ბიბლიოთეკა

გვსქედითის ხელმძღვანელის, პროფ. ოთ.ლორთქიფანიძისა და მისი კოლეგების მიერ
 ვანის ნაქალაქარის შესახებ დიდი ლიტერატურაა შექმნილი როგორც ზოგადი ხასიათის, ისე
 საშუენიგრო პუბლიკაციები და რკვევანი. დაინტერესებულ მკითხველს ადვილად შეუძლია
 მათი მოძიება. ნაქალაქარის შესწავლის ისტორიაც დაწერილებითაა შრომებში
 წარმოდგენილი.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ანტიკური არქიტექტურის შესწავლა და
 შესწობა ურთულესი საქმეა თუნდაც იმიტომ, რომ როგორც ჩანს, აქ ნაქალაქად
 ემარჩილებოდნენ საყოველთაო, კანონიკურ ნორმებს და ამა თუ იმ „კანონს“ საკუთარი
 შეხედულებისამებრ გადაამუშავებდნენ.

იმ ბორცვს, რომელზეც ვანის ძველი ქალაქი იყო განფენილი, „ახველიდანების გორა“
 ეწოდებოდა. ახველიდანები აქ ლეჩხუმიდან XIX საუკუნეში ჩამოსახლებულან და
 ადგილობრივ ფეოდალებს, თავად ჩიჯავაძეებს შეეცდებოდნენ. ბორცვი მაღალი არაა. ზღვის
 დონიდან იგი მხოლოდ 140 მ-ის სიმაღლეზეა, მაგრამ კარგადაა დაცული და შემოფარგლული
 ღრმა ხეცებითა და ღელეებით. ღელეები მდინარე ჭიშურას უერთდება, ჭიშურა - სულორს,
 იგი კი რიონში, ძველ ფასისში ჩაედინება. ბორცვი აღმოსავლეთიდან თანდათანობით
 მალღდება და დასავლეთით ხეცების სათავეებთან სრულდება. მისი ფართობი და,
 შესაბამისად, ძველი ქალაქისაც სულ რა ხა-ს შეადგენდა. ანტიკურ ხანაში განაშენიანებული
 ფართობის სიდიდე ნაქალაქად განსაზღვრავდა მათ საქალაქო ხასიათს, ქალაქად იწოდებოდა
 ნებისმიერი ცენტრი, რა სიდიდისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, სადაც გადნაწილების,
 ურთიერთგაცეკვის ნებისმიერი პროცესი წარმოებდა: რელიგიურ თუ პოლიტიკურ
 შეხედულებათა, სასაქონლო, სამხედრო ძალთა და სხვ.


ზუნებრივად იბადება კითხვა: რა ნიშნის მიხედვით განსაზღვრა თანამედროვე მეცნიერებამ
 ეს არქეოლოგიური კომპლექსი ცენტრად, ამდენად, ქალაქად? ერთი რამ სრული
 სარწმუნოებით შეიძლება ითქვას, რომ აქ, ამ ბორცვზე ძვ.წ. VIII საუკუნიდან მაინც ძვ.წ. I ს-
 ის დასასრულამდე რელიგიურ შეხედულებათა და კულტთა თავმოყრა ხდება. ძვ.წ. III ს-დან
 იგი ნამდვილად ერთიანი არქიტექტურული საკულტო კომპლექსია. არქიტექტურული
 ნაგებობების გარდა ამაზე მეტველებს დიდძალი არქეოლოგიური მასალა და თვით მათი
 აღმოჩენის სიტუაცია - ესაა ძირითადად შეწირულობანი, რომლებიც ფიქსირდება ქალაქის
 კედლებთან, საკურთხევლებთან, ტაძრებთან. ბორცვი, როგორც საკულტო ცენტრი
 ბატონობს რაღაც „ქვეყანაზე“, როგორც წმინდა ქალაქი ფლობს ამ „ქვეყანას“. რელიგიური
 ცენტრის ფუნქციას თან ახლდა თუ არა პოლიტიკური მნიშვნელობაც გადაჭრით ძნელი
 სათქმელია, თუმცა სავარაუდო ნამდვილია.

ყველაზე ადრეული საკულტო ნაგებობა ძვ.წ. V-IV საუკუნეებით თარიღდება. ჩვენამდე
 მხოლოდ მისმა ნაშთებმა მოაღწია (გენგეგმაზე N 12) და, მიუხედავად ამისა, იგი მრავალმხრივ
 ინფორმაციას გვაწვდის კონსტრუქციულ თავისებურებათა, გეგმარებითი სტრუქტურის,
 ცერემონიალური სელების მიმართულებათა შესახებ და საშუალებას გვაძლევს
 წარმოვიდგინოთ მისი თავდაპირველი სავარაუდო იერსახე: ნაგებობა ხისა ყოფილა,
 მთლიანად თიხით შველსილი და დაახლოებით 600 კვ.მ.-ზე გავრცობილი. უპირველესად
 კონსტრუქციულ სტრუქტურაში უნდა გავერკვეთ, მაგრამ წინასწარ უნდა ითქვას, რომ ბორცვის
 ქერტი მოყვითალო, რბილი კლდეანი მასივია - თირი (სულხან-საბანს მიხედვით თირი
 ლილი კლდე, თირი არს ჭუა ლილი და ადვილად საქრელი) და ამ ძველი ქალაქის
 ხუროთმოძღვრებასა და სამშენებლო საქმეში აქტიურად მონაწილეობს, ტექტონიკურადაა



დაკავშირებული ადამიანის მიერ შექმნილ სტრუქტურებთან. ზორციის რელიეფი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გარდატეხათა მიხედვით სამ ტერასად იყოფა. ხედასამთავარებელი ტერასის ცენტრალურ არეში გაუმართავთ ხის საკულტო ნაგებობა. მისასაგებად სამშენებლო მოედანი წინასწარ დაუმუშავებიათ, გადათლიათ და მოქმედობით კლდეანი ნაშენებები. კლდეზე კარვად იკითხებოდა ქვის სათლელ იარაღთა კვალი. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საძირკვლის კონსტრუქცია: კლდეში გარკვეული შუალედების დაცვით ამოკვეთიათ სწორკუთხა თანაბარი ზომის ბუდეები, რომლებშიც ხის ბალიშები ეფინა, მათში კი ჩაქდებული იყო საკედლე მორები. აქ გათვალისწინებულია ხის კონსტრუქციული შესაძლებლობანი და მიგნებულია კლდისა და ხის სტრუქტურის ურთიერთმიბმის ყველაზე პრაქტიკული მეთოდი - ბალიშებზე დასმული კონსტრუქცია. ამ გზით ნაგებობა გარანტირებული იყო რყევებისაგან, მოცურებისაგან. ნაგებობა ხანძრის შედეგადაა განადგურებული. ხანძარი კი გამოიწვია შეღესილობის თიხის ფენა, შემოფენიანა მასზე ანაბეჭდები, რომლებიც იმაზე მეტყველებს, რომ ტაძარი გაკუთხავი მორებით იყო ნაგები და, ამასთანავე, კუთხვებში ისინი ერთმანეთს ურთიერთქმედებით უკავშირდებოდა. ტაძრის ძირითადი „სიერკომბრევი ერთეული“ საშხრეთიდან ზრდილოეთისაკენ მიმართული გრძელი დერეფანია, რომელსაც აღმოსავლეთიდან ორი ვრუ კედელი ედგმის. მათი შიდა სიერცე უჭრდებოდა დატბრული და მთელ სიმაღლეზე რივის ქვებითა და თიხით უნდა ყოფილიყო შეესებული. აღმოსავლეთიდან დერეფანითა და ვრუ შხლუდავი კედლებით იკვთება კვადრატული შიდა ეზოს მავარი ღია ფართობი, რომლის იატაკი თიხატკვნილს წარმოადგენდა. ცხადია მას ნაგებობის სისტემაში სარიტუალო ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

ასეთივე დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო დერეფანიც. თუ ყველა ზედა არსებული მონაცემის საშუალებით მოვახდენთ ნაგებობის თვდაპირველი სახის სავარაუდო რეკონსტრუქციას, ვლებულობთ საკმაოდ უჩვეულო თიხით შეღესილ ხის მასივს, რომლის ანალოგი ჩვენთვის უცნობია. დერეფნის ფუნქცია, როგორც ჩანს, ცერემონიალური სვლებით განისაზღვრებოდა, მაგრამ აქ ჩართული უნდა ყოფილიყო სხვა ფართობიც, ალბათ, გარე



სურ.2. ცეცხლის კოშკურა სამლოცველოს ნაშები (აქსონომეტრია).

ტერიტორიის ნაწილი, რადგან მართოდენ დერეფანი ამისათვის ვერ გამოდგებოდა, სვლები კი ღია ცერემონიალური ეზოს ირგვლივ უნდა წარმართულიყო. აქ თავისთავად გვახსენდება შორეული პარალელები - აღმოსავლური ტაძრები, ცენტრალური დახურული კვადრატული სიერცეებითა და გარსშემოსავლებით. თუმც ვანის ხის ტაძრისათვის უშუალო შესადაგრებული მასალა არ მოგვეპოვება, რადგან ამ დროისათვის (ძვ.წ. V-IV სს.) ნახევრად

ლია საკულტო ნაგებობანი უცნობია როგორც აღმოსავლეთში, ასევე ბერძნულ სამყაროში. ყველა ნიშნის მიხედვით საქმე უნდა გვეკონდეს კოლხურ საკულტო ნაგებობის სახეობასთან. თუმც არ ვიცით რამდენად მყარია ეს არქიტექტურული სახე. ჩამოყალიბებული საკულტო არქიტექტურული ტიპიც იყოს და ერთეული შემთხვევაც - ქურუმთა კასტის საგანგებო დანაკვეთიც.

მიჩნეულია, რომ ძვ.წ. IV ს-ის II ნახევარს განეკუთვნება ცენტრალური ტერასის საკულტო ნაგებობა (გენგეგმაზე N 6). მისი ნაშთები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე თავისი შედგენილობითა (მისი ძირითადი ნაწილი ჰოლიანად რიყის სხვადასხვა ზომის ქვებითაა ნაგები) და იმ ძალისხმევის დიდი მასშტაბით, რის შედეგადაც მისი წარმოქმნა გახდა შესაძლებელი. ნაგებობა სტრატეგრაფიული შონაკემებით თარიღდება, მაგრამ გამოირჩეული არა მგონია მისი რამდენადმე უფრო გვიანდელი პერიოდისათვის კუთვნილება. ეთქვას ძვ.წ. III ს-თვის სამლოცველო ძლიერ ხანძარს გაუნადგურებია, იმდენად ძლიერს, რომ რიყის ქვების დიდი ნაწილი წიდადაა ქცეული. იწვოდა ხისა და ალიზით შედგენილი მისი მასიური კედლები, რომლებიც რიყის ქვებით ნაგებ შალალ ცოკოლზე იყო დაფუძნებული. ნაგებობა გაუმართავთ წინასწარ მომზადებულ მოედანზე. აქ შევსებული და გამოთლიანებულია ღრმა კლდეანი ნაპრალი, აღმოსავლეთის მხრიდან კარგად ჩანს ნაპრალის გადაშვები კედელი. სამლოცველო კედრატული გეგმისაა. მისი კედლების სიგანე 3,5 მ-ს აღწევდა და, ალბათ, ბრტყელი გადახურვით სრულდებოდა. ზეენამდე შემორჩა რიყის ქვებითვე მოგებული იატაკი. ეს სწორედ ნაგებობის ის დეტალი იყო, რომელმაც უყოყმანოდ განსაზღვრა მისი საკულტო ფუნქცია. უფრო მეტიც, სავარაუდოა, რომ მისი სახით ცეცხლ სამლოცველოს რომელიღაც სახეობასთანაც კი გვეკონდეს საქმე, იატაკზე დაფიქსირდა რიყის



სურ.3. კოშკურა სამლოცველოს იატაკი საცეცხლე ღრმულებითა და წრიული საცეცხლეთი.


ქვებითვე შექმნილი, ერთად დაფუძნებული, წრიული ჩადრმავებანი, ცეცხლის ამკარა კვალითა და ფერფლით. ამას გარდა, შიდა ფართობის დასავლეთ არეში წრიული ცალკე მდგომი საგანგებო საცეცხლეს იყო გამართული. ამ ნაგებობის არქიტექტურულ ტიპზე



გადაქრით საუბარი ცოტათი ჰქონს, რადგან შეიშინება, რომ მან არაერთხელ განიცადა გადაცემა და ცვლილება. ძველდება იმის დადგენაც, თუ როდის გაანადგურა იგი ხანძარმა. შემორჩენილი სტრუქტურა და გეგმა (არაბუნებრივად განვიწყობა, ევადრატულობა) კი თითქოს იქითვე გვიბიძგებს, რომ აქ კოშკურა ტაძრის არსებობა ვივარაუდოთ, სხვადასხვა კულტურათვის კოშკურა ტაძრები აღმოსავლეთის თითქმის ყველა რეგიონში იმართებოდა და მათ მყარად ჩამოყალიბებული სტაბილური მხატვრული სახე არც გააჩნდა. ისინი ერთ ჭვეფედ მხოლოდ სიერციის ვერტიკალური ორგანიზაციის მიხედვით ერთიანდებიან.

ვანის ძველი ქალაქის ყველა სხვა ნაგებობა უცოყმანოდ ელინისტურ ხანას, ძვ.წ. III-1 საუკუნეებს განეკუთვნება. ეს ის პერიოდია, როცა ქალაქი შვეთრად ჩამოყალიბებულ არქიტექტურული ანსამბლის იერს ღებულობს. თუმც მთელი ამ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე არაერთი ნაგებობა უქმდება, მის ადგილას იმართება ახალი, ახალს ემატება მინაშენები და ა.შ. ქალაქში, მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, შენების პროცესი არასოდეს შეწყვეტილა.

ელინისტურ ხანაში ქალაქის ტერიტორია მძლავრი სასიმაგრო ზოლით ჩანს დაკონკრეტებული. ქალაქის კედლები არაერთ პუნქტშია გამოვლენილი, მოკლევლია კარიბჭეებიც. ერთ-ერთი კარიბჭე 1966 წელს აღმოჩნდა და კარგა ხნის მანძილზე ქალაქის ძირითად კარად იყო მიჩნეული (გენგეგმაზე N 1). 1982 წ. ამავე ტერასაზე (ქვედა ტერასა) საბოლოოდ გამოიკვეთა კიდევ ერთი მონუმენტური ნაგებობა, რომელიც ყველა ნიშნის მიხედვით ტაძარ-პროპილევს წარმოადგენს. ჭერ პირველი კარიბჭე განეიხილოთ და მასთან ერთად მის მიმდებარე სასიმაგრო ზოლის სისტემასაც შევავლოთ თვალს. ნაგებობათა ეს კომპლექსი ქალაქის ჩრდილოეთითაა გამართული და თბრობისას მას ასეც მოვიხსენიებთ - ჩრდილოეთის კარიბჭე. იგი როგორც ბჭე ჩაშენებულია კლდოვან მასივში. ქალაქში შემსვლელი გვერდს ჩაუღლიდა ქალაქის მფარველი ღვთაების მარმარილოს ქანდაკებას.



სურ.4. კარიბჭის შემორჩენილი სტრუქტურა, გეგმა: 1. ქანდაკების კვარცხლბეკი. 2. ღარი პორტულისისათვის. 3. პილონი. 4. კარის ღერძის ბუდე. 5. სამლოცველოს შიდა ფართობი. 6. საკურთხეველი. 7. კვაიფილი.



ჩვენამდე კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ქანდაკების კვარცხლბეკი შემორჩა, რომლის მარმარილოს ზედაპირზე ქანდაკების ჩასამაგრებლად სპეციალური სწორკუთხა ბუდე იყო ამოკვეთილი. ბუდეში კი მონუმენტის მდგრადობისათვის ტყვიის ფირფიტა ვერტიკალურად ტყვიის ფენილმა შემოგვიწინა ქანდაკების ნაშთი, მისი ფუძის მარმარილოს ფრაგმენტები, ხოლო იქვე, კირქვის კვადრებით შედგენილ კედელზე, რომელსაც კვარცხლბეკი ედგმის, ბერძნული ასოებით ამოკაწრულმა წარწერამ - „გვედრები შეუფუო“ განასაზღვრა ქანდაკების მნიშვნელობა ვანის ძველი ქალაქისათვის. ეჭვს გაკრეფა, რომ აქ ქალაქის მფარველი ღვთაების გამოსახლება იყო აღმართული. თით ქალაქის კარი ორმაგი იყო.

ჩვენამდე ორივე მათგანის არსებობის უტყუარი ნიშნები შემორჩა: ვერტიკალური ღარი, კარი - ტიბარისათვის, შვეულად მოძრავი წინაღობა - პორტულისისათვის, რომელიც საკმაოდ რთულ მექანიზმს გულისხმობდა - გორგოლაკებზე თოყებით დამონტაჟებულ ასაწევსა და დასაშვებს. მთელი ეს მოწყობილობა კი ზედა სართულში უნდა ყოფილიყო გამართული. საქმე ისაა, რომ კარიბჭის ცალი მხარე მორღვეულია, იგი გერ საურმე გზის მშენებლობისას დარღვეულა და შემდგომ საეტიკომობილო გზის გაუანისას განადგურდა, მაგრამ დასავლეთის გადარჩენილი ნაწილის მიხედვით უტყუარობით შეგვიძლია კარიბჭის სისტემის აღდგენა. მეორე კარი კი ჩვეულებრივ ფრთიანი იყო. შემორჩა მისი ღერძის ბუდე, ქვის საიატე ფილამ კი შემონახა მისი მოძრაობის ანაბეჭდი - საკმაოდ ღრმა ნახვევარჩიული ნაკაწრები. ამ ორ კარს შორის შუალედში წინ გამოხილული პილონია შექმნილი. ასეთივე კონსტრუქცია მეორე მხრიდანაც უნდა ვივარაუდოთ და ღიობთა სისტემა სრულიად ნათლად წარმოგვიდგება. ამით დასრულდა კარიბჭის „ჩამკეტი სისტემა“, რომლის გავლის შემდგომ ქალაქში შემსლული მცირე კოშკ-სამლოცველოში ხედება და არა უშუალოდ საქალაქო ტერიტორიაზე. სამლოცველო კოშკის დასავლეთ კედელზე მიდგმულია საკურთხეველი, რომელიც ვ.წ. მაგიდისებრ საკურთხეველთა ტიპს განეკუთვნება (ილუსტ. XII) და ძირითადად მშრალ შენაწირთა მისაღებად იყო განკუთვნილი. საკურთხევლები კარიბჭეთა სისტემაში საკმაოდ ხშირად გვხვდება, როგორც ბერძნულ, ასევე აღმოსავლურ სამყაროში და გამოხატულის ამ მხრზე, როგორც ჩანს, არც ვანის ძველი ქალაქი წარმოადგენდა. საკურთხევლები იყო აღმართული მიღების კარიბჭეებში, ევრამეიკოსის დიპლონში და სხვ. კედელზე იყო მიდგმული ცეცხლის საკურთხეველი პერსეპოლისის მონუმენტურ „სამყაროს კარიბჭეში“ და ა.შ.

კარიბჭეები საფორტიფიკაციო სისტემებში საკვანძო ერთეულებია და ჩართულია კოშკებისა და კურტივნების ანსამბლში. აღმოსავლეთიდან კარიბჭეს ნახვევარჩიული კოშკი




სურ.ბ. კარიბჭე (აქსონომეტრია).

ედგმის, რომელიც თავის მხრივ კახეზატებთან ერთდინთ რეაქუთხა კოშკს უკავშირდება. სამხრეთიდან ნახვევარჩიულ კოშკს კიდევ ერთი ოთხკუთხა ნაგებობა ედგმის, რომელიც, შესაძლოა, ყაზარმა იყო. რეაქუთხა კოშკის ერთ-ერთი გვერდიდან უცილობლად უნდა გრძელდებოდეს კურტინა, მისი სხვა სექტორი, რომელიც წერტირობით მიკვლევული არაა.

იმით, რაც გამოვლენილია, თითქმის სრულად ისახება ქალაქის სასიმაგრო ზოლის ერთი ნაწილი, მაგრამ მისი გვემარება გვაფიქრებინებს, რომ აქ ჩვენამდე


არშემორჩენილი რაღაც დეტალებიც უნდა ვიგველისხმოთ. საქმე ისაა, რომ ქალაქის გარს/ნახევარწრიული კოშკი მარცხენა მხრიდან და ამასთანავე ნაკლებფუნქციურად იქცევა.



სურ.5. კარიბეკის შემორჩენილი სტრუქტურა. ხედი დასავლეთიდან (დეტალთა აღნიშვნა შეესაბამება გვერის ნუსხარცისს).

იმ სამხედრო შენაერთს, რომელიც შეეცდებოდა ქალაქის აღებას, მის ფარგლებში შეღწევას, სამხედრო აღჭურვილობის პროგრამის მიხედვით, ფარებით დაცული სწორედ მარცხენა მხარე ექნებოდა. შეტევის დროს შენაერთი ერთ მუშტად იცვებოდა ხოლმე და მარცხნიდან მათზე დაშენილი ისრები და ლოდები ვერ აღწევდა სასურველ მიზანს, ვერ იწვევდა შებტყევი ბირთვის შეჩერებასა და გაფანტვას ე.ი. კარიბეკე ფლანკირებული უნდა ყოფილიყო მეორე მხრიდანაც და ალბათ სწორედ ამ ფუნქციას ასრულებდა კარიბეკის ჩრდილო-დასავლეთით კონტრფორსების მავარი სტრუქტურები, კოშკისებური ნაშრევეები, რომელთა შიგლი უკიდურესმა ქვედა ნაწილებმა შიგლია ჩვენამდე. ეფექტობ, ვანის ჩრდილოეთის კარიბეკე ორივე მხრიდან იყო ფლანკირებული. გარდა ამისა, იგი საფორტიფიკაციო საქმის ყველა მიღწევის მიხედვით იყო შექმნილი. გადავხედოთ ანტიკური საფორტიფიკაციო საქმის ამ მიღწევებსაც. სასიმაგრო ნაგებობათა სისტემების შექმნაში ბერძნულ სამყაროში ახალი ტერები ელინისტური ხანიდან, ძვ.წ. III საუკუნიდანაა განსაკუთრებით შესამჩნევ.

უპირველესად ესაა კოშკთა ახალი, გაზრდილი მნიშვნელობანი. ამ პერიოდიდან ისინი დამოუკიდებელი ერთეულების მნიშვნელობას იძენენ, როგორც თავდაცვითი ბრძოლის წარმოების ძირითადი ბირთვები და კურტინათა გარდატეხის ადგილებში რაც შეიძლება დიდი არეალის მაკონტროლირებელი ბაქნები. მათზე კი გარკვეული სისტემით სატყორცნი დანადგარების განთავსება ხდებოდა. ამ მიზნებს ობტეუთხა, კვადრატულ კოშკებზე უკეთ ნახევარწრიული და პოლიგონალური კოშკები ემსახურება და III საუკუნიდან სწორედ ისინი დომინირებენ სასიმაგრო სისტემებში, თუმცა შედარებით ნაკლებ საპასუხისმგებლო ადგილებში კვადრატული კოშკები ფუნქციონირებდა (ისევე როგორც ვანში გენგემაზე N 19). ითვლება, რომ კურტინათა არედან საგრძნობლად წინ გაზიდული ნახევარწრიული კოშკები აიოლებენ მათზე სატყორცნი მანქანების განთავსებას და საჭიროების მიხედვით მათ ოპერატიულ გადაადგილებას. ასეთივე მნიშვნელობას იძენს პოლიგონალური კოშკებიც რელიეფისა და, შესაბამისად, კურტინათა მკვეთრი გარდატეხის ადგილებში. ბერძნულ



სურ.7. საკურთხეველი (აქსონომეტრია).


საფორტიფიკაციო საქმეში რეაქუთხა კოშკი გარკვეულ მიღწევად ითვლება და საკმაოდ იშვიათია. მთელს მცირეაზიის ტერიტორიაზე ელინისტურ ქალაქებში სულ რამდენიმე ნიმუშია ცნობილი (ცველაზე მეტად ვანის კარბუქის სისტემას მცირეაზიური ელინისტური ქალაქის - ისაურას კარბუქე ემსგავსება, შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ ისინი ერთიანი ზოგადი გეგმარებითი მოდელის მიხედვითაა შექმნილი).

საერთოდ, ბერძნული საფორტიფიკაციო ხელოვნების განვითარებას შეიძლება მშვენივრად გაედევნოს თვალი გარდანის, ვინტერის, თონის, ტოლსტიკოვის ყოვლისმომცველი ნაშრომებით.

რეაქუთხა კოშკის გათბრისას აღმოჩნდა სარკმელთა დარაბების ბრინჯაოს გასასყარავები, აგრეთვე მცირე ზომის კორინთიზირებული კაპიტელები, რომელთაც მხოლოდ დეკორატიული

ფუნქცია უნდა ჰქონოდათ და კოშკის ზედა სტრუქტურას ამკობდა. რეაქუთხა კოშკი რომ შემთხვევითობა არაა ვანისათვის ცენტრალური ტერასის სასიმაგრო ზოლის ერთმა მონაკვეთმა გვიჩვენა. აქაც რელიეფის მკვეთრი გარდატეხის არეში ოქტოგონია დასმული (გენგემაზე N 21) და იგი დასაცე ტერიტორიას საკმაოდ დიდ არეალზე აკონტროლებდა.

ელინისტური ხანიდან მკვეთრად იცვლის სახეს კერტინებიც, რაც სააალო ტექნიკაში ახალი დანადგარების გამოჩენასთანაა დაკავშირებული და რომლებიც სასიმაგრო კედლების სარღვევებადაა საგანგებოდ შექმნილი. ეს დანადგარი რამდენიმე სახეობისაა და ზოგადად მათ „კუ“ ეწოდებათ. ძირითადად ესაა ბორბლები ან ბაქანზე დამონტაჟებული ჰორიზონტალურად მოძრავი მასიური ბოძი (ტარანი), რომლის საბრძოლო ბოლო რკინის




სურ.8. ურნალი ვანის არქეოლოგიური მუზეუმიდან.

ურნალით სრულდება. ურნალის ერთი ვგზემპლარი ვანშიცაა მიცვლული. ტარანი ურნალიანი ბოლოთი დიდი ძალით ეჭაბება ქვის კედლებს და მათ ნგრევისა და დაშლის იწვევს. ამ იარაღის საწინააღმდეგოდ მაშინვე, თითქმის მთელს ელინისტურ სამყაროში ზდება



სასიმაგრო კედლების გადაბალისება - იზრდება სიგანე და ქვის დაბალ ცოკოლზე ამოქავეთ ალიზის წყობა. ცოკოლი იშენანდ დაბალია, რომ იგი ტარანის მოქმედების არეალზე დაბლაა, ხოლო ალიზის წინააღმდეგ იგი უძლურია - იგი, მართალია ხვრეტს თიხას, მაგრამ ვერ შლის მის სტრუქტურას. „უზომოდ“ განიერი კურტინები ვანის ნაქალაქარზე სწორედ ამ ცვლილებების მამყენებელია საფორტიფიკაციო საქმეში.




სურ.9. ზედა ტერასის სასიმაგრო ზოლის ფრაგმენტი (აქსონომეტრია).

უნდა შევვხვით სასიმაგრო ზოლის ერთ მონაკვეთს. ამჭერად ზედა ტერასას, რომელიც ზედ ხევის კედლეზე, მკვეთრად დაქანებულ კედლოვან ფერდობზეა დასმული (გეგმვაზე N II) და სამხრეთიდან აკონკრეტებს ქალაქის საზღვარს. აქ გამოვლენილი კურტინის კვალი სამშენებლო საქმის შალაღი დონითაც და გეგმარებითი სრულყოფილებითაც იქცევს ყურადღებას. კედლის მთელ სიგრძეზე დასტურდება, რომ საძირკვლის მოსამზადებლად კლდე საფეხურისებურად დაუნაწევრებიათ, საძირკვლის კედლები კი საგანგებო ბუდეებში ჩაუქვიათ. კურტინის გარე პირები ერთმანეთს განივი ტიხრებით უკავშირდება და ებმის. ტიხრებს შორის უქრედები გახემატებს წარმოადგენდა. აქ ცალკე უნდა აღინიშნოს კურტინის ერთგვარი დანამატები - კონტრფორსები. მათი კვალი საკმაოდ კარგად აკითხვბოდა კედლოვან ზედაპირზე. ქალაქის დამსკვი კედლების შიდა მხრიდან კონტრფორსებით აღჭურვა მცირე აზიისა და იტალიის ტერიტორიაზე ძვ.წ. III-II საუკუნეებში განხენილ ქალაქებს ახასიათებდათ. თეთი საბერძნეთის ტერიტორიაზე კი მხოლოდ ორიოდ შემთხვევია ცნობილი (ათენის სასიმაგრო კედლები და თესალია). ელინისტური ხანიდან სასიმაგრო სისტემები უგამონაკლისოდ ქალაქის გარშემოსავლელის ფუნქციასაც ასრულებდა, რითაც შიდა ტერიტორია გამუდმებული კონტროლის ქვეშ იყო. სისტემა უწვევტ ზოლს წარმოადგენდა ქალაქის ირგვლივ. კედლის ზედაპირი, ამავე დროს სასიარულო მოედანი, გარე მხრიდან საფარი კედლით დაცული, ერთგვარი გალერეაც იყო. აქ შიდა მხრიდან არსებულ კონტრფორსებს რამდენიმე ფუნქცია აქისრია: კონტრფორსებს შორის მანძილი სასიარულო ზედაპირის დონეზე ფიცარნაგითა და თიხატყეპნილი იფარგლება და ამით სასიარულო მოედანი რამდენადმე მაინც ფართოვდება. ამის გარდა, კონტრფორსებს შორის მანძილის გადახურვა შილიანად იცავდა კედლებს ნალექებისაგან და ბოლოს, კონტრფორსთა ძირითადი დანიშნულებაც უნდა ეახსენათ, რაც კედლის მდგრადობის განმტკიცებაში გამოიხატებოდა. კურტინის შემორჩენილი სიგრძე 5 მ-ს აღწევს. მისი სამხრეთის მხარე კლდიდანაა ჩარეცხილი და ზენაძლე არ შემორჩენილა. გათბრისას მთელ ფართობზე ინტენსიური კრამიტტარილი დაფიქსირდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ კურტინა შილიანად კრამიტით დაბურული ქანობით იყო გადახურული.

როგორც აღვინახეთ, ვანში საფორტიფიკაციო ნაგებობების თითქმის ყველა სახეობა ერთობაა თავმოყრილი და სისტემატიზებული. ზემოხსენებულ გრანდიოზულ ტიპარპროპოლეუმზე, რომელიც ქალაქის აღმოსავლეთ კარიბჭეს წარმოადგენდა და, როგორც ჩანს, ძირითადი საზეიმო-ცერემონიალური კარი იყო, შემდგომ თავში ვისაუბრებთ. იგი რთული ნაგებობაა, მრავალი მოულოდნელობების შემკველი, გამსაუთრებელია მისი

არქიტექტურული სახეც და მისი სტრუქტურა ქალაქში შემსვლელთათვის რთულ საკვლავ რიტუალებს ითვალისწინებდა.



სურ.10. ზედა ტერასის სასიმაგრო ზოლი. რეკონსტრუქცია.

1. კეიშიპეის კვადრებისაგან შედგენილი ცოკოლი.
2. სასიმაგრო კედლის შიდა შარე.
3. კონტრაფორსები.
4. კურტინის შიდა სივრცეში შესასვლელი ლიობი.
5. სართულშუა გადაბურვის კოჭები.
6. ბაქნის ზურჯები.
7. ბაქნის თიხატყეპნილი იატაკი.
8. საფარი კედელი.
9. საჩემელი.
10. გადაბურვის ზის კონსტრუქცია.
11. თიხის ფენილი.
12. კრაპიტის საბურველი.

გრაფიკული ილუსტრაციები და ფოტოები შესრულებულია ავტორის მიერ.

- პროპილეუმი** - მონუმენტური, საზეიმო კარიბჭე.
- პორტკულისი** - ვერტიკალური მოძრავი ტიხარი, ზემოდან დასაშვები კარი ქალაქის არიბჭეებში, საზოგადოებრივსა და საინჟინრო ნაგებობებში.
- პილონი** - კარიბჭის წინ აღმართული ბურჯები ან კედლის სიბრტყიდან გამოზიდული მასიური კარის წირთბლი.
- სტრატეგრაფია** - არქეოლოგიაში კულტურულ ფენათა განლაგება, მათი კლასიფიკირება და მათ მიხედვით ადამიანის მოქმედებათა ეტაპების განსაზღვრა.
- დიბილონი** - კარიბჭე ორი, ერთმანეთის მიმდევრობით გამართული კარებით. კარებებს შორის ზვეულებრივ თავისუფალი სივრცეა.
- კურტინა** - სასიმაგრო სისტემის ერთ-ერთი სექტორი. კოშკების მაკავშირებელი. მათ შორის მოქცეული კედელი.
- კონტრაფორსი** - კედლის გარე ბურჯი. კედლის მდგრადობის გასაძლიერებლად და განივი ბრჭენების სატვირთი, კედლის სიბრტყიდან გამოზიდული კონსტრუქციული ელემენტი.
- ფორტიფიკაცია** - მეცნიერება თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობის შესახებ. თავდაცვითი ნაგებობანი, სასიმაგრო სისტემა.
- კაზემატი** - სასიმაგრო სისტემათა სათავსოები. მოლაშქრეთა განსათავსებელი დაბნული კამერები, რომლებიც საჭურველთა საცავსაც წარმოადგენდა.
- პოლიგონალური** - მრავალკუთხა ნაგებობა. ანტიკურ ხანაში მრავალკუთხა სტემები საფუძვლად ძირითადად სასიმაგრო კოშკებს ედოთ.
- ოქტოგონი** - რვაკუთხა გეომეტრიული სხეული. ტოლკუთხა (ამდენად ტოლგვერდაც) რვაკუთხედი, რომელიც საფუძვლად ედებოდა ანტიკურ მაღლივ ნაგებობებს და სასიმაგრო კოშკებს.

გიორგი ბაგრატიონი
არქიტექტორი

მომზადებულია თურქეთში

(გაგრძელება)

ჩვენი არდაგანში ყოფნის მეორე დღეს ურის და გოგიუბას სანახავად გავეშურეთ.

ურის ეკლესია, რომელიც ეკეთიმე თაყაიშვილს ჰქონდა აღწერილი, თურქულ სოფელ ალთაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეკლესიის ალაგას მწვანე მინდორი დაგვხვდა. ეკლესიის ბედით როცა დავინტერესდით, სოფლელებმა მისი დანგრევა სამანქანო გზის გაყვანით ახსნეს, თუმცა გზას ძველიდან 10-ოდე მეტრის მოშორებით გაეღვია.

გულგატეხილებმა გოგიუბასკენ ავიღეთ გეზი. გზად სოფელ ბერკში შევიარეთ, სადაც, ჩვენდა გასაოცრად, X ს-ის დარბაზული ეკლესია (მინაშენით) აღმოვაჩინეთ. ძველი სოფლის შუაგულში, მომტრო ლოდთან გორაკზეა აგებული. სამხრეთ მინაშენი თითქმის შთლიანად დანგრეულია, კამარა აღარ არსებობს და აღმოსავლეთიდან მიდგმული სახლიდან მორჩადილი კარია საკურთხველში გაქრილი. ეკლესიის წყობა პორიზონტალურ რიგებად გაწყობილი უბეშად დამუშავებული ქვებითაა წარმოდგენილი; დასავლეთ სარკმლის თავზე „ბოლნური“ ჭერის რელიეფური გამოსახულებაა. ეს სოფელი, როგორც სასაზღვრო რეგიონს შექვევრის, თურქ ქარისკაცთა - ასკერების განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო და არ გასულა 10-ოდე წუთი, რომ მცირე რაზმით თავს დაგვადგნენ და ჩვენი ვინაობისა და მიზნების დადგენა დაიწყეს.

ამ სოფელში XIX საუკუნეში სომხებს უცხოვრიათ და აქაურ შკვიდრთ ეს ეკლესია სომხური ჰგონებიათ. შესაბამისად ჩვენც ალბათ სომხები ვგონეთ, რომლებიც თავიანთი ისტორიული სიძლიდრის სანახავად მოსულიყვნენ. როცა ამგვარი ეჭვები გაიფანტა, ჩვენ მუშაობა გაეაგრძელეთ და ქართულ არქიტექტურას კიდევ ერთი ნიმუში „შეემატა“. ბერკის შემდეგ გოგიუბასკენ გავეშურეთ, მაგრამ გზა აგებნა და სოფელ სევილიში მოვხვდით. ამ სოფლის წინა სახელწოდება ველი კოია ანუ ქართულად ველია. კლდოვან კონცხზე, რომელსაც სამი მხრიდან მტკვარი შემოუღვება ველის კომპლექსია აღმართული.

საუენის დასაწყისში ჭერ კიდევ მდგარი ეკლესიისგან „ოქროს მაძიებელთა“ მთობებით მხოლოდ საძირკველიდაა შემორჩენილი. შედარებით სრულად ორიოდე კოშკი და სასახლეა გადაჩენილი. მისი მეორე სართული თაღებზე დაყრდნობილი კამარით ყოფილა გადახურული. სოფლელებს ჩვენც „ოქროს მაძიებლები“ ვგონეთ და მთელი მუშაობის განმავლობაში გვაკონტროლებდნენ, რომ რაიმე არ გამოჩენილიათ.

ველის შემდეგ გოგიუბაშიც ჩავდიეთ, სადაც ჩვენდა სამწუხაროდ, მშვენიერი ექსპლემენტარული ტაძრისგან მხოლოდ კვის გროვებია დაგვხვდა. ეკლესია, როგორც ჩანს, ბოლო 20 წლის განმავლობაში განადგურებულია, რადგან 60-იანი წლების ფოტოებზე ის ჭერ კიდევ მინდორის შუაგულშია აღმართული.

გოგიუბას ნანგრევების სანვის შემდეგ არდაგანში დაბრუნდით და მეორე დღეს ისევ ამ მხარისაკენ გამოვეშურეთ.

საკმაოდ დიდი ხანი მოვანდოშეთ ზეგანის ტაძრის ადგილმდებარეობის განსაზღვრას. ეს ძველი თაყაიშვილის შემდგომ არც ერთ მეცნიერს არ ენახა, რაც იმითაც იყო გამოწვეული,



Խոփնա, Մեջրիկ



საკა - სეგირდი, IX სუკუნე



რომ მისი კოორდინატები საკმაოდ არაზუსტად იყო მითითებული. მედით სოფელში ერთი კაცი მიხვდა, თუ რას ვეძებდით და დიდსულოვნად გამოგვყვა ველისთის სანახავედ.

შორიდან ძველი დარბაზული ტიპის ეკლესია გვეგონა. ახლოს რომ მივყავართ, აღმოვაჩინეთ რომ ეს ნაგებობა ზეგანის ტაძრის სამხრეთი მკლავი ყოფილა. თვითნაგებობის მიერ აღწერილი ცნობილი ტეტრაკონჩი 15-იოდე წლის წინ აუფეთქებიათ, როგორც „სომხური“ ტაძარი. ჩვენს წინ გუმბათის ორნამენტული ქვეები ვყარა, სამხრეთის მკლავის ოდნავ შეისრულ თაღს და აფსიდის ხანძრის კვალი ვტყობოდა.

ზეგანიდან კურტ-კალუს და ვაშლობის სანახავედ გავემუჩეთ. გზა, რომელიც ხეობას მიუყვებოდა, მოპირდაპირე მხარეს საქართველოს გაჰყურებდა. ხეობაში მტკვარი მიედინებოდა. კურტ-კალე ანუ მგელ-ციხე ამ გზის ბოლო სოფელი იყო. როგორც კი სოფელში შევედით მაშინვე მივხვდით, რომ ციხეში და ვაშლობის ეკლესიაში სამხედრო ნაწილები ზოფილან განთავსებულნი და ჩვენც უკან გამოებრუნდით. გზაზე სოფელ ვრუშეთში შევიარეთ, სადაც თვითნაგებობის მიერ აღწერილი ტაძრის შვერილი აფსიდის ქვედა ნაწილია დადარბაზული.

შემდეგ დღეს ჩაისის სანახავედ გავემუჩეთ. ძველის სიახლოვეს კარწახის ტბაა, რომლის მუარე ნაპირი საქართველოს ვკუთვინის. XIV საუკუნის დარბაზული ტიპის ეკლესია სოფლის ცენტრშია აგებული. ამჟამად ძველის შიგნით ჩაშენი მოწყობილი. ჩვენი ცდა, როგორც გავგეგმიდებინა ტაძარი, უშედეგო აღმოჩნდა. გარედან ტაძრის პერანგი სხვადასხვა ზომის კარგათ თლილი ქვებითაა გაწყობილი. ქვის ფერი განსხვავებული ტონალობის შერჩევით, რაც ერთობ ფერწერულს ხდის ნაგებობას. ჩაისიდან გამობრუნებულნი სიკიარებში მივედით. ტაძრის მიხედვით ეს ძველი „საქიარები“ უნდა იყოს. აქ X ს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია დაგვიხვდა, კამარა ჩამოქცეული. ფასადებზე „ბოლნური“ გვირგვინის გამოსახულებები აღმოჩნდა. სოფლები მტკვრის ხეობაში არსებულ გამოკვანძულებზეც მიგვითითებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღე იწურებოდა და ჩვენც არდაგანისკენ გამოვემუჩეთ. არდაგანის ვილაიეთის ქართული ტაძრების მონახულების შემდეგ გვიხი იხვე კლარჯეთისკენ, არტანუჯისკენ ავიღეთ. ამჟერად სტეა, ნაკლებად ცნობილი გზით ვაქოზიანეთ დაბრუნებამ. მტკვარი, სერპანტინიანი შარა 2650 მ სიმაღლის უღელტეხილზე გადადიოდა.

უღელტეხილამდე 5-იოდე კილომეტრის მოშორებით, ხეობის ფერდზე ოდნავ შემადლებულ ალავს მშვენიერი უძველესი ციხე-სიმაგრე აღმოვაჩინეთ. სქელ გალავანში დერეფნები და შეიკოვანეთა ოთახები იყო განთავსებული. ციხის შიგნით რამოდენიმე ნაგებობის ნაშთებიც შეინიშნებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ციხის ორიგინალურად გადაწყვეტილი სალოდენები, რომლებიც ტალღისებურად იხიშნებოდა გარე კედლის მასივიდან. ციხიდან ხეობის გასწვრივ საგუმბაო კოშკების ნანგრევებიც მოსჩანდა, რომლებიც თავდაცვის ერთიან სისტემას ქმნიდნენ.

უღელტეხილის შემდეგ ბუნება დიამეტრალურად შეიცვალა. გზა ალპური ზონიდან ჭერ წიწვიან ტყიან ხეობაში ჩავიდა, რომელიც მალე ფართოფოთლოვანმა ტყემ შეიცვალა. არტანუჯში სადამოსკენ ჩავედით და ცნობილი არტანუჯის ციხის კომპლექსის დასათვალიერებლად გავწიეთ. ამ დღეს საინტერესო დამთხვევა მოხდა. იყო პეტრე-პავლობა და ციხის ეკლესიაც პეტრე-პავლეს სახელზეა აგებული. გადმოცემის თანახმად ეკლესიასთან აშორტ კურაპალატის საფლავი უნდა მდებარეობდეს. ციხე არტანუჯის ძველ უბანში, ადა-კალეში მდებარეობს. თავად უბანში უხარმაზარი, ნახევრად დაუფუშავებული ქვებით ნაგები გუმბათოვანი ტაძრის ნანგრევებია შემორჩენილი. ძველად, მაგრამ მაინც იკითხება ადვალეს ქაშე, რომელიც 1561 წელსაა აგებული და თურქული არქიტექტურის ერთ-ერთ ძველ ნიმუშს წარმოადგენს.



მეორე დღეს შატბერდისკენ გავწიეთ. ეს მშვენიერი ტაძარი ასეთივე წარმტაც ბუნებაშია აგებული. მიტოვებული ტაძრის თაობაზე საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი. ფენჯიქის უფრადღებან იქცევს ველისის გუმბათი, რომლის ვლიც სარკმლებს შერეულსკვეთს უნიშებიტაა დაშშვენებული. ტაძარი X საუკუნეშია აგებული. ინტერიერში, ჩრდილოეთ მკლავში მხატვრობის კვალია დარჩენილი. დასავლეთ მკლავში ქვის კონსტირენებზე კორა ყოფილა მოწყობილი, სადაც დასავლეთი ფასადიდან გაქრლი კარით შეიძლება მოხვედრა. ძველი უცხოელი ტურისტებისთვისაც საკმაოდაა ცნობილი, რის გამოც ზენ აქ გამოჩენას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ზეული ავიოტაჟი არ გამოუწვევია. შატბერდზე წინა წელსაც ვიშეშავეთ და ამის შედეგად ზენს ხელთაა შოლიანი ანაზომი.

კლარჯეთის შემდეგ ტაოს ძველების შესასწავლად გავდგურეთ. ღამის სათვეად ამ რეგიონის ტურისტული ცენტრი იუსეველი ავირჩიეთ. ვარდა იმისა, რომ ტაოს ოთხ ძველზე ანაზომები შევასრულეთ და შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ, კიდევ ერთხელ დაუტკბით ისეთი ტაძრების ხილვით, როგორებიცაა: ოშკი, ხახელი, იშხანი, ოთხთა ველსითა თუ პარხალი. ეს ძველები თაყაშელის 1917 წლის ექსპედიციის დროს საკმაოდ კარგად იყო შესწავლილი და ზენს მხოლოდ დამოუკიდებლობით დაკავაყოფილდით.

ერთ დღეს ესბავის კომპლექსი მოვიანხლეთ და ვრათიკულად დაეაფიქსირეთ. ყველაზე ძველი ნაგებობაა აქ საშნავეანი ბაზილიკაა, რომლის საყურთბველში გვიანდელი მხატვრობის კვალია შემორჩენილი. ველსისის სიახლოვეს აფერის დარბაზული ველსითაა, ორსართულიანი კაბელა, ძველი ავედუცი, ციხე და სხვ. ეს ძველი ვახტანგ ჯობაძემ აღმოაჩინა, მაგრამ ვრათიკული ფიქსაცია არ შესრულებულა და ამიტომაც ზენი მოაოვებული მასალა ამ მხრივ მეტად სასარგებლო აღმოჩნდა.

ესბავში ყოფნის შემდეგ დღეს მის გვერდით ზეობაში მდებარე კინეპოსის კომპლექსი შევისწავლეთ. თაყაშელის მიერ აზომილ მთავარ ტაძარს მის გარშემო მდებარე სამი დარბაზული ტიპის ველსისის ანაზომებიც შევმატა. საშუხაროდ, საუკუნის განმავლობაში ოთხაფსიდიანი ველსისიგან მხოლოდ ნახევარილა შემორჩა, გუმბათიც ჩამოქცეული დაგებდა; როგორც შეიტყვეთ, ყოველივე შედეგი ყოფილა მიწისძვრისა, რომელიც 10-ოდე წლის წინ მომხდარა.

ტაოს ძველების შესწავლისას წინა წელს მოვიანხლეთ ტაოსკარი და ვაქემორცი, რომლებიც ერთ ზეობაში მდებარეობენ. ტაოსკარის მეტად ორიგინალური რეამკლავა ტაძარა, რომელიც საუკუნის დასაწყისს ვარ კიდევ საინფოროდ იდგა, ამჟერად ორიოდ მეტრამდე სიმაღლეს ძლივს აღწევს, კედლის წყობაც დაზიანებულია და შემოძარცვულია.

შედარებით უკეთაა გადარჩენილი ვაქემორის სამონასტრო კომპლექსი. იგი დიდი დასახლებული პუნქტების მოშორებითაა განლაგებული და როგორც ეტეობა მხოლოდ დროთა სითვისგანაა დაზიანებული. კომპლექსის ველსისებსა და კაპელებში საკმაოდ მრავალადაა კედლის მხატვრობა შემორჩენილი. მონასტერი აშწენებული ოაზისშია განლაგებული, ხოლო მის გვერდით მთის წვერზე კალმახის ციხეა აღმართული.

ძველის კიდევ ერთი საბელწრდება ნიაკომია. ტაოში ყოფნის შემდეგ ზენი ექსპედიცია სარფის გავლით თბილისში დაბრუნდა.

სამომავლოდ დიდი აღზომის გამოცემასაც ვაპირებთ, სადაც შეძლებისდაგვარად სრულად უნდა აისახოს ის მასალა, რომელიც ისტორიული სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას შეეხება.

მანამდე კი შესასწავლია ფოცხოვის ზეობა, კოლა და ოლთისის რაიონები, რომელნიც ჩერ კიდევ ელიან შეკლევარით.

ქართული ხალხური ხელოვნების მემკვიდრეობის დაცვა და მისი
მეცნიერული

1996 წლის 29-30 ივნისს აღინიშნა საქართველოს ხალხური ხელოვნების დაცვის სახელმწიფო მემკვიდრეობის დაცვის 30 და მემკვიდრეობის მემკვიდრეობის იდეის ავტორის აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადების 105 წლის იუბილე. პირველ დღეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შედგა სესია, რომელსაც თავმჯდომარეობდა აკადემიკოსი ა. აფაქიძე. სესია მივლინდა გიორგი ჩიტაიას, როგორც ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელს და მემკვიდრეობის მემკვიდრეობის ინიციატორსა და ორგანიზატორს. მეორე დღეს ზეიშა გადანიშნა საკუთრივ მემკვიდრეობის ტერიტორიაზე, სადაც მოეწყო გიორგი ჩიტაიას ძეგლის გახსნა, რითაც აღინიშნა ამ შესანიშნავი მეცნიერის დიდი მემკვიდრეობის მემკვიდრეობა, რომელსაც მან თავისი ცხოვრების ორმოცი წელი შესწირა და იყო მისი მეცნიერული ხელმძღვანელი. შემდეგ ზეიშა გაგრძელდა ცალკეული რეგიონების ობიექტებზე (გურია, სამეგრელო, ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, აფხაზეთი) ხალხური სიმღერების მემკვიდრეობის თანხლებით (გუნდისა, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილი ჩვეული ოსტატობით ხელმძღვანელობდა).

როგორც ცნობილია, საქართველო განსაკუთრებით მდიდარია ხელოვნების ძეგლებით, მათ შორის ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს ხალხურ ხელოვნების - სოფლის საცხოვრებელ სახლებს, რომლებშიც ჩაქოვლილია ხალხის შემოქმედებითი უნარი, მისი აზრი, ოსტატობა, სილამაზის გრძობა. ეს ძეგლები ყველაზე უშუალოდ არიან დაკავშირებული ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებასთან და ამგვარად წარმოადგენენ მის პირდაპირ, განსაკუთრებულ ისტორიას. ცხადია ასეთი ძეგლების დაცვა-რეკონსტრუქცია გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა. ამ ძეგლების მიხედვით მომავალი თაობები თვალნათლივ გაეცნობიან თავისი წინაპრების ყოფასა და კულტურას, ხოლო მეცნიერებისათვის იგი მუდამ იქნება დაუპრეტელი კვლევის საგანი.

დღევანდელ ვითარებაში ხალხური ხელოვნების ძეგლების თანდათანობით განადგურება საერთაშორისო მოვლენას წარმოადგენს. ეს ძეგლები უკვე ძველი დროის რელიკვირებს წარმოადგენენ და მიუხედავად თავისი მემკვიდრეობისა და მეცნიერული ღირებულებისა, ველარ აკმაყოფილებენ ხალხის თანამედროვე მოთხოვნილებებს და, ამგვარად, განწირულნი არიან განადგურებისათვის.

ცხადია სოფლის არქიტექტურის მთლიანი დაცვა აბსურდული აზრია. ამიტომ აუცილებელია მთელი ამ შემკვიდრეობიდან შერჩეული იქნეს გამსაზღვრელი ნიმუშები, რომლებიც რამდენადმე მაინც შემოგინახავენ ამ მდიდარ განას. ამიტომაც, ზოგ კვანძებში მიღებულია, როგორც სოფლის არქიტექტურის შენარჩუნების კმედითი მეთოდი, მემკვიდრეობის დაცვის კვლევა, სადაც სოფლიდან გადმოტანილია ხალხური შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები და დადგმულია სათანადო ბუნებრივ გარემოცვაში. თუმცა ასეთი მემკვიდრეობის უპირატესობა რამდენადმე თეატრალიზებულია და ხშირად უსიცოცხლოც, ზედ არ



შეგვიძლია ძველთა დაცვის ამ ფორმის უარყოფა და, პირიქით, ვთვლით, რომ ამ საქმეს უოველმხრივი ხელშეწყობა გუთუნის. მხოლოდ აქ აუცილებელია დიდი ტაქტიკური ფრთხილბედი. ამგვარი მუზეუმის შექმნა ითავა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ, რომელმაც ამისათვის თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიდან მიიღო 30 პექტარი ფართობი ვაკის პარკის მიდამოებში. შეიქმნა საგანგებო სამუზეუმო საბჭო გიორგი ზიტაიას ხელმძღვანელობით. მუზეუმის გენერალური გეგმის შედგენა დაველა ხალხური ხუროთმოძღვრების შესანიშნავ მკვლევარს, არქიტექტორ ლონგინოზ სუმბაძეს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე, გარდაცვალებამდე მუშაობდა და ხელმძღვანელობდა გენერალური გეგმის დამუშავებას, ექსპონატების შერჩევას და ადგილზე მათ აშენებას.

საქართველო, მიუხედავად თავისი ტერიტორიის სიმცირისა, ზასიათდება კლიმატურ-გეოგრაფიული რაიონების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით. ამის შედეგად და ისტორიული ვითარების გამო, შეიქმნა საცხოვრებელი სახლების მრავალი, უაღრესად საყურადღებო ტიპი. მათ შორის აღსანიშნავია: აღმოსავლურ-ქართული მიწურ-ბანიანი სახლები (დარბაზები მრავალი საბე-სხვაობით), დასავლურ-ქართული ისლის ან ყაერის სახურავიანი სახლები, დაგვირგვინებული შესანიშნავი ოდა-სახლებით, საქართველოს მთიანეთის ციხე-სახლები, სვანური შატრები და მრავალი სხვა. ამ სახლების განლაგებისათვის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებულია ათი რეგიონული ზონის შექმნა. ამას გარდა ერთი ზონა გათვალისწინებულია ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებისათვის, სადაც უკვე გადმოტანილია თიანეთის სიონის უძველესი ტაძარი და აკლდამა და, აგრეთვე, ეშერის ძვ.წ. II ათასწლეულის დოლმენი.

მუზეუმის მოსაწყობად განხილული იყო მრავალი ვარიანტი და სხვა ვარიანტებთან შედარებით ყველაზე შესაფერისად მიჩნეული იქნა ვაკის პარკის ზემოთ, კეს ტბის დასავლეთით მდებარე ტერიტორია. უპირატესად ქალაქთან სიახლოვის გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიას სერიოზული ნაკლიც ახასიათებს, პირველყოფლისა ამ ტერიტორიაზე ვაგე ადგილის სიმცირე და ფერდობის დიდი დაქანება (ნიშნულების სხვაობა 155 მეტრს შეადგენს). ამის შედეგად შეუძლებელია კარ-მიდამოებისათვის სათანადო ფართობის გამოყოფა, დიდი ქანობის გამო ძნელდება და უსაშველოდ იზრდება სამანქანო გზების სიგრძე. ამას გარდა უარყოფითია ტერიტორიის ჩრდილო ორიენტაცია და გამდინარე წყლის უქონლობა.

მიუხედავად ამისა 1965 წელს გენერალური გეგმა დამტკიცდა და 1966 წლიდან მუზეუმში მშენებლობა დაიწყო. პროექტით გათვალისწინებული იყო 104 კარ-მიდამოს გადმოტანა, რომლებშიც 250 ობიექტი უნდა უოფილიყო აგებული. დღეისთვის უკვე აგებულია ორმოცამდე სახლი და 70 ობიექტი. მათ შორის სრულიად უნიკალური დარბაზები, აქართული ჭამე, დასავლეთ საქართველოს ოდა-სახლების ნიმუშები და სხვ. მაგრამ წინ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი. მუზეუმის განვითარებას უზრადლება არ უნდა მოაკლდეს. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის სახით ქართველ ხალხს შეეძლება სოფლის მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, იქმნება ქართული კულტურის სამარადისო ძეგლი.

ბაკუშრთხილდით, ბადებარჩინოთ!

მცხეთაში და მის რეგიონში ორასზე მეტი ისტორიული ძეგლია, მათ შორის ისეთი უნიკალური, როგორცაა: ჭვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო, შიომღვიმე, ზედაზენი, წილკანი და სხვ. თითქმის ყველა სოფელში არა ერთი დარბაზული ეკლესიაა, რომელთა მოვლა-პატრონობა ყველა მამულიშვილის წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ნათქვამია, ძეგლი ერის პასპორტიაო. მართლაც, ჭვარზე და სვეტიცხოველზე უფროსი რა უნდა წარუდგინო იმათ, ვინც ქართული ევლტურის გასაცნობად ჩამოდის ჭყნთან. თეალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულ ფრესკას, ჩუქურთმას, ორანშენტს. ისინი ზომ გადურჩენენ მტერთა აურაცხელ შემოსევებს და დღეს დგანან როგორც ქართველი ხალხის უცდაეების, მისი ნიჭის, მდიდარი ფანტაზიის მღალადებელნი. მამა-პაპათა შემოქმედების შესწავლა, მისი სათუთი მოვლა არა მარტო წარსულის, თანამედროვეობის მღალი ერთდირებისა და ევლტურის მღალი მარყენებელიც არის: „ვინც სათანადოდ ვერ შეიგნებს თავის მშობლიურ სიძველეს და სიყვარულით არ მოუფრთხილდება თავის წინაპრების ევლტურულ მემკვიდრეობას, ის მათი არა ღირსეული მემკვიდრეა, შემთხვევითი რგოლია არსებათა ჭაპვში, ცუდი მგზურია. ისევე, როგორც შეუძლებელია ანბანის გარეშე ისწავლო კითხვა, ასევე მშობლიური სიძველის ცოდნისა და წინაპრების ანდერძის გარეშე შეუძლებელია ჩასწვდე წარსულს, გაიგო აწმყო და შეგნებულად იმუშაო მომავალი დიადი ნაციონალურ-ევლტურული საქმისათვის“ - წერდა კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II.

ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მცხეთაში და მის შემოგარენში წარმოება-დაწესებულებების დახმარებით შეეკეთეთ 13 დარბაზული ეკლესია. ამ საშეიღვილო საქმეში უდიდესი წელილი შეიტანა თბილისის მეთვრამეტე პროფტექნიკურმა სასწავლებელმა (სასწავლებლის მაშინდელმა დირექტორმა ნოდარ კუჭავამ, პედაგოგმა ნოდარ აბრამიშვილმა). მათ შორის გამოვეყოფდი ყვავის საყდარს, რომლის საძირკველიც იყო შემორჩენილი. ძეგლი თითქმის ხელმეორედ აშენდა, გადაიბურა, მოპირკეთდა. მის გვერდით გამოვიყვანეთ სასმელი წვალი, რომელსაც პოეზიის წყარო შევარტვით, რადგან ცხრა ნიშზე, რომელიც სპილენძის მრგვალი ფილით იყო დამშვენებული, იმ მგოსნების ხელმოწერები ამოვტვიფრეთ, რომლებიც ჩვენ ხალხს უცდაეათა ჰყავს შვრაცხული. იქვე, კლდის ნატეხზე თითბერისგან ჩამოსხმული ყვავის გამოსახულება დაედგით, რომლის გულისთვისაც აშენდა ეს ეკლესია. კლდის ნატეხს კი ლეგენდის მოკლე შინაარსი დავაწერეთ. აი, ეს ლეგენდაც: ამ ადგილას (საგურამოს ბოლოზე) ცხრა მღა ხნავდაო. საშრობის ფაშს, როცა მუშაობით დადილებმა თავი მოიყარეს და სახელდახელო ტაბლას შემოუტბდნენ, შემოჩვეულმა ყვავმა ატემა ჩხავილი. ის ხან ერთ ტოტზე გადატებოდა და ხან მგორეზე, თითქოს რალაცას ანიშნებდაო. მგებმა ურადლება არ მოატყეს, მაგრამ როცა ჭვამს გადახადეს ტყვიასავით წამოსული ყვავი შიგ ჩავარდა და მდულარე საქმელში აფართხალდაო. ჭვამი ამოაყირავეს და მასში ნახეს წყველი, რომელიც შეუმჩველად ჭვამში ჩამტვრალიყო.

დადარდინებულები მღუშარედ დაყურებდნენ მომაკედავ ფრინველს და ამ საოცარი გადარჩენის აღსანიშნავად გადაწყვიტეს ამ ადგილზე აეშენებინათ ცეცხლი, რომელიც ატყობდა სახელობისა იქნებოდაო.

ჩვენი კომპლექსი მართლაც სანაქებო გამოვიდა. გაშვებული თუ გამოშვებული, ფეხით მოსიარულე თუ ავტომანქანით მოსრიადე აქ ჩერდებოდა, ისვენებდა, ცივი წყლით იგრილებდა გულს. დადგა მძიმე წლები და ვერ სპილენძის ფილები მოიპარეს, შერე წყაროს მილი, შემდეგ თითბერისგან ჩამოსხმული ვევის ჯერიც დადგა და დადუმდა ვევის საყდარი. აღარც წყაროს რაკრაკი ისმის და აღარც მგზავრთა შესახილები. ასე გაიძარცვა უცუთურების ხელით ძველი, რომლის კეთილმოწყობასაც ამდენი შრომა და ძალისხმევა დასჭირდა.

ამ სამიოდე ათეული წლის წინ არტელოგებმა მცხეთაში ერთ-ერთ სამარხში ნახეს პატარა ბიჭის თავის ქალა და სალამური. სწორედ მის მიხედვით შექმნა სკულპტორმა კომპოზიცია, რომელიც ახალგაზრდული კლების წინ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დაიდგა. პატარა ბიჭი თითქოს გასცქერის დიდებულ ქართლის მთებს და სალამურს აკენებს. მნახველი არ შეიძლება არ შესძრას ამ სანახაობამ. მე პირადად მის ყოველ დანახვაზე ეჭურჩულებ დავით გაჩეილაძის ლექსის სტრიქონს:

„პეი, ფრთხილად ფერფლს ფეხი არ დააბიჯოთ...“

გამარჯობა, შენ მცხეთელო მწყემსის ბიჭო!“

ვინ იყო ის უფულო, რომელმაც ავტომატის ჯერით დაეცხრილა ლითონში ამღვრებული წარსული? სამწუხაროდ, სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება. მაგრამ კმარა, მხოლოდ ერთ ისტორიულ ფაქტს გავიხსენებ. როდესაც ბერძენმა შემოღებმა დაინახეს, რომ აკროპოლში ჩაბუდებული თურქები შლიდნენ ძეგლის ქვებს, რათა ამოეღოთ კვადრების შემაკავშირებელი ტყვია, ბერძენებმა გაგზავნეს პარლამენტორები თურქებთან ასეთი წინადადებით - ნუ არღვევთ პართენონს, ჩვენ გამოვიგზავნით ტყვიებსო. თვით იმ საშინელი ომის დროს არ ივიწყებდნენ ძეგლის სიდიადეს და ზრუნავდნენ მისი გადარჩენისათვის. აი, როგორ უნდა ეუფრთხილდებოდეთ ძეგლებს, აი, როგორ უნდა გვიყვარდეს ერის საუნჯე.

„სირცხვილი იმ გუთნისდედას მამა-პაპის საფლავს ხნადეგს“-ო, სწერდა იეიომ გურჯი. და მართლაც, რა სახელი უნდა ეწოდოთ იმას, ვინც ხელს აღმართავს იმით ნაშრომზე, გვარის მოუწერლად რომ კქმნიდნენ საუნჯეს მომავალი თაობებისათვის, ჩვენითვის, ჩვენი შეილებისათვის. როგორ შეიძლება არ მოეუაროთ იმას, რასაც არსაკიდის, ბეშქენ და ბეჭა რაზმარების ნახელავი კქვია. როგორ ვერ უნდა შეეინარჩუნოთ წარსულისა და აწყყოს მიერ შექმნილი უცდაეება. განა ჩვენი მამა-პაპანი უარესი გაჭირვების დროს ფარად არ იყვნენ აფარებულნი იმაზე, რაც მომავალ თაობებს უნდა გადმოსცემოდა? განა ექუთიმე თაყაიშვილი ჩვენზე მეტად არ ებრძოდა შიმშილს და გაჭირვებას? თუ ახალს ვეღარ ვქმნით, ძველი მანც შეეინარჩუნოთ, გავუფრთხილდეთ და გადავარჩინოთ.

რითია საინტერესო სოფელი ფუტყით?

საქართველოში მრავლადაა ისტორიული სოფელი. მე ჩემს მშობლიურ ფუტყითვე მინდა გესაუბროთ.

სოფელი ფუტყით მდებარეობს რაჭაში და ამბროლაურის რაიონის ყველაზე მაღალმთიან სოფელს წარმოადგენს. როგორც დოკუმენტური მასალით, ისე ხალხური გადმოცემებითაც დასტურდება, ფუტყითი ოდითგან საეკლესიო სოფელი იყო (გაზეთი „რადი“, N 5-6, 1993 წ. გვ. 7-10, „ფუტყითი“). წარსულში, ხალხის შეხედულებით, მთელი სოფელი თავის მიწა-წყლით ტაძართან იყო გაიგივებული. ღვთის შიშით სოფლის ტერიტორიიდან კენჭსაც ვერაფერს გაიტანდა. მეზობელი სოფლის მონადირე თუ დაჭრილ ნადირს გამოუდგებოდა და ნადირი საეკლესიო სოფლის ტერიტორიაზე გაასწრებდა, მის ღვეწასაც კი თავს ანებებდა.

ფუტყითი სეანურ ტოპონიმად აქვს მიჩნეული ცნობილ ეთნოგრაფს ვენატე გაბლიანს (ეგ.გაბლიანი, ძველი და ახალი სეანეთი, თბილისი, 1925 წ.). ჭანურ-ლაზურად (?) ოფეტე-ეზო ან დიოფეტე - გამლილი ეზოა. გურულ-იმერულ დიალექტზე ფეთი - კვამლი, ნისლი, ღრუბელი, ზემო სიყარეულა. სეანურში ფუსტი - დიდი ღვთაება, უფალია. გაიბხენოთ, რომ ნუტი ანუ ფუტი ცის ღმერთია შუამდინარეთსა და ძველ ვევიბტეში. აგრეთვე, ძველ ვევიბტეში არსებობდა ქალაქი-ტაძარი ფუსტატი ანუ ფუსტეტი. სხვათაშორის ფუტყელები ბიბლიაშიც ხშირად მოიხსენიებიან (მაგალითად, იერემია წინასწარმეტყველთან 46-9, ეზიეელ წინასწარმეტყველთან 27-10, 30-5 და სხვ.). ბიბლიის ერთ-ერთ ამბავში ასეა მოხსენიებული - „სპარსი, ლეთი და ფუტი იყვნენ შენს ლაშქარში ომის კაცები; თარს და მუზარაღს შერთან ჰკიდებდნენ. ისინი მიქმნიდნენ დიდებას“. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანული მოძღვრებაც ფუტს ანუ ღრუბელს, ნისლს ღვთისმშობლის სიმბოლოდ მიიჩნევს (მაგ. ანდრია კრიტელი).

ცნობილი ეთნოგრაფი ალექსი რობაქიძე აღნიშნავს, რომ რაჭველთა ერთ-ერთი ვერსიით ნადირთ ღმერთი შეიძლება მონადირეს ღრუბლის, ნისლის (ფუტის) სახითაც მოეცლინოსო.

საინტერესოა ისიც, რომ ფუტყის ფუტე ფუტია. როგორც ცნობილია, უხსოვარი დროიდან ფუტყარს მიიჩნევენ სიწმინდის (შეადარეთ სეანური ფუსტი), შრომისმოყვარეობის, წესრიგის, მომკირნეობის სიმბოლო-ღვთაებად. ხის და იქ მოზინადრე ფუტყის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული ფუტყურის არსიც.

მისიძინეთში (ასე მოიხსენიებდნენ ბიზანტიურ წყაროებში ისტორიულ სეანეთს) ფუსტა ადგილს ერქვა. აქედან მომდინარეობს ფუსტას ციხე. თეოდოსი განგრეული ასახელებს ფუსტას მისიძინეთში ანუ ისტორიულ სეანეთში. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.) კი მას ქალაქს უწოდებს, ხოლო იქ მცხოვრებლებს ფუსტელების სახელით მოიხსენიებს. ეპიფანე ერთ ადგილას წერს: „მათე მოწაფეებიერთად დარჩა იმ ქვეყანაში, ქადაგებდა და სასწაულებს



სურ.1. სოფელ ფუტყითში გიორგი ბოკორიძის მიერ მოძიებული ბრინჯაოს ბალთა. ძვ.წ. I ათასწ.



ახდენდა. ხოლო სიმონ ჯანაშვილი და ანდრია პირველწოდებული წაიხდნენ „ალანტი და ქალაქ ფუსტაში (ფუსტიეთში)“.

ფუსტას სახელთანაა დაკავშირებული მაქსიმე აღმსარებლის და მისი მოწოდება აპოკრიფისათვის მოღვაწეობა.

თვითონ კრიხულას ხეობა, რომლის სათავეშიც მდებარეობს ფუტიეთი, ოდიშგან რაჭის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგზაო, აღმინისტრაციულ-კომუნიკაციურ კენამს წარმოადგენდა. არ არის გამორიცხული, რომ აქ ვივარაუდოთ ისტორიული ფუსტა ანუ ფუსტიეთი. მისი მიმდებარე სოფლები სხვადა და კრიხი უფრო შემდგომ პერიოდში წარმოშობილი ტომონიშები ჩანს, რაც ნიკორწმინდის XI ს. ცნობილი სიგელითაც დასტურდება. თავს უფლებას მიეცემ გამოეთქვა მოსაზრება, რომ სხვადაც უძველეს პერიოდში ფუსტად ანუ ფუსტიეთად უნდა წოდებულიყო. მაგალითად, მოხვეურ, მთიულერ (გუდამაყრულ) და ქართლურ დიალექტში სხვაეული უცხო, მოსულის სინონიმა (ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, ავტ. ი.გაგიანიშვილი, ვ.თოფჩია, ი.კავთარაძე, თბ., 1961 წ., გვ. 563, 575). დიდ ილიასაც უსარგებლია მოხვევთა ამ სიტყვით. „მგზავრის წერილებში“ ილიას თანამგზავრი ლელთ ღუნია ამბობს: „გერგეთი აწინა სხვაეთა ბეგრობს“. დ.ჩუბინაშვილიც სიტყვას სხვაეთა ასე განმარტავს - „ვინც სხვას ვეუთენის, უცხო, გარეული“ (ტ. 8, გვ. 26). ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ უძველეს ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ფუსტა (ფუსტიეთი) უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, მაგრამ გარკვეული ისტორიული გარემოების გამო მის დიდ ნაწილში საქართველოს აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილიდან ლტოლვილმა მოსახლეობამ იწყო შემოსევა და დასახლება. ასე უნდა გაჩენილიყო დასახლება და ტომონიშც სხვადა.



სურ.2. სოფელ ფუტიეთის მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილი ჭვა-საკარცული რომელზედაც გადმოცემით გიორგი სააკაძე მქდარა.

დღეს სხვაეაში ასამდე გვარი ცხოვრობს. ყურადღების ღირსია ასეთი ფაქტი. მაგალითად, არსებობს გვარი სვანი, რომელიც დღევანდელ სვანეთში კი არა, არამედ რაჭაში ცხოვრობს, ასევე გვარი გურული, რომელიც გურიაში კი არა, იმერეთში ცხოვრობს, კახელი კახეთში კი არა, იმერეთში მოსახლეობს, გვარი იმერლიშვილი ქართლში მოსახლეობს და ა.შ.

ამ მხრივ უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე სოფელ სხვაეაში, სადაც სახლობენ რაჭველიშვილები, რომელიც უძველეს მკვიდრ გვარად გვევლინება. ეს გარემოება უფრო ნათელს ხდის ტომონიშ სხვაეას არსს. ვ.ი. ისტორიული ფუსტა

(ფუსტიეთი), როგორც ამას ძველი ბიზანტიელი ავტორები გვეუბნებიან, უფრო დიდ და ფართო ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა (გეორგიკა, VII ტ., გვ. 113). დღემდე მოღწეული ფუტიეთი (ფუსტიეთი) მის პაწაწა გადმონაშის უნდა წარმოადგენდეს.

როგორც უხედავთ, ფუტიეთის (ფუსტიეთის) წარსულის შესწავლა ბევრ ინფორმაციას მოგვცემს ამ საინტერესო საკითხის შესახებ. ამჟამად დღევანდელ ფუტიეთის ტერიტორიაზე ხალხური გადმოცემით 33 ველსია, მონასტერი, სალოცავი-ნიში უნდა არსებობდეს. ბევრი მათგანი შეცნიერებისთვის უცნობია.

ერთი მეტად სამწუხარო ამბავი უნდა გამოვეყო, რომელსაც 1994 წლის ზაფხულში პქონდა ადგილი. სოფელ ფუტიეთში შემოსახლებულმა ჭვათაძეების ოჯახმა, სოფლის მცხოვრებთა წინააღმდეგობის მიუხედავად დაანგრია და ხელყო ვ.წ. სვანების უბანში არსებული უძველესი მონასტრის მიწისქვეშა აკლამაშები. ერთი აკლამაშისგან შეორეზე გადადიოდნენ, როგორც ჩანს „განძობამძიებლობის“ სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ არაფერს ერიდებოდნენ. ამრიგად,



განადგურეს რამდენიმე აკლდამა. რა აღმოჩნდა აკლდამებში არაეინ უწყის. ახლა შეიძლება ვივარაუდოთ, სპეციალისტებს რომ ენახათ ეს უძველესი აკლდამები, რამდენჯერ შეიქმნა კითხვას გაეცემდით პასუხს.

სოფელ ფუტყეთის არქეოლოგიური ძეგლები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რათა ასეთი ტრადიციული მომენტები არ განმეორდეს.

რედაქციისათვის:

ბოლო წლების არეულობამ დაბადა დაუსწავლობის სინდრომი. რბევის, დატაცების ინსტინქტმა ზოგიერთს შშობლიური სოფლის სიმკვლეებზეც ააღებინა ხელი. ეს მოხდა არა საზღვრისპირა რეგიონში, არამედ რაქაში, ქართველებით დასახლებულ სოფელში, სადაც გლეხი ძველს კი არა, მის მახლობლად მდგარ ხესაც არ მოატებდა ტოტს. ამგვარი ფაქტები არა მარტო გაეცხვის ღირსია, ისინი კანონის ძალითაც უნდა აღიკვეთოს.

სოზგადოების ხელმძღვანელობამ წერილობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს რაქა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ბატ. თედო ისაკაძეს, რათა სათანადო ორგანოებს დაეაღებოდა ამ ფაქტის გამოძიება და ზომების მიღება კანონმდებლობიდან გამომდინარე. ამგვარი ფაქტის გამოვლენისას მით უფრო გასაგები ზდება რამდენად აუცილებელია ახალი კანონის მიღება ძველთა დაცვაზე. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის პროექტი, რომლის შექმნაში საქართველოს ძველთა დაცვის საზოგადოებაც მონაწილეობდა, ორი წელია საქართველოს პარლამენტშია წარდგენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი განხილვის დრო ჯერაც ვერ დადგა. დრო კი არ ითმენს.

Abstract

A complete georgian text of the ICAHM Charter of Protection and Maintenance of the Archaeological Heritage approved by ICOMOS in 1990 is published for the first time.

Kiti Machabeli

Doctor of Art History, Professor

GOSPEL THEMES ON GEORGIAN STELAE

The article is concerned with a group of the early Christian (5th-7th cc.) monuments - stelae, containing rare samples of the original iconographic schemes, which makes it possible to include Georgia in the number of countries, creating new Christian iconography.

Nana Burchuladze

ICON OF ST.MARINA FROM THE STATE MUSEUM OF FINE ARTS OF GEORGIA

Icon of St.Marina from the State Museum of Fine Arts of Georgia is published for the first time. The icon is painted in distemper on a wooden board (36 cm x 25 cm). It was brought from Guria (the western province of Georgia) in 1925. The painting has reached us in a damaged state though the saint's image is clearly discernible.

It is evident that St.Marina's image is not of initial coating. The fragments of the lower coating are seen through the damaged parts of the figure and the background. On the lower coating, under St.Marina's image was represented a figure. Later, St.Marina's image had been cut off in order to fit a metal revetment around it (traces of nails are seen on the board). At that the same period her shoulders had been lowered down, likewise the halo had been narrowed.

Based on the iconographic and stylistic features the icon is ascribed to the Paleologan period. Its relation with the images of the Holly Women, as well as other Saints, represented in the monuments of the 14 th century georgian mural and icon painting (for example the icons and prescoes from Ubisi) enables the author to date the icon of St.Marina to the same epoch, 14 th century.

Natela Jabua

Ph. D. in art History

ISSUES OF ARCHITECTURAL ESSENCE OF GURJAANI KVELATSMINDA

Gurjaani church of the Dormition is erected in the 8th c. being the only two-domed church in Georgia. The author touches upon the formation of the architectural structure of the monument, which does distinctly testify to interesting artistic-architectural strivings of a certain stage in the development of the Georgian Christian architecture. Typologically, elements of the three-aisled basilica, three-churched basilica and domed structures are discernible in the formation of the architectural image of the monument. At the same time, the main basis, forming the architectural structure of the church, is a three-aisled basilica.

Nicolas Vacheishvili

Art historian

WHEN WAS TONTIO ERECTED?

Present village Kaurma, located in Javakheti. South Georgia, has preserved a number of monuments, among which of certain interest is a small church, richly adorned with the ornamentation and inscriptions. The central building inscription makes it clear that the church was built in the reign of the king George I and Kathalicos of Kartli Melchisedec, in the first of the 11th c.

Based on the historical sources and the analysis of the monument, the author specifies more concrete chronological limits of the erection of the church. The church of historical Tontio, i.e. present day Kaurma, was built by the Kathalicos Melchisedec in 1023-1027.

Dimitri Tumanishvili

Doctor of Art History

THE PAINTER ALEXANDER MREVLISHVILI AND THE PROBLEMS OF RESTORATION

Painter Alexander Mrevlishvili the author of famous social-accusatory pictures, paid his attention to the problems of restoration of the ecclesiastical painting. The authors quotes an article by A. Mrevlishvili, published in 1901 in a newspaper "tsnobis Purtseli" - "Some Remarks on the Restoration of Our Ecclesiastical Painting". The article does distinctly testify to the fact that by that time, when no problems of "preservation of the monuments" occurred in Georgia, Georgian was concerned with their in depth consideration and, actually, difended the same viewpoint, as shared by the specialists nowadays.

Nodar Bakhtadze

Architect, PhD of History

NEWLY DISCOVERED ROCK-CUT MONUMENTS OF SHIDA KARTLI

The article deals with the rock-cut architectural complexes less studied or absolutely unknown to the scholars, which are located in one of the historical provinces of Georgia, Shida Kartli. These complexes comprise dozens of structures arranged in one or several tiers on rocky slopes; due its archaic planning these complexes are quite distinguished among the rock-cut monuments of the medieval Georgia.

As is well-known, up to recently, Uplistsikhe was considered to be the only pre-Christian rock-cut monument on the territory of Georgia. Facts and arguments put forward by the author, make it clear that beginning from the 2 nd mill. B.C. an uninterrupted course of the development of the rock-cut architecture, culminating in the highly artistic ensemble of Uplistsikhe, is traceable on the territory of east Georgia.

სარჩევი

არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლა-პატრონობის ქარტია	3
კიტი შაბაბელი სახარების თემები ქართულ ქვასეცებზე	9
ნანა ბურჭულაძე წმ. მარინას ხატი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან	16
ნათელა ჭაბუა გურჯაანის ყველაწმინდას არქიტექტურული რაობის საკითხები	23
ნიკოლოზ ვაჩეიშვილი როდის აშენდა ტონთიო?	26
დომიტრი თუმანიშვილი მხატვარი ალექსანდრე მრგვლიშვილი და რესტავრაციის საკითხები	31
ნოდარ ბახტაძე შიდა ქართლის ახლად მიკვლეული ელდის ძეგლები (თხოთის ქვაბოვანი, გრაკალის ქვაბები)	35
გურამ ყიფიანი ძველი ვანის ხუროთმოძღვრება	43
გიორგი ბაგრატიონი მოგზაურობა თურქეთში (გაგრძელება)	54
ირაკლი ციციშვილი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმში	57
ვალერიან მამუკელაშვილი გავეფრთხილდეთ, გადავიარჩინოთ!	59
ავთანდილ გიორგობიანი რითაა საინტერესო სოფელი ფუტიეფი?	61
ანოტაციები ინგლისურად	63

გარეანზე - წმ. მარინას ხატი, XIV ს. საქართველოს ხელოვნების მუზეუმი.
ფოტო კეთევან აბულედიანის.



ინგლისური ტექსტი მოამზადა მარინე ყენიამ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შარდენის ქ. 5/7
ტელეფონი: 98-87-94
99-84-47

ქრნალი აწუბილია და დაბეჭდილია ურმა **შაბუ** HEWLETT PACKARD-ის ხაკომპეზბლო
სიბტემაზე და XEROX-ის ასლეკადაზღებ დინადეარებზე

თბილისი, შავთელის 5/7

ტელ. 98 36 31

ფაქსი 98 96 58

საერთაშორისო
სამაგისტრო



ასლბადამდები აპარატურა
პრინტერები
ფაქსები
კომპიუტერები
საოფისო ავეჯი
ლიზინგი

XEROX & HEWLETT PACKARD

ოფიციალური წარმომადგენელი